ამერიკელი სარდლები საქართველოს ჰაერიდანაც სწავლობენ A2

პოლიტიკური სპექტრი კანცელარიის წინააღმდეგ A3

მძევლის გათავისუფლების დეტალები გასაიდუმლოებულია A7

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 3 ივნისი, 2003 წელი. №150 (362)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „ნაციონალები" დიდი აქციისთვის მზადებას შეუდგნენ

დღეს პარლამენტის წინ დაგეგმილი საპროტესტო აქცია გაიმართება, მანამდე კი, "ნაციონალები" უფრო დიდი აქციისთვის მზადებას შეუდგნენ, რომელიც 17 ივნისს აქვთ დაგეგმილი და ხალხის მოყვანას საქართველოს ყველა რაიონიდან აპირებენ. პირველი გასვლა მათ რუისსა და სურამში ჰქონდათ.

A2

## ეკონომიკა

### ქსნის მინის ქარხნის ბედი უზენაესი სასამართლოს ხელშია

სააქციო საზოგადოება "მინა", იგივე ქსნის მინის ტარის ქარხანა, რომლის აქციათა 81 პროცენტი ცნობილ თურქულ კომპანია "შიშეჯამს" ეკუთვნის, შესაძლოა, გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მისი ბედი 4 ივნისს უზენაეს სასამართლოში გადაწყდება, სადაც "მინასა" და შპს "რაინდი-1"-ს შორის წარმოქმნილი დავა განიხილება.

A4

## უცხოეთი

### „დიდი რვიანი" მსოფლიოს მომავალზე მსჯელობს

ტერიტორია, სადაც სამიტი ტარდება, 15-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონით არის შემოსაზღვრული. ევიანში სამიტის მონაწილეების დასაცავად უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული.

A5

## საზოგადოება

### წინასაარჩევნო სოციალური ბიზნესი

გასული წლების 80-მილიონიან საპენსიო დავალიანებას ხელისუფლებამ წელს კიდევ 50 მილიონი მიუმატა – უკვე ივნისია, საქართველოში კი სრულად თებერვლის თვის პენსიებიც არ დარიგებულა.

A6

## თვალსაზრისი

### ქვევრის გატეხვა არ გინდათ და...

ანტიკორუფციულ საბჭოს არსებობის ორი წელიწადი შეუსრულდა. დაარსებიდან ორი წლის თავზე საბჭო, რომელმაც, საზოგადოების აზრით, რეალური ანტიკორუფციული ნაბიჯების გადადგმა ვერ თუ არ შეძლო, გააქტიურებას გეგმავს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განცხადებას აკეთებს ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე კახა უგულავა.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 21 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 22 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 22 |
| ახმეტა | 24 |
| ჭიათურა | 26 |
| გაგრა | 20 |
| სამტრედია | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.5298 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5159 |
| რუბლი | 0.0701 |

# გადამწყვეტი არჩევანი

## ამერიკული ხედვა:

B1

- ჩვენ არ გვინდა, განმეორდეს ის, რაც წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოხდა.
- განსაკუთრებით პრინციპულია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მიუკერძოებელი და პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტდეს.
- ჩვენ მხარს ვუჭერთ და მოგვწონს მშვიდობიანი მანიფესტაციები.
- დესტაბილიზაცია კი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიწყოს, თუ ამ მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ ვინმე ძალას იხმარს.
- ხალხს აქვს მშვიდობიანი მანიფესტაციების ჩატარების უფლება და ამ უფლების გამოყენება ახლა გადამწყვეტია საქართველოს მომავლისათვის.
- დესტაბილიზაციას რეფორმების გატარება კი არა, პირიქით, რეფორმების დაბლოკვა იწვევს, რადგან ხალხი ძალიან იღლება გაჭირვებით.

## გამოსავალი – სახალხო მოძრაობა

### მაგრამ, კონსულტაციების გაგრძელებაზე ოპოზიცია უარს არ ამბობს



გოგიტა ბახსაიძის ფოტო

*გუშინ მოვლენათა ეპიცენტრი თბილისის საკრებულო იყო.*

სოფო ბუკია

*ოპოზიცია საერთო-სახალხო მოძრაობას იწყებს. პირველი საპროტესტო აქცია დღეს პარლამენტის შენობის წინაა დაგეგმილი. მთელი გუშინდელი დღე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში გაატარა. ოპოზიციური პარტიები და ხელისუფლება საერთო ენის გამონახვასა და საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის შეჯერებას ცდილობდნენ. შეთანხმება არ შედგა, ოპოზიციასთან გატარებული მთელი დღის მიუხედავად, ჯორბენაძემ დღეს დაგეგმილი აქციის თავიდან აცილება ვერ შეძლო. შეხვედრიდან გამოსული ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებდნენ: "ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება, საპროტესტო აქცია გარდაუვალია, მოვუწოდებთ ჩვენს მხარდამჭერებს, გამოვიდნენ ქუჩაში - ეს არის ერთადერთი გამოსავალი."*

საარჩევნო კოდექსზე მუშაობაში ღამეების თენებას გუშინ არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება არ აპირებდა. ყველაფერი მიწისძვრით დაზარალებულთა ჩვეულებრივი აქციით დაიწყო. კანცელარიასთან შეკრებილ მოსახლეობას სახელმწიფო მინისტრი შეეგება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## შევარდნაძე ლუკაშენკოს ემსგავსება

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგს საზოგადოება გუშინ განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. ედუარდ შევარდნაძემ ვერანაირი სიცხადე ვერ შეიტანა აფხაზეთში სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელებასთან დაკავშირებულ გაუგებრობაში. შიგნით საკუთარი ჩინოვნიკები დატუქსა, გარეთ უკრაინის პრეზიდენტს გაჰკრა კბილი და, არც მეტი, არც ნაკლები, ლუკაშენკოს პოზითა და ტექსტით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებს შეუტია... თუმცა, ყველაფერზე თანმიმდევრობით.*

### სამშვიდობო ძალებზე...

**"პეტერბურგში არავითარ დოკუმენტზე ხელი არ მომიწერია. ითქვა, რომ ამაზე მუშაობაა საჭირო. რაც შეეხება სოჭის შეთანხმებებს - იქ აღინიშნა, რომ როგორც კი ერთ-ერთი მხარე დააყენებს სამშვიდობო ძალების გასვლის საკითხს, ისინი დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას,"** - ისევ ასეთი, ორაზროვანი განმარტება გააკეთა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა სამშვიდობო ძალებისთვის ვადის გაგრძელების ირგვლივ შექმნილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით და, პრინციპში დაადასტურა, რომ საქართველო ემზადება რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის უვადოდ, ანუ "ერთ-ერთი მხარის სურვილამდე" გასაგრძელებლად.

ის რომ, საქართველოს ხელისუფლებას ასეთი სურვილი კიდევ დიდხანს არ გაუჩნდება, ასევე დადასტურდა გუშინდელ ბრიფინგზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა ისევ გაიმეორა ის მოტივი, რითაც რამდენიმე თვის წინ სამშვიდობოებს მანდატი გაუგრძელა: **"სამშვიდობოები კი გავლენ, მაგრამ მერე რას ვშვრებით..."**

განსაკუთრებული გაღიზიანება ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა თამაზ ნადარეიშვილისა და დავით გამყრელიძის მისამართით დააფიქსირა, რომელთაც ჯერ შეთანხმებების წაკითხვა ურჩია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## არც ერთი ნაბიჯი უკან – ჩვენს უკან ცესკო-ა

### რომელიც არჩევნებზე მეტია

გიორგი ასანიშვილი

*ძნელად წარმოსადგენია, წუხელ როგორ უნდა სძინებოდათ მშვიდად სახელისუფლებო ბანაკის წარმომადგენლებს. დღევანდელი საპროტესტო აქციის მოლოდინში, ისინი, ალბათ, მთელი ღამის განმავლობაში შეშფოთებით ჩურჩულებდნენ: "ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო...". ოღონდ, თუ დროის შეჩერება აბესალომს, ეთერთან განშორების ჟამის "გადასაწევად" უნდოდა, პროშევარდნაძისტულ გუნდს 2 ივნისის ღამის გახანგრძლივება 3 ივნისის დილის "არგასათენებლად" სურდა.*

ისე, სულაც არ არის გასაკვირი, ოპოზიციისა და ხელისუფლების მრავალდღიანი მოლაპარაკებები უშედეგოდ რომ დასრულდა და ცესკო-ს დაკომპლექტების საკითხში შეთანხმება ვერ მოხერხდა. მეტიც, ეს ლოგიკურიც კი არის: ცესკო არ არის,

გაგრძელება A3 გვერდზე

## ალიევი გულიევის წინააღმდეგ

*პრეზიდენტ ალიევის მძიმე ავადმყოფობამ აზერბაიჯანის მმართველ ელიტაში ნამდვილი კრიზისი გამოიწვია. ეს კრიზისი კი, შეიძლება, არა ახლანდელი ფავორიტის, ილჰამ ალიევის, არამედ პარლამენტის ყოფილი სპიკერის, რასულ გულიევის სასარგებლოდ დასრულდეს.*

რუსტამ სეიდოვი
ბაქო, IWPR

მას შემდეგ, რაც 21 აპრილს, პრეზიდენტი კოლაფსში ჩავარდა და, მოგვიანებით, საკუთარი 80 წლის იუბილეს თურქულ საავადმყოფოში შეხვდა, მისი მემკვიდრეობის საკითხმა აზერბაიჯანულ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. პრეზიდენტის არჩევნები წლეულს ოქტომბერში უნდა გაიმართოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ უფროსმა ალიევმა თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

ანალიტიკოსებისა და ჟურნალისტების უდიდესი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ალიევს თავისი ვაჟის გაპრეზიდენტება სურს. ჯერ კიდევ 1993 წლიდან, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან იგი განუწყვეტლივ ზრუნავდა ამაზე, ხშირად ჩნდებოდა საჯაროდ თავის ვაჟთან ერთად და ხელისუფლებაში მის მოსაყვანად ნიადაგს ამზადებდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პატიმართა გაქცევის შესახებ ახალი ვერსია გაჩნდა

*ორთაჭალის ციხეს ახალი დირექტორი ჰყავს. გუშინ დილით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა მე-5 საპყრობილის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ყოფილი პოლიციელი - მერაბ ბაღათურია წარადგინა. წელიწად-ნახევრის განმავლობაში ორთაჭალის ციხემ რამდენიმე დირექტორი გამოიცვალა. მერაბ ბაღათურია ამ პოსტზე დანიშნული უკვე მე-6 დირექტორია.*

ინგა ალავიძე

ახალ დირექტორს ციხეში საპროტესტო აქცია დაუხვდა. მე-5 სატუსაღოს ბადრაგებს, მართალია, გაფიცვა მერაბ ბაღათურიას დანიშვნის გამო არ მოუწყვიათ, მაგრამ მათი პრეტენზიების მოსმენა ახალ დირექტორსაც მოუწია.

გუშინ, დილით, გაფიცული საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების ხელმძღვანელებს ელემენტარული სამუშაო პირობების შექმნას, ხელფასს და, საერთოდ, უმძიმესი სოციალური პირობების მოგვარებას სთხოვდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 ექსკლუზივი B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# უკანონო ჯიხურების აღებას წუხელ ხმაური მოჰყვა



წუხელ მარჯანიშვილის მოედანზე ტექნიკა მთელი ღამე მუშაობდა



დავით მუმლაძე



გამყიდველები იძულებულნი გახდნენ, აბარგებულიყვნენ

ვაჟა ქორიძის ფოტო

წუხელ მარჯანიშვილის მოედანზე, ღამის ორ საათზე, დიდი ხმაური ატყდა. დედაქალაქის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ მოედანზე არსებული სავაჭრო ჯიხურების აღება დაიწყო. მოვაჭრეების წინააღმდეგობისა და პროტესტის მიუხედავად, საქალაქო სამსახურმა ჯიხურების აღება არ შეაჩერა. ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის დავით მუმლაძის განცხადებით, ყველა ჯიხური დროებითი ნაგებობაა, რომლებსაც ვადა კარგა ხანია გაუვიდა და ტერიტორია ამ ნაგებობისგან უნდა გაიწმინდოს. ჯიხურების მეპატრონეები ორი თვით ადრე გააფრთხილეს, მაგრამ ისინი ამ გაფრთხილებას არასერიოზულად მოეკიდნენ.

**"თავად გამყიდველები არაფერ შუაში არიან. ეს ჯიხურები ეკუთვნით კორუმპირებულ და გაქსუებულ ჩინოვნიკებს, რომლებიც, მიუხედავად გაფრთხილებისა, ამ ხალხსაც ატყუებდნენ - ნუ გეშინიათ, ჯიხურებს ხელს ვერავინ ახლებსო. ეს ხმაურიც ამ სიცრუის შედეგია",** - თქვა დავით მუმლაძემ. მისივე განცხადებით, მოედანი დილისთვის მთლიანად გაწმენდილი იქნება.

*"24 საათი"*

# შევარდნაძე ლუკაშენკოს ემსგავსება

პირველი გვერდიდან

## საპროტესტო გამოსვლებზე...

**"საარჩევნო კოდექსზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საქართველოს პარლამენტში და მიმდინარეობს კიდეც. მე ვთქვი, რომ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური ძალების რაც შეიძლება ფართო სპექტრი უნდა იყოს წარმოდგენილი. ვფიქრობ, პრეზიდენტსაც უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები, თუმცა ესეც პარლამენტის გადასაწყვეტია..."** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ **"ხელისუფლება მზად არის კომპრომისისთვის".** თუმცა, გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ამ "კომპრომისის" კონკრეტული შინაარსი არ გაუცვნია.

ცხადია, ედუარდ შევარდნაძე კატეგორიულად უფრთხის სახალხო გამოსვლებს და საზოგადოებასაც აფრთხილებს: **"მაჩვენეთ, რომელ ნორმალურ ქვეყანაში წყდება საარჩევნო კომისიის საკითხები ქუჩაში? თუ ვინმე აპირებს, ამ გზით ზეწოლა მოახდინოს პარლამენტზე, შეგახსენებთ, რომ ეს დრო უკვე გაიარა საქართველომ. კარგად ვნახეთ, როგორ წყდებოდა საკითხები ქუჩაში და ჯერაც ვერ გამართულა ამის გამო წელში ქვეყანა,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა და დაასკვნა, რომ შიდასაპარლამენტო კონსულტაციებს ჯერ კიდევ არ ამოუწურავს რესურსი.



REUTERS

*გუშინ შევარდნაძე-ლუკაშენკოს გვერდი-გვერდ ჯდომა შემთხვევითობას მივაწერეთ, დღეს კი, საქართველოს პრეზიდენტმა თავად დაადასტურა, რომ შემთხვევითი ამ ქვეყნად არაფერია.*

გუშინ კანცელარიის წინ მიწისძვრით დაზარალებულთა და "ნაციონალების" ერთობლივ აქციასთან დაკავშირებით კი საქართველოს პრეზიდენტმა ირონიულად შენიშნა:

**"აქციებით რომ შეიძლებოდეს იმ ფულის შოვნა, რაც დაზარალებულთა დასაფინანსებლად არის საჭირო, მეც გამოვიდოდი ქუჩაში. ერთ სამას კაცსაც გამოვიყვანდი კანცელარიიდან..."**

## ზოგადად-ფონდებზე, კონკრეტულად-სოროსზე...

**"ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში ანტისახელმწიფოებრივად განწყობილ ჯგუფებს აფინანსებს..."** - "გვარის დაუსახელებლად" განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციულ რადიოინტერვიუში. გვარი ედუარდ შევარდნაძეს ბრიფინგზეც არ დაუსახელებია - როგორც თავად აღნიშნა, იმიტომ, რომ **"ეს ფონდი ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს".** თუმცა, დამატებითმა მინიშნებამ, კიდევ უფრო ნათელი გახადა, რომ პრეზიდენტის განცხადება, შემდგომში კი - მუქარა, სწორედ სოროსის ფონდს ეხებოდა: **"მე შემიძლია ვუთხრა, რომ საქართველოში ველარ იქნები, როგორც ეს უკრაინის და რუსეთის პრეზიდენტებმა გააკეთეს. იმიტომ, რომ პოლიტიკა არ არის შენი საქმე..."** - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა, რომ ამ სიტყვებს (ანუ გაფრთხილებას), იმედია, **"მიუტანენ იმ კაცს".**

საქართველოს პრეზიდენტს ასე მკვეთრად არასოდეს გაუმჟღავნებია გაღიზიანება სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პროცესებით და მაგალითადაც სწორედ ის ქვეყნები დაასახელა, სადაც სამოქალაქო საზოგადოების უფლებების შეკვეცა ხელისუფლების შენარჩუნების მთავარი პირობაა. მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია სიმპტომები, რომელიც ქვეყნის კურსის ცვლილებაზე მიანიშნებს. როგორც რუსები ამბობენ, ცუდი მაგალითი გადამდებია...

# „ნაციონალები" დიდი აქციისთვის მზადებას შეუდგნენ

*დღეს პარლამენტის წინ დაგეგმილი საპროტესტო აქცია გაიმართება, მანამდე კი, "ნაციონალები" უფრო დიდი აქციისთვის მზადებას შეუდგნენ, რომელიც 17 ივნისს აქვთ დაგეგმილი და ხალხის მოყვანას საქართველოს ყველა რაიონიდან აპირებენ. პირველი გასვლა მათ რუისსა და სურამში ჰქონდათ.*

ბელა მახარაძე

რუისელები ძალზე დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ საარჩევნო კანონის დემოკრატიულად მიღებაში და "ნაციონალებს" ორასამდე რუისელი დროშების ფრიალით შეეგება. აქციის ორგანიზატორებმა მოსახლეობას ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული "დრაკონული" საარჩევნო კოდექსი გააცნეს.

"ნაციონალების" ლიდერებმა დავით ბერძენიშვილმა, ზვიად ძიძიგურმა და ბესო ჯუღელმა რუისელებს მინიმიტინგი ჩაუტარეს, რომლის მთავარი მიზანი იყო ხალხის გააქტიურება და 17 ივნისს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღება.

"ნაციონალებმა" რუისელების პირობა მიიღეს, რომ ისინი აუცილებლად წავლენ, სადაც საჭიროა, ოღონდ აღსრულდეს ლოზუნგი "საქართველო შევარდნაძის გარეშე". **"შენ ოღონდ თქვი, შვილო, და ყველგან წამოვალთ",** - ძიძიგურის მისამართით რეპლიკებს ისროდა თვალზე ცრემლმომდგარი ქალბატონი.

რუისელები ოდნავ განაწყენებულნი დარჩნენ მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ მიხეილ სააკაშვილი მათ საპატიო მიზეზების გამო ვერ ესტუმრა. ძიძიგურმა სიტუაციის გამოსასწორებლად ხალხს განმარტება მისცა: **"ხვალინდელი აქციისთვის თბილისში დიდი მზადება მიდის, ამიტომ სააკაშვილმა ჩამოსვლა ვერ მოახერხა",** და იქვე შეახსენა მათ, რომ 17-ში თბილისში ელოდება, ხელისუფლების **"დემოკრატიულად გაპანღურებაში"** დასახმარებლად.

რუისელებთან შეხვედრით კმაყოფილმა "ნაციონალებმა" გზა სურამისკენ გააგრძელეს, მაგრამ, როგორც გზაში გაირკვა, სურამის რაიონის გამგებლის მოადგილე მათ გზის გადაკეტვას უპირებდა. ბოლოს იგი დარბაზში დენის გამორთვით დაკმაყოფილდა, თვითონ კი, გავრცელებული ინფორმაციით, გორში გაეშურა. ამ ინციდენტმა, როგორც ჩანს, ზეგავლენა იქონია სურამელებზე და ჩასულ სტუმრებს ნახევრად ცარიელი დარბაზი და ჩართული გენერატორი დახვდათ.

"ნაციონალების" მკვეთრ გამოსვლებზე ამ ფაქტს დიდად არ უმოქმედია და ისინი ხელისუფლების ლანძღვასა და ხალხის დარწმუნებას შეუდგნენ: **"ერთადერთი, რისაც დღეს ხელისუფლებას ეშინია, ეს თქვენ ხართ, მათ მხოლოდ ხალხის ძალა თუ გადააყენებს",** - აიმედებდა სურამელებს ბერძენიშვილი. რუისელებისგან განსხვავებით, "ნაციონალებს" სურამელებისთვის უფრო გაუჭირდათ იმის დამტკიცება, რომ სააკაშვილი მართლაც აპირებდა მათთან ჩასვლას. **"ყველაზე მეტად ტყუილი არ მიყვარს",** - ამბობდა ერთი იმედგაცრუებული მოხუცი.

"ნაციონალებმა" ხალხს შეძლებისდაგვარად განუმარტეს, თუ რაში მდგომარეობს დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების აუცილებლობა, თუმცა, რუისელებისგან განსხვავებით, ერთსულოვანი დაპირება 17 ივნისს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე ვერ მიიღეს.

# ამერიკელი სარდლები საქართველოს ჰაერიდანაც სწავლობენ

*ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" მესამე ფაზის (სახელწოდებით "ჩარლი") გახსნიდან ერთი კვირის თავზე, საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ძალების სარდალი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი მაიკლ ჰეიგი ესტუმრა. ყველა წინამორბედი მაღალჩინოსნის მსგავსად, ჰეიგმაც პირველ ყოვლისა "ამერიკულ ბაზად" წოდებული კრწანისის სასწავლო ცენტრი მოინახულა, შემდეგ კი მარნეულის სამხედრო-აეროდრომსაც გადაუფრინა, რამაც ამერიკელი გენერლის ვიზიტს ერთგვარი ინტრიგა შესძინა.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ამერიკელი გენერლების გახშირებულ, ერთდღიან და თითქმის უსიტყვო ვიზიტებს საქართველოში უკვე ყველა მიეჩვია (ამის შემდეგ, ალბათ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ არის სიტყვაძუნწი ამერიკის სამხედროსკოლაგავლილი თევზაძე). ამერიკის მთავრობის მიერ 64 მილიონი დოლარის ფარგლებში დაფინანსებული ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა უპრეცედენტოა მთელ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეზე. ამიტომ საქართველოში ჩამოსული ყველა ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსანი ცდილობს, ნაკლები დრო დაკარგოს პროტოკოლურ შეხვედრებზე და მეტი ინფორმაცია მიიღოს უშუალოდ მისიის მონაწილეებისგან ამ პროგრამის მიმდინარეობაზე.

ამ მიზნით, 20 თებერვალს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი მარტინ ბერნდტი ჩამოვიდა, რომელმაც, კრწანისის პოლიგონის მონახულების შემდეგ, ხანმოკლე ბრიფინგი გამართა საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებთან ერთად და ყოველგვარი ოფიციალური განცხადების გარეშე დატოვა საქართველო. თუმცა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გენერალი ბერნდტის სტუმრობას ჰქონდა ერთგვარი "ფარული დღის წესრიგი", რაც ერაყელი დიქტატორის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის სამზადისის წინ საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენების შესწავლასაც გულისხმობდა.

აღსანიშნავია, რომ 2 ივნისს იგივე მარშრუტი გაიმეორა ამერიკელ საზღვაო ქვეითთა სარდალმა, ოთხვარსკვლავიანმა გენერალმა მაიკლ ჰეიგმა, რომლის სტუმრობის დღის წესრიგში ამჯერად უშუალოდ იყო შეტანილი მარნეულის სამხედრო აეროდრომის დათვალიერება, რამაც საქართველოს სამხედრო აეროდრომების გამოყენების მივიწყებული თემა კვლავ წინ წამოწია.

თუმცა, როგორც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გენერალმა ჰეიგმა განაცხადა, მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი ამერიკელი ინსტრუქტორების და "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ინსპექტირება ყოფილა, ხოლო რაც შეეხება მარნეულის სამხედრო აეროდრომს, იგი ამერიკელ გენერალს მხოლოდ ვიზუალურად, ვერტმფრენიდან დაუთვალიერებია.

ამერიკელმა გენერალმა, ასევე უპასუხოდ დატოვა შეკითხვა, აპირებს თუ არა ამერიკა საქართველოს სამხედრო აეროდრომების ინფრასტრუქტურის გამოყენებას. თუმცა, უდავოა, რომ მაიკლ ჰეიგმა, რომელსაც ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მუშაობის გამოცდილება აქვს, კარგად უწყის, თუ რას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ყველა სამხედრო ობიექტის რეალური შესაძლებლობა საომარ ვითარებაში.

# 2 ივნისი ჩვეულებრივი დღეა

მაია მოსიაშვილი

გუშინ ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსთავისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენები თბილისი-რუსთავის გზატკეცილიდან რამდენიმე ათეულმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა. საქმე, რომლის გახსნასაც სამართალდამცველები სასწრაფოდ აპირებდნენ, ჯერაც გაუხსნელია. ერთი წლის შემდეგ კვლავაც მკითხაობის საგნად არის ქცეული, ვის აწყობდა ასეთი ვანდალური აქტის მოწყობა, ვინ იყო შემკვეთი - რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი თუ ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე. ტყეშელაშვილი დასაწყისშივე ღიად დაუპირისპირდა მამალაძეს და ის მთავრ შემკვეთად დაასახელა, ეს მაშინ, როცა მამლაძე ბიულეტენების საქმესთან დაკავშირებით მკვეთრი განცხადებების გაკეთებას ყოველთვის თავს არიდებდა. იგივე განმეორდა გუშინაც.

**"გადმომცეს 25 ადამიანის სია, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ იმ აქციაში. მე ამ სიას არავის ვაჩვენებ. აქ არიან ქვემო ქართლის პოლიციის სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლები, რომელთაგან უმრავლესობამ მომხდარის შემდეგ ერთი საფეხურით წინ წაიწიეს. მათ შორის ოთხი რუსთავის პოლიციიდან იყო. მონაწილეობას იღებდა ერთ-ერთი დეპუტატიც, რომელიც მანქანაში იჯდა,"** - ფურცელი, რომელზეც ტყეშელაშვილის განმარტებით, დამნაშავეთა გვარები იყო ჩამოწერილი, რუსთავის მერმა საგულდაგულოდ შეინახა. მან არც ის გაამხილა, თუ ვისგან მიიღო ინფორმაცია. **"ამბავი 3 კაცში არ იმალება და 25-ში მით უფრო ვერ დაიმალებოდა,"** - აცხადებს ის.

2 ივნისის ინციდენტის გახსენებას თავს არიდებს გუბერნატორი მამალაძე. გუშინ მან ამ თემაზე არანაირი კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

**"ჩემთვის ცნობილია ორი მთავარი შემკვეთის გვარი. ესენი შევარდნაძე და მამალაძე არიან,"** - ერთი წლის წინანდელ ფრაზებს იმეორებს რუსთაველ "ნაციონალთა" ლიდერი გია ხევიაშვილი, რომელიც გუშინ თავის თანამოაზრეებთან ერთად რუსთავის მერიის წინ აქციის გამართვას და ოპოზიციის მომავალი საპროტესტო გამოსვლების ანონსირებას აპირებდა. ამ აქციის ჩასატარებლად "ნაციონალების" მიერ რუსთავის მერიის წინ მოწვეული პენსიონერები (ჯერჯერობით სხვა გამოკვეთილი ელექტორატი მათ არც ჰყავთ) უკვე ადგილზე იყვნენ, როცა დედაქალაქში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები დაიწყო. მათ, ეგრეთ წოდებული, "მამალაძის ქალები" და მათ მიერ მოყვანილი ხალხი შეუერთდნენ და არეულობის მზად იყო. დატოვებულ და დაუპატიჟებელ პენსიონერებს მერიის თანამშრომლებმა და ნაციონალებმა ერთი საათის განმავლობაში ზევით-ქვევით არბენინეს, მერე ცოტა ხანს გაესაუბრნენ, პენსიების მიცემას დაჰპირდნენ და სახლებში გაისტუმრეს.

ერთი წლის წინანდელი 2 ივნისი ქართველმა პოლიტიკოსებმა ხალხის და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ სამარცხვინო დღედ შეაფასეს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს იმას, რომ მოძალადეებმა მათი კონსტიტუციური უფლება აბუჩად აიგდეს. თავად ხალხი კი, რომლებსაც ბიულეტენები და არჩევანის უფლება შარაგზიდან აცალეს, დღეს გაცილებით გულგრილი და უფრო მეტად გულმავიწყია, ვიდრე ერთი წლის წინ. "24 საათმა" რუსთავის ქუჩებში გამოკითხვა მოაწყო. კითხვაზე - თუ გახსოვთ, დღევანდელი დღე, 2 ივნისი, რა დღეა? - გამოკითხულთა სრული უმრავლესობა პასუხობდა: "2 ივნისი? არ ვიცი, ალბათ, ჩვეულებრივი დღე..."

# მოკლედ

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი ოპოზიციური პარტიების მიერ 3 ივნისისთვის დაგეგმილ მანიფესტაციას ჟვანიას მიერ ჩაფიქრებულ რევოლუციის მცდელობად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ხვალ ვითარების კონტროლი მთლიანად ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა იკისრონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას აზრით, ხელისუფლება "ძალიან შეშინებულია" სამშაბათს ხუთი ოპოზიციური პარტიის მიერ პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილი საპროტესტო აქციით, რომლის მიზანიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" მხარს უჭერს რიგი ოპოზიციური პარტიების მიერ სამშაბათს დაგეგმილ საპროტესტო აქციას, რომელიც დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებისათვის ბრძოლას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებით, ემზარ კვიციანი დევნილთა დაბრუნების სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს. დღესვე ემზარ კვიციანმა თავის წარმომადგენლებს დაავალა გალის რაიონში დაბრუნების მსურველ დევნილთა რეგისტრაცია. მისი განცახდებით, დაახლოებით 100 ათასმა დევნილმა უკვე გამოთქვა სურვილი გალის რაიონში მშვიდობიანი მანიფესტაციით დაბრუნებასთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ხელისუფლებამ ორშაბათს განაცხადა, რომ მზად არიან რუს სამშვიდობოთა მანდატის საკითხთან დაკავშირებით ქართულ და რუსულ მხარეებთან კონსულტაციები გამართონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სეპარატისტული აფხაზეთის პოლიტიკურ სპექტრს ახალი ოპოზიციური პარტია "ახცარა" შეემატა. გუშინ სოხუმში ამ პოლიტიკურმა პარტიამ თავისი მანიფესტი პროკლამაციების სახით გაავრცელა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი 3-4 ივნისს სომხეთში დსთ-ს სპეცსამსახურების პირველი პირების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. **პრაიმ-ნიუსი**

# „აღორძინება" ქურთულ-ქართულად

ვერიკო თევზაძე

ამიერიდან, ასლან აბაშიძის პარტია საქართველოს აღორძინებას ქურთ იეზიდებთან ერთად გააგრძელებს. გუშინ, სრულიად საქართველოს იეზიდთა კავშირის თავმჯდომარემ როსტომ ატაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი საზოგადოებრივი გაერთიანება არჩევნებში დემოკრატიული აღორძინების კავშირს დაუჭერს მხარს. იეზიდები "აღორძინებაში" ბლოკის სახით არ შედიან, ისინი აბაშიძის პარტიაში წევრიანდებიან.

როგორც ცნობილია, სახელისუფლებო პარტიამ უკვე გვამცნო, რომ საქართველოში მცხოვრები ქურთები მათ უჭერენ მხარს. "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია და როსტომ ატაშვილი ამ ფაქტს უარყოფენ. ბაკურიას თქმით, როცა ჯორბენაძემ შეიტყო, რომ "აღორძინება" ქურთ იეზიდებთან კონსულტაციებს მართავდა, დაასწრო მათ და ქურთები თავისთან მიიპატიჟა.

"მოქკავშირის" შეკრებაზე მყოფი ქურთებიდან (შეკრება ცოტა ხნის წინ გაიმართა) 80 პროცენტი სრულიად საქართველოს იეზიდთა კავშირის წევრი იყო. ამას არც ატაშვილი უარყოფს, თუმცა ცდილობს, თავი იმართლოს:



*ქურთებით გაძლიერებული "აღორძინება" მომავალს იმედიანად შეჰყურებს.*

**"ქურთი იეზიდები ჯორბენაძესთან იმიტომ მივიდნენ, რომ უბრალოდ, აინტერესებდათ, რას დაჰპირდებოდა მათ სახელისუფლებო პარტია, მოეწონებოდათ თუ არა მისი პროგრამა."** დღევანდელი მონაცემებით, ათასი იეზიდი უკვე დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრია, შვიდი ათასი კი - "მხარდამჭერის" სტატუსს სჯერდება. ჯერჯერობით უცნობია, რას გადაწყვეტს დანარჩენი სამი ათასი. არ არის გამორიცხული, რომ მათ მოქკავშირის პროგრამა მოეწონათ... ყოველ შემთხვევაში, კავშირის სამი ათასი წევრის პოზიცია საზოგადოების თავკაცისთვის უცნობია.

როსტომ ატაშვილი აცხადებს, რომ ჯორბენაძე მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა, ჯერ მისი შეშინება სცადა, შემდეგ ხალხი მიუგზავნა - პროკურატურაში მოგაწყობო. **"მე მტკიცედ მწამს "აღორძინების,"** - თავისას არ იშლის ატაშვილი და სახელმწიფო მინისტრის მუქარას აინურშიაც არ აგდებს.

ერთი სიტყვით, წინასაარჩევნოდ ქურთ იეზიდებზე კონკურსია გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, ბაკურიას იეზიდების მხარდაჭერისა სჯერა, როსტომ ატაშვილს კი -აბაშიძის პარტიის მიერ საქართველოს აღორძინებისა. იქნებ, იეზიდთა კავშირის თავმჯდომარე სულაც არ არის ასეთი გულუბრყვილო: იგი წუხს, რომ ქურთ იეზიდებს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დღემდე წარმომადგენელი არ ჰყავდათ და დეპუტატობისთვის ემზადება: **"პარლამენტში მომეცემა საშუალება, ქურთ იეზიდთა ინტერესები დავიცვა."**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეკვაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი). დეპარტამენტები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), [illegible]. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა [illegible], [illegible], ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ოპოზიციამ საკოორდინაციო საბჭო შექმნა

ლენა მიქაძე

*გუშინ დილას გადაწყდა, რომ იმ ხუთი პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც გუშინ საკოორდინაციო საბჭო შეკრეს, დღეს მშვიდობიანი გზით სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პარლამენტისკენ დაიძრებოდნენ. "ახალმა მემარჯვენეებმა", "მოძრაობამ დემოკრატიული რეფორმებისათვის", "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" და "ტრადიციონალისტებმა", "სახალხო პარტიასთან" ერთად, პარლამენტის კედლებთან ის უნდა მოითხოვონ, რასაც მის კედლებში ვერ ეღირსნენ. კონკრეტულად, სულ მცირე - დღევანდელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმება. ეს საბჭოს პროგრამა-მინიმუმია, პროგრამა მაქსიმუმი კი არჩევნების სამართლიანად ჩატარებაა. სწორედ საამისოდ შეკრულმა საბჭომ პარტიებს კოორდინირება პარლამენტსა და მის გარეთ უნდა გაუწიოს. პირველი სერიოზული განაცხადი, ამ თვალსაზრისით, კარგა ხნის წინ ანონსირებული დღევანდელი აქცია უნდა ყოფილიყო. მართალია, დღის ბოლოსთვის საკრებულოში მიმდინარე მოვლენებმა ბევრს აურია დავთრები და საბჭოს გადაწყვეტილებაც ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ თავად შეკრებაზე დღის პირველ ნახევარში ასეთი განწყობა იყო...*



*საკოორდინაციო საბჭო მზადაა, ყველა საშუალება გამოიყენოს, საარჩევნო ადმინისტრაციებში პარიტეტის მისაღწევად.*

როგორც გახსოვთ, სწორედ ცესკო-ს დათხოვნის მოთხოვნით დატოვა საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გასულ კვირას და, წინააღმდეგ შემთხვევაში, 3 ივნისს აქციების გამართვით დაიმუქრა. თუმცა, სულ ტყუილად. საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში შეკრებილი ხუთი პარტიის წევრები გუშინ თავად აღიარებდნენ, რომ ხელისუფლება ოპოზიციას **"სულ უფრო და უფრო უარეს კომპრომისებს სთავაზობს"**, რომ ბოლო ვარიანტის მიხედვით, იგი სულ უფრო და უფრო სათავისოდ ჭრის და კერავს, ანუ კვოტებს იზრდის. ბიბლიოთეკაში შეკრებილ ოპოზიციას, სახელისუფლებო ბლოკის მიერ შეთავაზებული ბოლო ვარიანტის შესახებ ამბავი გუშინ "დემოკრატმა" მაღლაფერიძემ მიუტანა: **"ცესკო-ს ხელმძღვანელიც პრეზიდენტის მიერ ინიშნება"...**

ოპოზიციის მოთმინების ფიალამ ავსება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბლოკად გაერთიანების შემთხვევაში, პარტიებს შევარდნაძის მხარდამჭერმა ფრაქციებმა ცესკო-ში მხოლოდ ერთი კანდიდატის ყოლის უფლება დაუტოვეს. საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებულები ამ ყველაფერთან შერიგებას არ აპირებენ და შეურიგებლობისკენ საზოგადოებას, ფართო აუდიტორიასაც მოუწოდებენ. "დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ "დღევანდელ აქციაში საკმაოდ ცნობილი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას". "მემარჯვენე" გამყრელიძე ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციებზე საუბრობს - კრიმინალების ჯგუფის დემონსტრანტთა რიგებში შეგზავნაზე...

იმის გარანტიას, რომ დღევანდელი აქცია სერიოზულ მღელვარებაში არ გადაიზრდება, არავინ იძლევა, მათ შორის - თავად ოპოზიციის წარმომადგენლებიც. თუმცა, შესაძლო გართულებაზე პასუხისმგებლობას თავად სახელისუფლებო პარტიებს აკისრებს, **"რომლებიც ოპოზიციასთან რეალურ დათმობაზე არ წავიდნენ". "პარლამენტი თავისი უუნარობის გამო, ვერ ღებულობს გადაწყვეტილებას. სწორედ ამ აქციის სახით სწორი გზა შეირჩა. ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორი არჩევანი გააკეთოს"**, - "ნაციონალების" პარტიის ლიდერ სააკაშვილის პოზიციას ფრაქციის ლიდერი კემულარია აფიქსირებდა. პარტიებს აქციის ჩასატარებლად ნებართვა თბილისის მერიიდან არ აულიათ. როგორც დავით გამყრელიძე განმარტავდა, პარტიის ლიდერებმა თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ აშკარად განაცხადეს. გარდა ამისა, მშვიდობიანი აქციის ჩასატარებელ უფლებას კონსტიტუციის 25-ე მუხლიც იძლევა.

საკოორდინაციო საბჭომ გაერთიანებაში შესვლის ყველა მსურველს კარი ღიად დაუტოვა. მათ შორის, პირველ რიგში, "ლეიბორისტები" დასახელდნენ. ნათელაშვილს გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი ნამდვილად არ გამოუთქვამს. თავად საბჭოს წევრები კი (განსაკუთრებით, "ახლები"), არჩევნების სამართლიანად ჩატარების დიდი სურვილის მიუხედავად, მაინც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ "საბჭოს შექმნა ბლოკის შეკვრას არ ნიშნავს".

# პოლიტიკური სპექტრი კანცელარიის წინააღმდეგ



*ისინი უკან დახევას არ აპირებენ.*

*გუშინ, დღის სამ საათზე, ოპოზიციური პარტიების ლიდერები "ახალი მემარჯვენეების" ოფისში შეიკრიბნენ. დღის პირველ ნახევარში მათ შორის მიმდინარე კონსულტაციების შედეგის თაობაზეც სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი. საათნახევრიანი დახურული კონსულტაციების შემდეგ გაიმართა საგანგებო ბრიფინგი, რომელსაც თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ესწრებოდა. "თუკი ხელისუფლება არ გამოიყენებს ბოლო შანსს და დღევანდელ სხდომაზე პარლამენტი სამივე მოსმენით არ მიიღებს ცესკო-ს დაკომპლექტების პარიტეტულ პრინციპს, ხვალიდან ჩვენი მხარდამჭერები მშვიდობიან მანიფესტაციებს დაიწყებენ და გამოსვლები მთელ საქართველოს მოედება", – აცხადებდა თითოეული გამომსვლელი.*

თამარ ასათიანი

გუშინდელი დღე მართლაც საკმაოდ დრამატულად წარიმართა. ჯერ იყო და, ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი კოალიცია "სამართლიანი არჩევნებისათვის" გააფორმეს, შემდეგ მოვლენების ეპიცენტრმა უკვე თბილისის საკრებულოში გადაინაცვლა, სადაც მიწისძვრისაგან დაზარალებულებთან შესახვედრად მისულ სახელმწიფო მინისტრს მიხეილ სააკაშვილთან ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე მოუხდა საუბარი. ამან კი მოვლენები საკმაოდ არასტანდარტულად განავითარა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, სრულიად მოულოდნელად, ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მომრიგებლის ფუნქცია დააკისრა (როგორც ამბობენ, ამის გამო სააკაშვილს ოპოზიციონერებისაგან საყვედურის მოსმენაც კი მოუხდა. მოგვიანებით კი, ბრიფინგზე საკრებულოს თავმჯდომარემ ცალსახად განაცხადა, რომ მას დამოუკიდებლად არ უმოქმედია და იგი სახელმწიფო მინისტრს ოპოზიციის სახელით ელაპარაკებოდა. ეს ინფორმაცია სხვა პარტიების ლიდერებმაც დაადასტურეს. სააკაშვილის დასაცავად თავი, განსაკუთრებით, "ტრადიციონალისტთა" ლიდერმა აკაკი ასათიანმა გამოიდო).

უნდა ითქვას, რომ პირველად სწორედ მიხეილ სააკაშვილმა ამცნო, ჯერ თავის ოპოზიციონერ კოლეგა-პოლიტიკოსებს და შემდგომ უკვე - ჟურნალისტებს, რომ **"მთავრობა მზად არის, დათმობაზე წავიდეს და პარტიებს ყველა დონის საარჩევნო კომისიების პარიტეტული წესით დაკომპლექტების საშუალება მისცეს."** მანვე განაცხადა, რომ თუკი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი ფრაქციები ამ ბოლო შანსს არ გამოიყენებდნენ, სრულიად საქართველოს სახალხო გამოსვლების ტალღა მოიცავს.

ამის შემდგომ, ოპოზიციონერთა კოჰორტა თბილისის საკრებულოსაკენ გაემართა, სადაც მათ კონსულტაციები უკვე სახელმწიფო მინისტრთან გააგრძელეს.

საგულისხმოა, რომ თავად ავთანდილ ჯორბენაძეს, საკრებულოს შენობაში შესვლამდე, მიწისძვრით დაზარალებულთა ცოცხალი კედლის "განგრევა" მოუხდა – მანდილოსნებმა იგი შენობაში მანამ არ შეუშვეს, სანამ მისგან "ქვის გამხეთქი" დაპირება არ მიიღეს, "აუცილებლად დაგეხმარებითო..."

თავად "ახალ მემარჯვენეებთან" გამართული კონსულტაციების შემდგომ, ოპოზიციონერებმა კონკრეტული მოთხოვნები ჩამოაყალიბეს და ცესკო-ს დაკომპლექტების მორიგი მოდელი განსაზღვრეს. ჩვენი ინფორმაციით, ეს მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იმ პარტიათა თითოთითო წარმომადგენელი უნდა შევიდეს, რომლებმაც 1999 წლის საპარლამენტო და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს ოთხპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს, ასევე კომისიაში წევრის ყოლის უფლება ექნება ყოფილ უზენაეს საბჭოს, თითო-თითო წევრს კი პრეზიდენტი და ავტონომიების ხელმძღვანელები დანიშნავენ.

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ოპოზიციონერებს ორი მკვეთრად გამოხატული მოთხოვნა აქვთ: დღეს მოქმედი ცესკო-ს გაუქმება და ახალი კომისიის პარიტეტულ საწყისზე დაკომპლექტება. მისივე განცხადებით, **"პარიტეტი არა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, არამედ მთელ ვერტიკალზე – ანუ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებზე უნდა გავრცელდეს"**.

რაც შეეხება ცესკო-ს თავმჯდომარეს, ოპოზიციის განცხადებით, იგი აუცილებლად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ფიგურა უნდა იყოს. უფრო მეტიც: გუშინ გაირკვა, რომ ამ პოსტზე ოპოზიციურ პარტიებს უცხოელის, უფრო კონკრეტულად კი - ეუთო-ს, ევროსაბჭოს ან ევროკავშირის წარმომადგენლის ხილვა სურთ.

ამავე ბრიფინგზე ოპოზიციონერებმა კვლავ განაცხადეს: სახელმწიფო მინისტრთან დიალოგის დაწყება სულაც არ ნიშნავს, რომ დღეისთვის დაგეგმილი სამშვიდობო მანიფესტაცია აღარ შედგება. მეტიც: "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, დავით გამყრელიძის თქმით, **"მათი მხარდამჭერები მობილიზებულნი არიან"** და მოლაპარაკებების ბოლო რაუნდის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, დღეს, დილის თერთმეტ საათზე მშვიდობიანი მანიფესტაცია აუცილებლად გაიმართება.

# არც ერთი ნაბიჯი უკან - ჩვენს უკან ცესკო-ა

პირველი გვერდიდან

უბრალოდ, საორგანიზაციო სტრუქტურა, რომელსაც მხოლოდ არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარება ევალება. იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლების სადავეების შენარჩუნების (ან მოპოვების) ყველაზე ქმედითი ბერკეტია. თუ ცესკო-ში უმრავლესობა სახელისუფლებო ბანაკს ეყოლება, ამ უკანასკნელის არაპოპულარობის და დაბალი რეიტინგის მიუხედავად, საზოგადოების პოლიტიკური ნების იგნორირება და არჩევნების შედეგების გაყალბება (მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს თუ?) სულ იოლად მოხდება. ცხადია, არჩევნების შედეგები რეალურთან არაადეკვატური იქნება მაშინაც, თუ ცესკო-ში ოპოზიცია "გაბატონდება" - ფრთაშესხმული ანგელოზები არც ოპოზიციაში არიან. მაგრამ თავად განსაჯეთ, როდის იქნება გაყალბების ხარისხი უფრო მაღალი, ანუ ვის უფრო სჭირდება გაყალბება: მოსახლეობაში ძალზე არაპოპულარულ ხელისუფლებას თუ ოპოზიციას, რომელიც, თავისი სიჭრელის მიუხედავად, რაღაც სამომავლო იმედებთან მაინც ასოცირდება და რომელსაც, როგორც ბოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ადასტურებენ, ელექტორატი ხელისუფლებაზე მეტად ენდობა. სწორედ ამიტომაც არის, რომ დღეს ცესკო არის "მიზანი, რომელიც არჩევნებზე მეტია".

ცესკო-ს დაკომპლექტების თაობაზე გაჩაღებულმა ბატალიებმა ერთი "საინტერესო ფაქტიც" წარმოაჩინა: პრეზიდენტისგან განსხვავებით, მისი მხარდამჭერი ძალები ძალიან უყაიროთოდ ექცევიან... ქაღალდს. ედუარდ შევარდნაძე იმდენად უფრთხილდება ამ ძვირადღირებულ საკანცელარიო საქონელს, რომ მისი დაზოგვის მიზნით, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსული სამშვიდობო ძალებისთვის ყოველ ექვს თვეში უფლებამოსილების გაგრძელების დოკუმენტურად გაფორმებაზე უარს ამბობს და მოსკოვს უვადო "ვიზას" სთავაზობს. ამ დროს კი, პროსახელისუფლებო ფრაქციათა ლიდერები ცესკო-ს დაკომპლექტების ახალ-ახალი ვარიანტების შედგენაზე უამრავ ქაღალდს ხარჯავენ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იციან, ოპოზიციისთვის ისინი სრულიად მიუღებელია. პროშევარდნაძისტული ბანაკი ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ თქვას: აი, შეხედეთ, როგორ კომპრომისებზე მივდივართ, რამდენ ვარიანტს ვთავაზობთ, ეგენი (ოპოზიცია) კი არანაირ შემხვედრ ნაბიჯზე არ მოდიანო.

ხელისუფლების ასეთ ფანდს ოპოზიცია კარგად ხედავს და უკან არც ის იხევს. "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ვასილ მაღლაფერიძის თქმით, ხელისუფლება, სხვადასხვა შესაფუთი მასალით, ერთი და იგივე დრაკონულ ვარიანტს ატრიალებს.

**"საპარლამენტო არჩევნების ბედი სწორედ ახლა წყდება. ხელისუფლების ძალიან სერიოზულ ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს, რომ ის დღესვე "ჩაატაროს" - თუ დარჩება არსებული ცესკო, და ხელისუფლებას საქმე სწორედ აქეთკენ მიჰყავს, მაშინ საქართველო მონოპარტიულ სისტემას მიიღებს. თუ ამჟამინდელი ცესკო არ გაუქმდება, არჩევნების ჩატარებას უკვე აზრი აღარ ექნება და დგება ხაზარაძის მუდმივი ეპოქა"**, - აცხადებს მაღლაფერიძე.

სახელისუფლებო ფრაქციების ლიდერები ოპოზიციის ბრალდებებს მრუდე სარკეში არეკლავენ და "ხურდად" უკან აბრუნებენ. **"ოპოზიციას უნდა, რომ მასობრივი აქციებითა და "ბუნტით" პარლამენტს ისეთი საარჩევნო კოდექსი მიაღებინოს, რომელიც საარჩევნო კომისიებში მათ აბსოლუტურ უმრავლესობას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, ჩვეული გაყალბების მანქანას აამუშავებს"**, - ოპოზიციის ჩანაფიქრს ასე "შიფრავს" ვიტალი "ედუარდოვიჩი" (ასეთი მამისსახელით, ხაზარაძე ერთ-ერთ ბოლო პლენარულ სხდომაზე მონათლეს).

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დღევანდელი მღელვარე დღის წინ, საქართველოს პარლამენტი გუშინ უჩვეულოდ მშვიდად გამოიყურებოდა. ეს, ალბათ, ქარიშხლისწინა სიმშვიდეს უფრო ჰგავდა. ასეთი სტილი მნიშვნელოვანწილად იმან უფრო განაპირობა, რომ დაძაბულობის ცენტრი საკანონმდებლო ორგანოდან დედაქალაქის საკრებულოში იყო გადატანილი - ხელისუფლებისა და ოპოზიციის მორიგი უშედეგო კონსულტაციები მიხეილ სააკაშვილის მიერ "კონტროლირებად ტერიტორიაზე" გაიმართა. ვნებათაღელვას არც მაშინ მოუმატია, როდესაც საკრებულოდან ინფორმაციის მომლოდინე დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარემ ღამის თერთმეტ საათზე აცნობა, რომ შეთანხმება ვერ შედგა. ამ "თავზარდამცემ" ამბავს პარლამენტარები სულაც არ შეუშფოთებია. ისინი ამას, უკვე დიდი ხანია, შინაგანად შეგუებულნი იყვნენ.

# გამოსავალი - სახალხო მოძრაობა

პირველი გვერდიდან

მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისადმი გულგრილობა ჯორბენაძემ დედაქალაქის მთავრობასა და საკრებულოს დააბრალა და თავად მიაცილა აქციის მონაწილეები მერიის შენობამდე: პასუხი ამათ მოსთხოვეთო. აქციის მონაწილეები "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები აღმოჩნდნენ, ამას არც სააკაშვილი უარყოფდა. საკრებულოს დარბაზში ჯორბენაძეს ოპოზიციის მიერ დანაქადნები ფართომასშტაბიანი აქცია და შეუთანხმებელი საარჩევნო კოდექსი შეახსენეს. სახელმწიფო მინისტრი დახურულ კარს მიღმა შეხვდა საკრებულოს თავმჯდომარეს, ამის შემდეგ ჯორბენაძე ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე დათანხმდა.

"ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები", "ტრადიციონალისტები", "ეროვნული თანხმობის დარბაზი" (გურამ აბსანძის პარტია), "სახალხო პარტია" – ეს გახლავთ ის ოპოზიციური ძალები, რომელთა ლიდერები გუშინ სახელმწიფო მინისტრს საარჩევნო კოდექსის "სამართლიანი ვარიანტის" მიღებას უშედეგოდ აიძულებდნენ. "ლეიბორისტებმა" და მათმა ლიდერმა, მიპატიჟების მიუხედავად, ოპოზიციურ სუფრას ხელი ჰკრეს და შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. თუმცა, ნათელაშვილი გუშინ ფეხი-ფეხზე გადადებული ნამდვილად არ იჯდა, მან სპეციალური ბრიფინგი გამართა, სადაც ხალხს "ძველი "მოქალაქეთა კავშირის" კვლავ გაერთიანება და სააკაშვილისა და ჯორბენაძის დაძმობილება" მიულოცა.

სახელისუფლებო ბლოკის პოზიციებს გუშინდელ სერობაზე "სოციალისტი" ირაკლი მინდელი, ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე და "ალიანსელი" ირაკლი გოგავა შეუპოვრად იცავდნენ.

**"დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმებას მივაღწევთ. ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული საუბრისთვის და გარკვეული დათმობებისთვისაც,"** – აღნიშნა სააკაშვილის კაბინეტისკენ მიმავალმა ჯორბენაძემ.

**"ვნახოთ, თუ ვერ მოვილაპარაკებთ, მაშინ აქცია არა მარტო ხვალ გაიმართება, ზეგაც გაგრძელდება, აგორდება სახალხო მოძრაობის ტალღა. ჩვენ ხელისუფლებას გაყალბებული არჩევნების ჩატარების უფლებას არ მივცემთ,"** – აცხადებდა თავყრილობის მასპინძელი მიხეილ სააკაშვილი.

ოპოზიციის მოთხოვნა იყო ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციების სრული პარიტეტის წესით დაკომპლექტება. ოპოზიციური მოდელით, წინა არჩევნებში ოთხპროცენტგადალახულ ყველა პოლიტიკურ ძალას, პრეზიდენტს და ხელისუფლების ყველა შტოს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები უნდა ჰყავდეს. ოპოზიცია წინააღმდეგია, ასევე, პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცენტრალური, საუბნო და საოლქო კომისიების თავმჯდომარეებისა. ოთხსაათიანი მასლაათის შემდეგ სააკაშვილის კაბინეტიდან გამოვიდა სახელმწიფო მინისტრი და კონსულტაციებისთვის კანცელარიაში გადაბარგდა. **"ეს ისეთი საკითხია, რომელიც აუცილებლად სახელისუფლებო ბლოკის ყველა წარმომადგენელთან უნდა შეთანხმდეს. მე ნახევარ საათში დავბრუნდები. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყანაში არ იყოს არეულობა,"** – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა და სააკაშვილის კაბინეტთან დათქმულ დროს ისევ გამოცხადდა.

ერთადერთი, რაზეც ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდა, ცესკო-ს თავმჯდომარის დანიშვნის წესი გახლდათ. სახელისუფლებო ძალები ოპოზიციას ჰპირდებიან, რომ ცესკო-ს თავმჯდომარეს პრეზიდენტი არ დანიშნავს.

როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, ჯორბენაძის "დაყოლიება" უფრო ადვილი იქნებოდა, რომ არა გოგავა-ხაზარაძისა და სახელისუფლებო ბლოკის დანარჩენი წარმომადგენლების დირექტივები.

**"თვითონ სახელისუფლებო ბლოკში არ არის ერთიანობა,"** – აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

დათმობა, რომელზეც გუშინ ხელისუფლება წავიდა, შეხვედრიდან გამოსულ ოპოზიციას სიცილადაც არ ეყო.

მიხეილ სააკაშვილი: **"ხმები ითვლება უბნებში, ცესკო-ს თავმჯდომარეზე მეტად, არჩევნების გაყალბება საუბნო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია. დაჯდება პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე, ვთქვათ, სადღაც მარნეულში, დაითვლის ხმებს და გამოაცხადებს, რომ არჩევნები ბანდიტმა მამალაძემ მოიგო... ასეთი სცენარის განვითარების საშუალებას ჩვენ ხელისუფლებას არ მივცემთ. მოვუწოდებ ყველა ჩვენს მხარდამჭერს, გამოვიდნენ ქუჩაში და დემოკრატიული არჩევნებისთვის ბრძოლას მხარი დაუჭირონ. ეს აქცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება დესტაბილიზაციის მიზეზი. დესტაბილიზაციას ის თურქმენეთის მოდელით შემუშავებული საარჩევნო კოდექსი გამოიწვევს, რომლის მიღებაც რჩეულიშვილ-მამალაძე-ხაზარაძე-სარიშვილის ოთხთა ბანდას უნდა."**

ზურაბ ჟვანია: **"ჩვენ დღეს აქ ვაკეთებდით მთელი ოპოზიციის საკეთებელ საქმეს, თუმცა ხელისუფლებასთან ვერაფერს გავხდით. მოვუწოდებ ყველას, ვისაც ადარდებს ჩვენი ქვეყნის ბედი, შევიკრიბოთ პარლამენტის შენობის წინ და ჩვენი მშვიდობიანი, მაგრამ ძალიან მკაცრი აქციით დავანახოთ ხელისუფლებას, რომ სამართლიანი არჩევანის უფლებას ვერ წაგვართმევს."**

დავით გამყრელიძე: **"ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ოპოზიცია ვერავითარ კომპრომისზე ვერ წავა. ჩვენ ვითხოვთ სრულ პარიტეტს საარჩევნო ადმინისტრაციების ყველა დონეზე. ხელისუფლება მზადაა, არჩევნები ისევ გაყალბებულად ჩაატაროს. ჩვენ ისღა გვრჩება, რომ ქუჩაში გამოვიდეთ. მოვუწოდებ ჩვენს მხარდამჭერებსა და ყველა ოპოზიციური ძალის გულშემატკივარს - გამოვიდეთ ქუჩაში და დავანახოთ ხელისუფლებას, რომ სერიოზულ ძალას წარმოვადგენთ."**

აკაკი ასათიანი: **"ის, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს, აბსოლუტურად მიუღებელია. ოპოზიცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს კომპრომისზე. "ტრადიციონალისტები" დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად გამოვლენ ქუჩაში."**

**"საბოლოო შეთანხმებამდე და გადაწყვეტილებამდე ჯერ კიდევ შორსაა,"** – აღიარა შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა.

ჯორბენაძე არ გამორიცხავს, რომ ოპოზიციასთან დიალოგი შემდგომაც გაიმართება. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან ურთიერთობას არც ოპოზიციური პარტიების ლიდერები გაურბიან. როგორც ზურაბ ჟვანია აღნიშნავს, კონსულტაციების გაგრძელება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არჩევნებია, ოპოზიციას არ დაეზარება, თუმცა სხვა საკითხია, ამ შეხვედრებს რა შედეგი მოჰყვება.

# შალვა ნათელაშვილი: „დღეს აღდგა ძველი და ახალი „მოქალაქეთა კავშირი"

**"ოპოზიციური პარტიების ნაწილის მიერ 3 ივნისს დაგეგმილ საპროტესტო აქციას, რომელიც დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების მოთხოვნით უნდა გაიმართოს, "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" მხარს არ დაუჭერს".** ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ დილით "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ფრიდონ ინჯიამ. მისი თქმით, **"აღნიშნული აქცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელისუფლებასა და ამ ძალებს შორის ადგილების გადანაწილებას ემსახურება".**

გუშინვე "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა.

**"წმინდა წიგნში, ბიბლიაში წერია, რომ არა არს დაფარული, რაც არ გაცხადდების. დღეს გაცხადდა უდავო ჭეშმარიტება, რის შესახებაც "ლეიბორისტული პარტია" არწმუნებდა ქვეყნის მოსახლეობას. დღეს აღდგა ძველი და ახალი "მოქალაქეთა კავშირი", აღდგა და გაიხარა. უკვე თვლა აღარ აქვს ურთიერთვიზიტებს, ურთიერთმოფერებას და ტკბილ ურთიერთჟღურტულს. მინდა გითხრათ, რომ ეს ჟღურტული სულაც არ არის პოეტის იმ ფრაზის მსგავსი - კიდევ ერთხელ გამაგონე ეგ ხმა ტკბილი ჩემს მამულში. მათი ეს ხმა არის მომავალი არჩევნების გაყალბების ხმა"** - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

"ლეიბორისტთა" ლიდერის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა დღეს და ხვალ შემდგარი გარიგებების ფონზე ამომრჩეველთა ხმები გაიყოს ძველსა და ახალ მოქალაქეთა კავშირს შორის. ამ ე.წ. კონსტრუქციული მოლაპარაკებების უკან კონკრეტული ოლიგარქიული ჯგუფები და დოლარები იმალება.

შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ საარჩევნოდ ოლიგარქიული გადატრიალება მზადდება. **"ყველაფერი, რაც ახლა ხდება, არის შეთქმულება ხალხისა და "ლეიბორისტული პარტიის" წინააღმდეგ; საუბარია შევარდნაძისტული უმრავლესობის შექმნაზე საარჩევნო კომისიებში, რაც თავისთავად მოიტანს მათი აზრით, შევარდნაძისტულ უმრავლესობას მომავალ პარლამენტში. მთელი სქემებია გათვლილი, რომ "ლეიბორისტული პარტია" მოაყოლონ უმცირესობაში"** - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნათელაშვილმა.

# ქსნის მინის ქარხნის ბედი უზენაესი სასამართლოს ხელშია

*სააქციო საზოგადოება "მინა", იგივე ქსნის მინის ტარის ქარხანა, რომლის აქციათა 81 პროცენტი ცნობილ თურქულ კომპანია, "შიშეჯამს" ეკუთვნის, შესაძლოა, გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მისი ბედი 4 ივნისს უზენაეს სასამართლოში გადაწყდება, სადაც "მინასა" და შპს "რაინდი-1"-ს შორის წარმოქმნილი დავა განიხილება. საქმე ეხება ხუთ მილიონ დოლარს, რომლის ანაზღაურებასაც "რაინდი-1" ქსნის მინის ქარხნისაგან მოითხოვს. თუ სასამართლო დავა "რაინდი-1"-ის სასარგებლოდ გადაწყდება, თურქი ინვესტორი ქონების მართვის სამინისტროსთან დადებული კონტრაქტით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს და სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელს ჟენევის საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანს.*

სოფო კვინტრაძე

ქსნის მინის ქარხნის ქონებას ამჟამად ყადაღა ადევს, მათ შორის - იმ უახლესი ტექნიკის დანადგარებსაც, რომელიც ინვესტორმა ცხრა მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შეისყიდა და ახლახან დაამონტაჟა ქარხანაში. მთლიანობაში "შიშეჯამმა" ქარხანაში 1997 წლიდან დღემდე 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. შედეგად, "მინა" წელიწადში 150 მილიონ მინის ბოთლს ამზადებს და ქართულ თუ უცხოურ ბაზრებზე ყიდის. ქარხნის პროდუქციით, 70-ზე მეტი კომპანია მარაგდება, მათ შორის არიან ცნობილი კომპანიები: "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", "ბაგრატიონი 1882", "ყაზბეგი", "კასტელი-საქართველო", "საქართველოს მინერალური წყლების კომპანია", "ნაბეღლავი" და ა.შ. დღეს კი სააქციო საზოგადოება "მინას" დირექტორი, გიორგი ჩხეიძე აცხადებს, რომ ქართული მინის წარმოებას, რომელიც ერთადერთია საქართველოში და უმსხვილესი ამიერკავკასიაში, საფრთხე ემუქრება. ჩხეიძის განცხადებით, თუ სასამართლო საწარმოს ხუთი მილიონი აშშ დოლარის გადახდას დააკისრებს, "მინა" გაკოტრდება.

"მინასა" და "რაინდი-1"-ს შორის დავის საგანი რუსეთში გატანილი "მინას" კუთვნილი მანქანა-დანადგარები გახდა. როგორც ცნობილია, 1997 წელს ქონების მართვის სამინისტრომ ქსნის მინის ქარხნის აქციები თურქულ კომპანია "შიშეჯამს" მიჰყიდა. ქარხნის ბალანსზე იმ დროისათვის ირიცხებოდა მანქანა-დანადგარები, რომლებიც ჯერ კიდევ 1996 წელს გაიტანეს რუსეთში, ანოპინოს მინის ტარის ქარხანაში, ერთობლივი საქმიანობის მიზნით. ქსნის მინის ქარხანასა და ანოპინოს მინის ქარხანას შორის 1996 წლის 10 იანვარს დაიდო ერთობლივი საქმიანობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, რუსული საწარმო მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციას მოახდენდა, ხოლო მოგებას თანაბრად გაუყოფდა "მინას". როგორც "მინას" დირექტორი, გიორგი ჩხეიძე აცხადებს, თურქმა ინვესტორმა შემოსვლისთანავე გადაწყვიტა ამ დანადგარების გაყიდვა და, ქონების მართვის სამინისტროს რეკომენდაციით, ისინი "რაინდი-1"-ს 1998 წლის მარტში 79 ათას ლარად მიჰყიდა. ამდენად, "შიშეჯამის" მფლობელობაში დანადგარები მხოლოდ რამდენიმე თვე იმყოფებოდა. გიორგი ჩხეიძე აცხადებს, რომ მათ ერთი თეთრის მოგებაც კი არ მიუღიათ ამ დანადგარების მუშაობიდან. მას შემდეგ, რაც "რაინდი-1"-სა და "მინას" შორის ყიდვა-გაყიდვის აქტი გაფორმდა, რუსეთში არსებული დანადგარების მფლობელიც და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეც "რაინდი-1" გახდა. როგორც "რაინდი-1"-ის ადვოკატი, კობა ბობოხიძე აცხადებს, ეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1998 წელს შეიქმნა, ხოლო რუსეთში არსებული დანადგარები მან იმ მიზნით შეიძინა, რომ




საწარმოს დირექტორი, გიორგი ჩხეიძე: "თუ სასამართლო საწარმოს ხუთი მილიონი აშშ დოლარის გადახდას დააკისრებს, "მინა" გაკოტრდება.

ექსპლუატაციიდან მიღებული მოგებით ხანდაზმული სპორტსმენების ოჯახებს დახმარებოდა.

მხარეებს შორის დავა მას შემდეგ დაიწყო, რაც 1998 წლის დეკემბერში "რაინდი-1"-მა ანოპინოს ქარხნისაგან გადმორიცხული 200 ათასი რუსული რუბლი მიიღო. საგადასახადო დავალებაში მითითებული გახლდათ, რომ ანოპინო "რაინდი-1"-ს, მხარეებს შორის არსებული საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირას უგზავნიდა. კობა ბობოხიძის განცხადებით, პირველად სწორედ მაშინ გახდა "რაინდი-1"-ისთვის ცნობილი, რომ დანადგარებს საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად უწევდნენ ექსპლუატაციას და არა ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

"მინას" ადვოკატი, ნიკა ღვინაძე კი აცხადებს, რომ 1996 წლის 10 იანვრის ერთობლივი საქმიანობისა და თანამშრომლობის გენერალური ხელშეკრულების პარალელურად, იმავე თარიღით, ქსნის და ანოპინოს მინის ქარხნებს შორის საიჯარო ხელშეკრულებაც იყო დადებული. ღვინაძის განმარტებით, ხელშეკრულებები ერთმანეთის იდენტურია, ანუ საიჯაროც და თანამშრომლობის ხელშეკრულებაც მხარეებს შორის მოგების 50/50 გაყოფას ითვალისწინებდა. **"საიჯარო ხელშეკრულებით მუშაობა ანოპინოს საშუალებას აძლევდა, რომ რუსეთის საგადასახადო ორგანოებთან უფრო შეღავათიანი რეჟიმით ემუშავა, სწორედ ამიტომ მოხდა ამ ხელშეკრულების გაფორმება,"** – აცხადებს ნიკა ღვინაძე. "რაინდი-1"-ის ადვოკატის, კობა ბობოხიძის განცხადებით, მის კლიენტს ქონება უფლებრივი ნაკლით გადაეცა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ "რაინდი-1"-მა წლების მანძილზე თავისი კუთვნილი მოგება ვერ მიიღო. ბობოხიძის განცხადებით, "რაინდი-1"-მა ანოპინოსგან საიჯარო გადასახადის მიღებაზე უარი განაცხადა და მას ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად მუშაობა მოსთხოვა, რაზეც ანოპინომ უარი განაცხადა. კობა ბობოხიძის თქმით, რუსული მხარე "რაინდი-1"-ს დანადგარების მესაკუთრედ არ ცნობდა და თავის კუთვნილ მოგებასაც არ უნაწილებდა.

"რაინდი-1"-მა უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა და, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნივთის უფლებრივი ნაკლის გამოსწორება და საიჯარო ხელშეკრულების მოშლა მოითხოვა. უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, "რაინდი-1"-ის სარჩელი დააკმაყოფილა. მოგვიანებით, 2002 წლის 17 სექტემბერს "რაინდი-1"-მა "მინას" წინააღმდეგ სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა და მისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. კობა ბობოხიძის განცხადებით, მათ დაიქირავეს რუსული აუდიტორული კომპანია "სოვეტი," რომელმაც გამოითვალა "რაინდი-1"-ისთვის მიუღებელი მოგება და ამ თანხამ ხუთი მილიონი დოლარი შეადგინა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და "მინას" "რაინდი-1"-ის სასარგებლოდ ხუთი მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. "მინამ" აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. სწორედ, ამ საკასაციო სარჩელის განხილვა შედგება 4 ივნისს.

"მინას" დირექტორს და ადვოკატს სერიოზული ეჭვი შეაქვთ აუდიტორულ დასკვნაში და აცხადებენ, რომ მანქანა-დანადგარი, რომელიც თავის დროზე 79 ათას (დაახლოებით, 40 ათასი აშშ დოლარი) ლარად გაიყიდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიტანდა ხუთი მილიონი დოლარის ოდენობის მოგებას. თავის მხრივ, "რაინდი-1"-ის ადვოკატი აცხადებს, რომ 79 ათასი ლარი, შესაძლოა, სიმბოლური ფასი გახლდათ იმ დანადგარისა, რომელიც, მათი ინფორმაციით, საკმაოდ კარგად მუშაობდა და, შესაბამისად, მოგებაც მოჰქონდა.

"მინას" დირექტორის, გიორგი ჩხეიძის განცხადებით, თუ უზენაესი სასამართლო ობიექტური იქნება, იგი აუცილებლად მოიგებს ამ საქმეს. ჩხეიძე სერიოზულად ეჭვობს, რომ "რაინდი-1"-მა წინა პროცესების მოგება სასამართლოზე ზეწოლის საშუალებით მოახერხა. იგი არ გამორიცხავს, რომ ამ ორგანიზაციის უკან შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები იდგნენ. ჩხეიძე იმასაც აცხადებს, რომ ხუთი მილიონი დოლარის გადახდა "მინას" გააკოტრებს, შესაბამისად, წყალში ჩაიყრება 20-მილიონდოლარიანი ინვესტიცია, უმუშევარი დარჩება 300-მდე ადამიანი და საქართველოში ისედაც რთული საინვესტიციო გარემო კიდევ უფრო დამძიმდება. ამას გარდა, ჩხეიძის თქმით, სერიოზული ზარალი შეიძლება მიადგეს სახელმწიფოსაც, რადგან "შიშეჯამი" მისთვის ქონების მართვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს და სარჩელს ჟენევის საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანს. ამ შემთხვევაში, კონტრაქტის თანახმად, ინვესტორისათვის ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა, შესაძლოა, სახელმწიფოს დაეკისროს.

# რეგიონების ჩაბნელება გარდაუვალია

*დღეს, დილის 12 საათიდან, საქართველოს 30 რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. ამის მიზეზი საბითუმო ბაზრის მიერ გაცემული განკარგულებაა, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს რეგიონების ელექტრომომმარაგებელმა – „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" ელექტროენერგია მხოლოდ იმ რაოდენობით უნდა მიიღოს, რამდენის საფასურის გადახდასაც შესძლებს.*

მაია ურუშაძე

საბითუმო ბაზრის მონაცემებით, „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" მოხმარებული ელექტროენერგიის მხოლოდ 30 პროცენტის გადახდა შეუძლია. ამდენად, კომპანიამ დღეს დილის 12 საათიდან საჭირო ოდენობის დენის მხოლოდ 30 პროცენტი უნდა მიიღოს.

თავად „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გათვლით, ეს 30 პროცენტი მხოლოდ იმ რაიონებზე უნდა გადანაწილდეს, სადაც დენის საფასურის ამოღების მეტ-ნაკლებად მაღალი მაჩვენებელია. ხოლო იმ რაიონებს, რომელთაც გადახდის საკითხი მოგვარებული არ აქვთ, დენის მიწოდება მთლიანად – 100 პროცენტით შეუწყდებათ.

კითხვაზე, თუ როგორ აპირებს კომპანია, არ მოაყოლოს რეპრესიებში ცალკეული კარგი გადამხდელები, „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორს დევიდ სორნტონს, ჯერჯერობით, პასუხი არ გააჩნია. ის იმედოვნებს, რომ ვითარებას ენერგოკომპანიის ფილიალების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმით გამოასწორებს - სხვა რეალური ბერკეტი მას ხელთ არ აქვს.

თუმცა, სორნტონმა არც საბითუმო ბაზრის მხრიდან განკარგულების შეცვლის შესაძლებლობა გამორიცხა. მან აღნიშნა, რომ მთავრობა ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს ბაზარზე და მას გადაწყვეტილება შეაცვლევინოს; და თუ მან მიზანს მიაღწია, მომხმარებელს ელექტრომომარაგებას არც სადისტრიბუციო კომპანია შეუწყვეტს.

მანამდე კი „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პირველ „შავ სიაში" მოყვნენ: ზაჰესი, დიღომი-გლდანი, ტყიბული, წალენჯიხა, ცაგერი, ლენტეხი, მარტყოფი, დუშეთი, ამბროლაური, მარნეული, ყაზბეგი, ჟინვალი, წალკა, ქუთაისი, თიანეთი, ჭიათურა, რუსთავი, ფოთი, ბორჯომი, ონი, ოზურგეთი, ჩოხატაური, დმანისი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, სენაკი, მანგლისი, ბაკურიანი და მცხეთა.

**„მართალია, ეს რთულად გადასადგმელი ნაბიჯია, მაგრამ მდგომარეობა საგანგაშოა და სხვა გზა არ რჩება,"** – აღნიშნა სორნტონმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, **- თუ ვითარება არ გამოსწორდება, არ არის გამორიცხული, ზამთარში საერთოდ ელექტროენერგიის გარეშე დავრჩეთ."**

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს იმ რაიონებში, რომელთაც დღეიდან წყვდიადი მოიცავს, გადახდის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები საბიუჯეტო ორგანიზაციებს აქვთ, ყველაზე კარგად კი მოსახლეობა იხდის. მიუხედავად ამისა, დასჯილ რაიონებში ელექტროენერგიის მიწოდება მოსახლეობასაც და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებსაც – საავადმყოფოებს, წყალსაქაჩებსა თუ სკოლებს, ერთნაირად შეუწყდებათ.

ელექტროენერგიის მიწოდება რეგიონებს მხოლოდ მას შემდეგ განუახლდებათ, როცა ეს უკანასკნელნი შემდეგ კვარტალში მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის გარანტიებს წარმოადგენენ.

## მოკლედ

**თბილისი.** 4 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელს ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო „ეი-ი-ეს თელასს" 7,8 მილიონ ლარს ედავება, რომელიც სახელმწიფომ კომპანიას პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გადაუხადა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფის საკომპენსაციოდ. კომპანიამ კი ამ თანხიდან მოსახლეობისთვის მხოლოდ 2,1 მილიონი ლარის კომპენსირება მოახდინა. ამიტომ, სათბობ-ენერგეტიკის სამინსტირო ამერიკულ კომპანიას 5,7 მილიონი ლარის უკან დაბრუნებას სთხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბაჟო დეპარტამენტში გაიმართა ევროკომისიის პროექტის პრეზენტაცია, რომელიც ტასისი-ს პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. პროექტისათვის ევროკომისიამ 850 000 ევრო გამოყო. ის გასულ წელს დაიწყო და 2003 წლის ოქტომბერში დასრულდება.

პროექტი ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ქართული საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის საბაჟო კანონმდებლობასთან და საბაჟო სისტემის მართვა და სტრატეგია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ცვლილებათა პაკეტი სატრანსპორტო ადმინისტრაციების დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიებად გარდაქმნას ითვალისწინებს. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის სტატუსის შეძენის შემდეგ სატრანსპორტო ადმინისტრაციებს ამ დარგში სატარიფო პოლიტიკის დამოუკიდებლად რეგულირების ფუნქცია მიენიჭებათ. მათ საკუთარი ნორმატიული აქტების მიღების უფლება მიეცემათ. ცვლილებათა პაკეტის ავტორთა აზრით, ადმინისტრაციების დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებად გარდაქმნის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტი წლიურად 1,5-1,6 მილიონი ლარის შეღავათს მიიღებს. **ინტერ-პრესი**

## შემოსავლები და ხარჯები

2 ივნისისათვის ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული სახელმწიფო ბიუჯეტის ხუთი თვის შესრულების ოპერატიული მონაცემებიც კი. **როგორც ჩანს, ივნისის პირველი დღეებიც მაისის შემოსავლების შესასრულებლად იქნება გამოყენებული. ამ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს და ეს საკითხი მთავრობისა და პარლამენტის, შესაძლოა პროკურატურისაც, მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.**

ხაზინამ გაავრცელა 27 მაისი-2 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში. **ინფორმაცია ამ სახით შეგნებულად არის წარმოდგენილი, რომ საზოგადოებამ ვერ გაარჩიოს, რა ხარჯები იქნა გაწეული მაისის ბოლოს და რა ივნისის დასაწყისში. ეს არის ინფორმაციის დამალვისა და გაყალბების უაზრო მცდელობა. რამოდენიმე დღეში გამოქვეყნდება ხუთი თვის ბალანსები და ყველაფერი ნათელი გახდება.**

**მხოლოდ 30 მაისს დასრულდა აპრილის ხელფასების დაფინანსება.**

**ამ ბოლო პერიოდში პირველად, ივნისის დასაწყისშიც კი არ არის დაფინანსებული რეგიონების მაისის ტრანსფერი, ანუ რეგიონების საშუალო სკოლების პედაგოგების მაისის ხელფასები.**

**გაგრძელდა ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიცია და ლტოლვილთა შემწეობები დაფინანსდა დაგვიანებით, მხოლოდ ივნისის დასაწყისში.**

**31 მაისის ხარჯები, ძირითადად, ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებას შეეწირა.** კერძოდ, თვის ბოლოს ამ მიზნებს მოხმარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (1.04 მლნ ლარი), რეგიონების ტრანსფერის დავალიანება (365 ათასი ლარი), სოციალური ფონდის ტრანსფერის დავალიანება (123 ათასი ლარი), საინვესტიციო პროექტის თანადაფინანსება (1.1 მლნ ლარი), ელექტროენერგიის ხარჯები (1.8 მლნ ლარი), კავშირგაბმულობის ხარჯები (260 ათასი ლარი), წყლის ხარჯები (553 ათასი ლარი), ბუნებრივი აირის ხარჯები (139 ათასი ლარი), სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები (1.95 მლნ ლარი), ენერგოსექტორის სუბსიდია (700 ათასი ლარი).

**მაისის ბოლო დღეებში ბიუჯეტის შესასრულებლად სულ მიიმართა 8 მილიონ 60 ათასი ლარი, ხოლო მაისში, თითქმის, 12 მილიონი ლარი.**

ივნისის დასწყისში კი დაფინანსდა სოციალური ფონდის ტრანსფერი და დაიწყო მაისის ხელფასების დაფინანსება.

## მონიტორინგი

### 2003 წლის 27 მაისი 2 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | **1,044.7** |
| 2 | ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (დავალიანების დაფარვა) | **365.0** |
| | თელავის რაიონი | 165.0 |
| | დედოფლისწყაროს რაიონი | 200.0 |
| 3 | სოციალური ფონდის ტრანსფერი (დავალიანების დაფარვა) | **123.0** |
| 4 | საგარეო ვალდებულებების მომსახურება | **7,350.3** |
| 5 | საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება | **1,121.4** |
| 6 | აპრილის შრომის ანაზღაურება | **2,565.5** |
| 7 | მაისის თვის შრომის ანაზღაურება | **1,761.2** |
| | თავდაცვის სამინისტრო (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) | 1,761.2 |
| 8 | ლტოლვილთა მაისის შემწეობები | **3,400.9** |
| 9 | სოციალური ფონდის ტრანსფერი | **2,897.0** |
| | რეგრესული პენსიები | 65.0 |
| | უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება | 200.0 |
| | ჯანდაცვის ღონისძიებები | 1,700.0 |
| | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის პროგრამა | 200.0 |
| | საპენსიო ტრანსფერი | 732.0 |
| 10 | პრეზიდენტის ფონდი | **19.0** |
| | ვეტერანთა საქართველოს კავშირი | 19.0 |
| 11 | სახელმწიფო სარეზერვო ფონდი | **190.3** |
| | სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) | 188.7 |
| | უშიშროების საბჭო (მივლინება) | 1.6 |
| 12 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება | **1,799.8** |
| 13 | საბიუჯეტო ორგანიზაციების კავშირგაბმულობის ხარჯები | **260.4** |
| 14 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება | **553.4** |
| 15 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება | **139.0** |
| 16 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | **1,499.5** |
| | დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები | 1,494.0 |
| | ეუთოს საწევრო გადასახადი | 5.5 |
| 17 | სხვა საქონელი და მომსახურება | **1,952.8** |
| 18 | განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები | **125.0** |
| 19 | სამივლინებო ხარჯები | **45.1** |
| | სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური | 1.2 |
| | საქართველოს პარლამენტი | 40.0 |
| | კულტურის სამინისტრო | 3.9 |
| 20 | სუბსიდიები | **700.0** |
| | სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 700.0 |
| 21 | ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები | **5,794.3** |
| | ეროვნული ბანკის პროცენტი | 5,058.9 |
| | დისკონტი სახაზინო ვალდებულებებზე | 735.4 |
| | სასამართლო გადაწყვეტილებები | 1.8 |

# „დიდი რვიანი„ მსოფლიოს მომავალზე მსჯელობს

ლევან ღირსიაშვილი



"დიდი რვიანის" სამიტი პირველად ჩატარდა გაფართოებული ფორმატით.

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ევიანში "დიდი რვიანის" წევრი ქვეყნების სამიტის მუშაობა საკმაოდ დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. ჯერ კიდევ კვირას, ევიანის ახლოს მდებარე შვეიცარიის და საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებიდან დაძრულ ათიათასობით ანტიგლობალისტს გზა პოლიციელთა გაძლიერებულმა კორდონებმა გადაუღობეს. მათ დემონსტრანტების დასაშლელად რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი კომბინირებულად გამოიყენეს. თუმცა, ამ მეთოდს ანტიგლობალისტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე გავლენა არ მოუხდენია. ჟენევის ცენტრში, პოლიციასა და ანტიგლობალისტებს შორის შეტაკება და ხელჩართული ბრძოლა ცხრა საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. დემონსტრანტებმა დალეწეს მაღაზიების ვიტრინები, მანქანები, პოლიციელებს ქვები და ცეცხლმოკიდებული ბოთლები დაუშინეს. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ შვეიცარიის პოლიციის დასახმარებლად გერმანიის სპეცრაზმიც კი გამოიძახეს, რომელმაც საბოლოოდ შეძლო ანტიგლობალისტთა მანიფესტაციის დაშლა, რის შემდეგაც "ბუნტისთავებს" მთელ ქალაქში დაუწყეს ძებნა და დაპატიმრება. არანაკლებ რთული ვითარება შეიქმნა ქალაქ ლოზანაში, სადაც შავნიღბიანმა ანტიგლობალისტებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის ძალებს. ისინი თავს დაესხნენ იმ სასტუმროებს, სადაც სამიტის ზოგიერთი დელეგატი იყო დაბინავებული.

ტერიტორია, სადაც სამიტი ტარდება, 15-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონით არის შემოსაზღვრული. ევიანში სამიტის მონაწილეების დასაცავად უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. სამიტის უშიშროებისათვის მობილიზებულია საფრანგეთის, შვეიცარიის და გერმანიის სპეცსამსახურები და სამართალდამცავი სტრუქტურები. ამდენად, თავად სამიტის მონაწილეებს არანაირი საფრთხე არ შექმნიათ. "დიდი რვიანის" წევრი სახელმწიფოების ლიდერები მათ წინაშე მდგარ პრობლემებს ჩვეულ რეჟიმში განიხილავენ.

სამიტის პირველ დღეს, "დიდი რვიანის" ლიდერებმა მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერის და დასავლეთის სახელმწიფოებში სოფლის მეურნეობის სუბსიდირების საკითხი განიხილეს. სუბსიდირების მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ეს სისტემა განვითარებადი ქვეყნების ფერმერებს არა მხოლოდ დასავლეთის ბაზრებისაკენ უკეტავს გზას, არამედ შიდა ბაზარზეც არათანაბარი კონკურენციის მდგომარეობაში აყენებს.

ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ პლანეტის წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა სხვა ქვეყნების აზრსაც აუცილებლად უნდა მოუსმინონ, ხოლო "რვიანის" არაწევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაინახონ, რომ მათ აზრს უსმენენ და პატივს სცემენ. შირაკმა იმედი გამოთქვა, რომ ასეთი ექსპერიმენტი, როდესაც "დიდი რვიანის" სამიტში მონაწილეობას სხვა ქვეყნებიც იღებენ, ერთჯერადი არ იქნება და სამომავლოდაც განხორციელდება. ჯგუფის არაწევრი სახელმწიფოების სამიტზე მოწვევის იდეა სწორედ შირაკს ეკუთვნის, რომელიც თანასწორობისა და მსოფლიო პრობლემების კოლექტიური გადაწყვეტის დროშით გამოდის. შირაკმა "დიდი რვიანის" ლიდერებს, განსაკუთრებით, აფრიკის განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ამ სამიტზე ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო მოვლენად აშშ-ს და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრა ჩაითვალა. ამას ყველა დიდი ხანი ელოდებოდა, რადგან ერაყის ომმა აშშ-საფრანგეთს შორის ძალზე მწვავე უთანხმოება წარმოშვა.

ერაყის კონფლიქტთან დაკავშირებით, აშშ-სთან წარმოქმნილ უთანხმოებაზე საუბრისას, შირაკი შეეცადა, ფრანკო-ამერიკული დაპირისპირების მნიშვნელობა შეემცირებინა. პარალელურად მან ხაზი გაუსვა პრეზიდენტ ბუშის დამსახურებებს ისეთ საკითხებში, როგორიც შიდსთან ბრძოლის მიზნით აშშ-ს მიერ 15 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფაა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ევროკავშირს ანალოგიური აქციისაკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ევროპამ შიდსთან ბრძოლისათვის არანაკლები თანხა უნდა გაიღოს. საერთოდ, შირაკი აცხადებს, რომ მისი აზრით, სიღარიბესთან, სნეულებებთან და გაუნათლებლობასთან ბრძოლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. სააგენტო ფრანს-პრესმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ევროკავშირი განვითარებადი ქვეყნებისათვის, შიდსთან ბრძოლის მიზნით, 1 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს განიხილავს.

სამიტის მონაწილეების წინაშე გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა უპირველეს ამოცანად ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურება დასახა. მან კოლეგებს მოუწოდა, გაატარონ მკაცრი ზომები იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ტერორისტებს ეხმარებიან და, ამავდროულად, მასობრივი განადგურების იარაღს აწარმოებენ. თეთრი სახლის მეთაური ისეთი საერთაშორისო სისტემის შექმნას ცდილობს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება იმ გემების და თვითმფრინავების დაკავება, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღის ტრანსპორტირებას ემსახურებიან. საფრანგეთის პრეზიდენტმა ამ იდეის განხილვას მხარი დაუჭირა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ეს ძალზე სათუთი საკითხია. რაც შეეხება ირანის საკითხს, აქ საფრანგეთის ლიდერი თავის ამერიკელ კოლეგას სრულ მხარდაჭერას უცხადებს და თანახმაა, რომ ირანის ბირთვულ ობიექტებზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დამკვირვებლები გაიგზავნონ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ "დიდი რვიანის" ამჟამინდელი სამიტი, წინა შეხვედრებისგან არავითარი განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა. ერთადერთი, რაც ყველასათვის თვალშისაცემია, ანტიგლობალისტური მოძრაობის აშკარა გაძლიერებაა. თუმცა, ეს ევიანის გარეთ ხდება, ხოლო ევიანში "მსოფლიოს პატრონები" სამყაროს მომავალზე მშვიდ ატმოსფეროში საუბრობენ.

# ალიევი გულიევის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

თუმცა, ეს შეიძლება ილუზიაც ყოფილიყო. შესაძლოა, პრეზიდენტი მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით იქცეოდა ასე და სინამდვილეში სულ სხვა მიზნები აქვს.

ილჰამს დღეისათვის რამდენიმე მაღალი თანამდებობა უკავია, რაც მას პრეზიდენტობის სერიოზულ კანდიდატად აქცევს. იგი არის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ვიცე-პრეზიდენტი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი და მმართველი პარტია "იენი აზერბაიჯანის" ვიცე-თავმჯდომარე. თუმცა, გარდა პირველისა, ყველა ეს პოსტი, ძირითადად, სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ისევე როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობა.

პოტენციური მემკვიდრე თავისი დროის უმეტეს ნაწილს საზღვარგარეთ ატარებს და, პოლიტიკაზე მეტად, ცხოვრების მჩქეფარე სტილი აინტერესებს. იგი არ ამჟღავნებს მტკიცე ხასიათსა და შეუპოვრობას – თვისებებს, რომელმაც მამამისი ქვეყნის უცილო ლიდერად აქცია. ილჰამის რეპუტაცია არაერთი სკანდალითაა შებღალული.

მემკვიდრე, ჯერჯერობით, თვითონაც არ ამჟღავნებს ყულფში თავის გაყოფის სურვილს. მას კარგად ესმის, რომ მამამისის გამოცდილებისა და ქარიზმის გარეშე, მისი პრეზიდენტობა შეიძლება მარცხით დამთავრდეს, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება მისთვისაც, მისი მომხრეებისთვისაც და მთელი ქვეყნისთვისაც.

მაშინ, რატომ ავრცელებს მმართველი ფენა მითს ალიევის მომავალი პრეზიდენტობის შესახებ? პასუხი, ალბათ, მმართველი კლანის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ. კლანი კი, ძირითადად, ნახჭევანელებისაგან (ალიევების ოჯახი სწორედ ამ კუთხიდანაა) და სომხეთიდან ემიგრირებული აზერბაიჯანელებისაგან შედგება

უკვე 30 წელზე მეტია, რაც კლანის წინამძღოლი ქვეყანას მართავს (გამონაკლისია ხანმოკლე პერიოდი 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანების დასაწყისში). მთელი ამ ხნის განმავლობაში თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისინი, ვინც ალიევისადმი სრულ ლოიალობას ამჟღავნებდა, ნიჭიერება და ამბიციურობა დადებით თვისებებად არ მიიჩნეოდა. ყველა თანამდებობის პირმა იცოდა, რომ თავისი პოსტით კლანისაგან იყო დავალებული და თანამდებობა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაეკარგა. გარეშე პირები, ვინც კლანს რამეს შეეცილებოდა, როგორც წესი, ან კომპრომისზე მიდიოდნენ, ან - ციხეში.

ამის შედეგად ჩამოყალიბდა მდიდარ და ძლიერ ადამიანთა პატარა ჯგუფი, რომელიც უფრო ნაკლები თანამდებობებისა და გავლენის მქონე პირების ფართო ქსელს აკონტროლებს. ყველა მათგანი ერთი კლანის წევრია.

მათ შორის ყველაზე დიდი გავლენა აქვთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურს, რამიზ მეჰდიევს, საბაჟოს უფროსს ქამალადინ ჰეიდაროვს, ჯანდაცვის მინისტრს, ალი ინსანოვს, ეროვნული უშიშროების მინისტრს ნამიკ აბასოვს და ტრანსპორტის მინისტრს, ზია მამედოვს.

მათგან თითოეულს შეუძლია, სხვებთან კავშირები შეკრას და თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიეროს. ცხადია, რომ მომავალ არჩევნებში თითოეულს უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია. ამათგან არც ერთი არ არის გამოკვეთილი ლიდერი – და არც შეიძლება იყოს, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ ალიევის გამუდმებულ მცდელობას, საფუძველშივე ჩაკლას თავის ქვეშევრდომებში დამოუკიდებელი აზროვნება. ძალაუფლებას ისინი, ძირითადად, იმიტომ ინარჩუნებენ, რომ კლანის წინამძღოლს მათი საერთო მიზნისაკენ მიმართვა ძალუძს.

კლანი თავისთავად მოითხოვს ძლიერ ლიდერს. პრეზიდენტის მიერ სისუსტის ნებისმიერ გამოვლინებას, შეიძლება არასტაბილურობა მოჰყვეს. ახალმა, პირველ რიგში, მემკვიდრეობითობა და სტატუს-კვოს შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს. რამდენად შეეფერება ამ როლს ილჰამი?

ხმები, რომ ილჰამს ლიდერისათვის საჭირო ყველა თვისება გააჩნია, გაჩნდა მაშინვე, როგორც კი უფროსი ალიევის ჯანმრთელობას საფრთხე პირველად დაემუქრა. როგორც კი ეს ხმები მინელდა, და ილჰამი ტელეეკრანებიდან ჩამოვიდა, მან მაშინვე ახალი თანამდებობების მთელი სერია მიიღო, რითაც მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი შეინარჩუნა.

ასე რომ, უმცროსი ალიევი ერთგვარ მეხამრიდად იქცა, რომელმაც კლანის წევრებს გაურკვეველი მომავლის შიში უნდა გაუფანტოს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გაურკვეველია, ვინ იქნება პრეზიდენტის რეალური მემკვიდრე. არადა, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ალიევი კიდევ ხუთი წელი ქვეყნის მართვას ვერ შეძლებს, ეს კითხვა ძალზე აქტუალურია.

ასეთმა ტაქტიკამ, შეიძლება, საბოლოო ჯამში პრეზიდენტს ზიანი მოუტანოს და რასულ გულიევის წისქვილზე დაასხას წყალი. გულიევი ერთ დროს პარლამენტის სპიკერი და ნახჭევანის კლანის ამომავალი ვარსკვლავი იყო, დღეს კი რეჟიმის შეურიგებელი მტერია.

სანამ ალიევი პარლამენტის სპიკერად დანიშნავდა, გულიევი ქვეყნის ყველაზე დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი იყო. 1996 წელს ის პრეზიდენტს წაეჩხუბა და ემიგრაციაში წავიდა. გულიევი ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და აცხადებს, რომ სამშობლოში სულ მალე დაბრუნდება.

1999 წელს, როდესაც კლივლენდის კლინიკაში ალიევმა გულის ოპერაცია გაიკეთა, "იენი აზერბაიჯანის" რამდენიმე წევრმა ჩათვალა, რომ ალიევის ერა დასრულდა, და გულიევის "დემოკრატიულ პარტიაში" გადავიდა. მათ შეცდომა დაუშვეს. პრეზიდენტი დაბრუნდა და გაუსწორდა არა მარტო რენეგატებს, არამედ მათაც, ვისაც ყოყმანი შეატყო.

ისტორია, შეიძლება, განმეორდეს. კლანის ბევრ წევრს ახსოვს, რომ გულიევი ერთ დროს ქვეყანაში მეორე კაცი იყო. მათ ისიც ესმით, რომ გულიევის მოსვლის შემთხვევაში, მართალია, რამდენიმე ადამიანი დაზარალდება, მაგრამ ხელისუფლების არსებული სტრუქტურა ხელუხლებლად დარჩება. კლანი თავის პოზიციებს შეინარჩუნებს.

რასაკვირველია, მმართველი პარტია - ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი პოლიტიკური სპექტრი. თავისი უამრავი სისუსტის მიუხედავად, ოპოზიციის უგულებელყოფა მაინც არ შეიძლება. საზოგადოებამაც, რაც არ უნდა სუსტი და გახლეჩილი იყოს იგი, შეიძლება პოლიტიკური ბრძოლიდან სარგებელი ნახოს, რადგან ლიდერობის თითოეულ მსურველს მოუწევს მთელ საზოგადოებას, და არა მხოლოდ თავის მხარდამჭერებს, უჩვენოს თავისი ღირსებები.

აზერბაიჯანში ბევრი ფიქრობს, რომ ალიევი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გულიევის ხელისუფლებაში მოსვლა არ დაუშვას. მაგრამ, თუ მან პირადად ვერ შეძლო ამის გაკეთება, მისმა კლანმა გულიევის დაბრუნებას, შეიძლება, დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიოს. მაშინ კი, უკვე ალიევებს მოუწევთ ემიგრაციაში წასვლა.

# ერაყელებს საკუთარ ქვეყანას სამართავად მოგვიანებით გადააბარებენ

რევაზ ბახტაძე

შეერთებული შტატების საოკუპაციო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ 25-30 ერაყელი შეარჩიოს, რომლებიც დროებით პოლიტიკურ საბჭოში შევლენ და ამერიკელებს ქვეყნის მართვის დროს ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებიან. ამერიკელების თქმით, ადრე დაგეგმილ დიდ ასამბლეას აღარ მოიწვევენ, სადაც ერაყელ დელეგატებს ერაყის გარდამავალი ადმინისტრაციის სტრუქტურა და შემადგენლობა უნდა დაემტკიცებინათ.

ერაყელები ელოდნენ, რომ გარდამავალ მთავრობას მომავალ თვეში დაგეგმილ ეროვნულ კონფერენციაზე (ასამბლეაზე) შეარჩევდნენ. კონფერენციას რელიგიური, ეთნიკური და ტომობრივი გაერთიანებების ასეულობით წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. ასამბლეის შეკრებას შეერთებული შტატები ერაყელებთან ძალაუფლების განაწილების პირველ და უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად განიხილავდა. ერაყელების გარდამავალ მთავრობას უნდა აეღო პასუხისმგებლობა რამდენიმე სამინისტროზე (ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები).

ბუშის ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ვაშინგტონმა ღია შერჩევის პროცესზე უარი თქვა, ადგილობრივი ერაყელების შიშს ადასტურებს, რომ ამერიკის თავდაპირველი პოლიტიკა იცვლება. აშშ-ს საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილება გაანელოს: მოსახლეობა აუცილებელი სოციალური მომსახურებით უზრუნველყოს და საზოგადოებრივი წესრიგი დაამყაროს.

ახალი გადაწყვეტილება ამერიკის შეშფოთების მაჩვენებელია. საოკუპაციო ხელისუფლების აზრით, ერაყელებისათვის ხელმძღვანელობის არჩევის უფლების მიცემა სუნიტებსა და შიიტებს, ეთნიკურ არაბებსა და ქურთებს შორის არსებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო გააღრმავებს. თუმცა, დროებით მთავრობაში დელეგატების დანიშვნა ასევე პრობლემატურია. შერჩეულმა კანდიდატურებმა, შესაძლოა, დაინტერესებული ჯგუფების ამბიციები ვერ დააკმაყოფილოს.

"ვაშინგტონ პოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამერიკის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ გარდამავალი საბჭოს შექმნა "უამრავი, ძალზე რთული პრობლემების" არსებობამ განაპირობა.

სერიოზული პრობლემების არსებობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამერიკელებმა შეწყვიტეს მოსახლეობიდან იარაღის ამოღების პროგრამა და განაცხადეს, რომ ამიერიდან ერაყში იარაღის ქონის უფლება ყველას ექნება.

მართალია, საბჭოს წევრებს აშშ-სა და ბრიტანეთის მთავრობები შეარჩევენ, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლების ოფიციალურმა პირებმა დასავლელ რეპორტიორებს განუცხადეს, რომ კანდიდატების შერჩევა ერაყელებთან "კონსულტაციების შემდეგ მოხდება". "ჩვენ იმ ერაყელებს ვეკითხებით, ვისთანაც კონტაქტი გვაქვს, რათა მათ საბჭოს შესაძლო წევრების შესახებ თავიანთი მოსაზრებები მოგვაწოდონ", - განაცხადა საოკუპაციო ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.



პოლ ბრემერმა ერაყული პოლიტიკა შეცვალა

ამერიკის სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პოლ ბრემერმა სადამის ჩამოგდებამდე ემიგრაციაში მყოფი შვიდი პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლები შეკრიბა და საბჭოს შექმნის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. წარმომადგენლებს შორის იყო ერაყის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელი აჰმად ჩალაბი. აღსანიშნავია, რომ ჩალაბის პენტაგონში მხარდამჭერები ჰყავს. ბრემერის ორგანიზებულ შეკრებაში კიდევ სამი ძალზე გავლენიანი დაჯგუფება მონაწილეობდა – ისლამური რევოლუციის უზენაესი საბჭო და ორი ქურთული პარტია.

ამ დაჯგუფების წარმომადგენლებმა ამერიკელთა გადაწყვეტილების კომენტირებაზე უარი თქვეს. მათი განცხადებით, ისინი შეიკრიბებიან და საერთო პოზიციაზე შეთანხმდებიან. ზოგიერთმა მათგანმა ამერიკულ გაზეთებთან საუბარში აღნიშნა, რომ ისინი იმედგაცრუებულები არიან. მათი აზრით, ჩვეულებრივი ხალხი, რომელსაც დაჰპირდნენ, რომ ხელისუფლებას ერაყელებს გადააბარებდნენ, ამ გადაწყვეტილებას გააკრიტიკებს. "ეს ის არ არის, რისი იმედიც გვქონდა", - განაცხადა ერთ-ერთი დაჯგუფების წარმომადგენელმა ბრემერთან შეხვედრის შემდეგ.

შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი დიდი კონფერენციის ჩატარებას არავის დაჰპირებიან.

"მრავალი მოსაზრება არსებობდა, – განუცხადა საოკუპაციო ხელსუფლებაში მყოფმა ბრიტანელმა "ვაშინგტონ პოსტს", - მაგრამ ბევრი ადამიანი მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა, რომ კონფერენცია არ მოგვეწვია".

აპრილსა და მაისში ერაყელებთან კერძო და საჯარო შეხვედრების დროს ამერიკელი და ბრიტანელი მაღალჩინოსნები ამგვარი შეკრების ჩატარებას მხარს უჭერდნენ. თუმცა, ბრემერის ჩამოსვლის შემდეგ, დიდი კონფერენციის მოწვევის ენთუზიაზმი მინავლდა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, ბრემერმა მისი წინამორბედის გენერალ ჯეი გარნერის მიერ დაგეგმილი რამდენიმე პროგრამა შეცვალა.

ამერიკელების თქმით, დროებითი საბჭოს ზოგიერთი წევრი მომავალში სამინისტროებს ჩაიბარებს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხელისუფლების გადაცემა ავტომატურად არ მოხდება. ერაყელებს ძალაუფლებას თანდათანობით გადააბარებენ მას შემდეგ, რაც ერაყელი ლიდერები ამერიკელთა ნდობას მოიპოვებენ.

ადრე არსებული გეგმებისაგან განსხვავებით, დროებითი საბჭო ახალი კონსტიტუციის მიღებაზე პასუხისმგებელი აღარ იქნება. ამ ამოცანას ერაყელთა სხვა ჯგუფი განახორციელებს, რომლებსაც ამერიკელები შეარჩევენ.

ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციას შეიმუშავებენ, მას ეროვნულ რეფერენდუმზე გაიტანენ. კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში კი, საერთო ეროვნული არჩევნები ჩატარდება და ახალი მთავრობაც დაინიშნება. საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ამერიკის მთავრობა ერაყელებს ქვეყანას სამართავად მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემს.

# წინასაარჩევნო სოციალური ბიზნესი

*გასული წლების 80-მილიონიან საპენსიო დავალიანებას ხელისუფლებამ წელს კიდევ 50 მილიონი მიუმატა – უკვე ივნისია, საქართველოში კი სრულად თებერვლის თვის პენსიებიც არ დარიგებულა. ასე გაგრძელების შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებით ემუქრება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს, თუმცა საქმეში ჩახედულებმა კარგად იციან, რომ ირაკლი კოპლატაძე არაფერ შუაშია - ფონდს პრობლემები შეუქმნა საბიუჯეტო ტრანსფერის მიუღებლობამ. ეს კი უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს დამსახურება გახლავთ.*

მაკა ჯაიანი

64 მილიონი ლარიდან, რომელიც სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების რიგიანი მუშაობის შედეგად მეორე კვარტალში, საკუთარი შემოსავლებისა თუ საბიუჯეტო ტრანსფერის სახით, უნდა მიეღო, მხოლოდ ნახევარია მიღებული. 3 მილიონი თებერვლის თვის დაფინანსებისთვის არის საჭირო, ჯამში კი ფონდს 50 მილიონი ლარი უნდა მიაწოდონ, რათა წლევანდელი დავალიანება ერთი თვით მაინც შემცირდეს. ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრო უკვე მუშაობს 2003 წლის საპენსიო დავალიანების დაფარვის გრაფიკზე. რაც შეეხება იქამდე დაგროვილ ვალს, მის გასტუმრებას ხელისუფლება ორი გზით აპირებს. მათ შესახებ "24 საათმა" უკვე მოუთხრო მკითხველს.

შეგახსენებთ, რომ მათგან პირველი - საპენსიო დავალიანების მიწის გადასახადში ჩათვლას ითვალისწინებს. ამ გზით ფონდი დავალიანების 30 მილიონით შემცირებას ვარაუდობს. ეს ნებაყოფლობითი ჩათვლა იქნება, თუმცა მას ერთგვარი "ხიბლიც" ახლავს. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, პენსიონერები, რომლებიც ამ ვარიანტს დასთანხმდებიან, ხელზე ერთი თვის პენსიას მიიღებენ. ეს იმ 14 მილიონიდან, რომელიც წლევანდელ ბიუჯეტში გასული წლების დავალიანების დასაფარად ჩაიდო. მეორე, სამომავლო გზა - ფასიანი ქაღალდების გამოშვებას გულისხმობს. მათში აისახება პენსიონერისადმი არსებული ძველი დავალიანება, რომელსაც ყოველწლიურად, სრულ გასტუმრებამდე პროცენტები დაემატება. გადახდა 3-დან 5 წელიწადში უნდა მოხდეს.

ფონდში აცხადებენ, რომ პენსიონერს შეეძლება არ მოიცადოს ეს წლები და საკუთარი ვალი გაყიდოს. არ გაგიკვირდეთ, თუ მას მყიდველი გამოუჩნდა. მარიფათიანმა ადამიანებმა ამ საქმეს ხელი უკვე მოჰკიდეს და კარგ ფულსაც აკეთებენ - "სახალხო ბანკზე" მოგახსენებთ. ეს ის ბანკი გახლავთ, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და დღეს საპენსიო მომსახურების 60, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბანკო პროცენტს ფლობს. სწორედ მისი ფილიალების საშუალებით მოძრაობს საქართველოს 860 000 პენსიონერის 60 პროცენტის კუთვნილი ფული სხვა გადასახადოდან ფოსტამდე. ამ მომსახურებისთვის "სახალხო ბანკი" გატარებული თანხის 0,2 პროცენტს იღებს. თვის განმავლობაში ეს 17 ათასამდე ლარს უდრის, წელიწადში – 200 ათას ლარზე მეტს.

რადგან მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებს, "სახალხო ბანკმა" (ეს გახლავთ ყოფილი "აგრობანკი") შესანიშნავად იცის, პენსიების დროულად დარიგების თვალსაზრისით, რა პრობლემებიც არსებობს. ჰოდა, მის გამჭრიახ მენეჯერებს ორი კურდღლის ერთად დაჭერა განუზრახავთ: - უკვე ორი თვეა, კახეთისა და იმერეთის მკვიდრ პენსიონერებს ეუბნებიან, - ჯერ აუღებელ წლევანდელ პენსიებს ჩვენ დაგიფარავთ, თქვენ თითო თვეზე თითო ლარი დაგვიტოვეთო. პენსიად წოდებული ამ სახელმწიფო მოწყალების მიღების იმედდაკარგული ადამიანებიც თანხმდებიან, ხელშეკრულებებს აფორმებენ, ანგარიშებს ხსნიან და იმაზე ცოტა ფული მიაქვთ სახლში, ვიდრე შეიძლებოდა. დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათო, - მათზე მაინც ვერ იტყვი. ხალხს ცხოვრება უჭირს.

"სახალხო ბანკს" კი ნამდვილად არ უჭირს. ყველასგან დაბრიყვებული პენსიონერების ხარჯზე კარგ ბიზნესსაც ატრიალებს. მოხუცებს, თითქმის, ათპროცენტიან წილში უჯდება და სახელმწიფოს ვალსაც ყიდულობს. კომერცია კომერციაა, - იტყვიან, - კაპიტალიზმი კი – კაპიტალიზმიო, მაგრამ აქ ერთი საინტერესო დეტალი ჭრის თვალს. "სახალხო ბანკის" ხელმძღვანელი, ანდრო დევდარიანი ჩვენი პრეზიდენტის თანამეცხედრის მარჯვენა ხელის, მაია კვეზერელის მეუღლე და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მოქმედი მინისტრის ქვისლი გახლავთ. ასეთი "გარემოცვის" პირობებში კი ცოტაოდენი თავშეკავება ურიგო არ იქნებოდა. მითუმეტეს – წინასაარჩევნოდ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი ეს ყველაფერი სწორედ არჩევნებისთვის არ კეთდება.

# „არ შეიძლება 9-თვიანი ბავშვი 3 თვეში გავაჩინოთ„

## აცხადებს ზაზა შენგელია

*"ჩვენ მივესალმებით კანონპროექტს მაუწყებლობის შესახებ, რომელიც ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით არის მომზადებული, მაგრამ ვთვლით, რომ 2005 წლის სექტემბრამდე დრო არ იცდის,"- აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და, მწერალ ირაკლი კაკაბაძის თაოსნობით, ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. ისინი ითხოვენ გარდამავალი ეტაპის პერიოდშივე პროგრამის სასწრაფოდ შემუშავებასა და სახელმწიფო ტელევიზიის, ნაწილობრივად მაინც, საზოგადოებრივად გარდაქმნას.*

თამარ დვალი

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილი საზოგადოება ერთხმად აღიარებდა, რომ დროა, საქართველოში საზოგადოებრივი ტელევიზია შეიქმნას. ისინი 2005 წლამდე გაწელილ დროს ფუჭად მიიჩნევენ და ამ პრობლემის უახლოეს მომავალში გადაჭრას ითხოვენ. "დაუყოვნებლივ ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ ჭეშმარიტი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი არხი, რომელიც არც კომერციულ და არც პოლიტიკურ წნეხს არ დაექვემდებარება და საზოგადოებას ამცნობს მხოლოდ სიმართლეს. ახლა არჩევნები ახლოვდება და ხელისუფლება მაქსიმალურად ეცდება სახელმწიფო არხის სათავისოდ გამოყენებას. ჩვენ გვინდა, ეს არასასურველი პროცესები თავიდან ავიცილოთ და სწორედ ამისთვის ვითხოვთ, რომ სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივით ჩანაცვლება დროულად მოხდეს,"- აცხადებს ირაკლი კაკაბაძე.

კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები ასეთ ულტიმატუმს აყენებენ: "მოვითხოვთ გარდამავალ ეტაპზევე, დაუყოვნებლივ დამტკიცებულ იქნას დროებითი მეურვეთა საბჭო, რომელიც შედგება საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ტელევიზიის ამჟამინდელ კოლექტივთან თანამშრომლობის პრინციპით; დაინიშნოს ტელევიზიის საზოგადოებრივი ნაწილის დროებით აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც წარუძღვება ამ ნაწილის მუშაობას."

იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება არ წარიმართა, განცხადების ავტორები უფლებას იტოვებენ, ერთი კვირის განმავლობაში მიმართონ კონსტიტუციურად დაშვებულ, არაძალადობრივი პროექტის ყველაზე მწვავე ფორმებსაც, რომელთა შორის ტელევიზიის შენობის პიკეტირებაც იგულისხმება.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ მოთხოვნებს კრიტიკის თვალით უყურებდა და მათ არარეალურად მიიჩნევდა, ზაზა შენგელია იყო. მისი აზრით, მაუწყებლობის კანონპროექტი, რომელიც ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერითაა შემუშავებული, ასამუშავებლად დროს მოითხოვს. "პროფესიული თვალსაზრისით, ასეთ მოკლე დროში ამხელა ცვლილების მოხდენა შეუძლებელია. ამაზე საუბარი მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ევროსაბჭოში გავერთიანდით. ამჟამად მომზადებული კანონპროექტის დახვეწასა და ამუშავებას ერთი წელი მაინც სჭირდება. ახლა, როდესაც არჩევნები კარზე გვაქვს მომდგარი, ცვლილებები გამოიწვევს არხის დაქსაქსვას. პირობითად, "მოამბე" გახდება სახელისუფლო ბლოკის, "ალიონი" ოპოზიციის რომელიმე პარტიის და ა.შ. თუკი ეს საბჭო დღეს შეიქმნება, იგი პოლიტიკური გარიგებების მსხვერპლი გახდება. არ შეიძლება 9-თვიანი ბავშვი 3 თვეში გავაჩინოთ," -აცხადებს შენგელია.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის კანონპროექტი შემუშავებულია და მისი განხილვა-დამტკიცება 2005 წლისთვის იგეგმება. ამ პროექტის თანახმად, დამტკიცებული იქნება მეურვეთა 9-კაციანი საბჭო, რომელიც ტელევიზიის თავმჯდომარეს აირჩევს. საბჭოს წევრების წარდგენა მოხდება ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ხოლო მისი დამტკიცება მომავალ პრეზიდენტს მოუწევს.

## მოკლედ

**თბილისი.** დედაქალაქში გუშინწინ მომხდარი სამბალიანი მიწისძვრის შედეგად ვახტანგ VI-ს ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოიშალა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში დაზიანებული 200 სახლის მდგომარეობა კი გაუარესდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტები ითხოვენ, ხელფასების და პენსიების გამცემმა ყველა ორგანიზაციამ თითო ვადაგადაცილებულ დღეზე, სანქციის სახით, გასაცემი ხელფასის ან პენსიის 0,15 პროცენტი გადაიხადოს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მთავარი ეპიზოოტოლოგის განცხადებით, თბილისს ცოფის ეპიდემიის აფეთქება ემუქრება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გარეუბნებში, სადაც მაწანწალა ცხოველები აბსოლუტურად უყურადღებოდ არიან დარჩენილები. **მედია-ნიუსი.**

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი
(WWF)
ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორი

WWF

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი
იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორის ადგილის დასაკავებლად.

სამუშაოს, მოვალეობების, პასუხისმგებლობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწვრილებითი აღწერა შეგიძლიათ მიიღოთ:
1) WWF-ის ოფისში დილის 10:00-იდან საღამოს 18 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის 11 (აკადემქალაქის ტერიტორია)
2) ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე:
ktolordava@wwfgeo.org.ge ან
nmeskhoradze@wwfgeo.org.ge

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 20 ივნისი

# კანცელარიიდან საკრებულოში

ეთერ მამულაშვილი

*ხაშურსა და რუისში ამომრჩევლებთან შესახვედრად მიმავალი საკრებულოს თავმჯდომარე გუშინ გზიდან მობრუნდა. სააკაშვილმა შიდა ქართლში წინასაარჩევნო ვოიაჟი გადაიფიქრა, რადგან ტელეფონით შეატყობინეს, რომ მას მერიის წინ სამასამდე მიწისძვრით დაზარალებული ელოდებოდა. სააკაშვილს მერიაში მისვლა რამდენიმე წუთით დაასწრო სახელმწიფო მინისტრმა, რომელმაც მიწისძვრით დაზარალებულებთან გასაუბრება სცადა.*



*მიხეილ სააკაშვილი: "თქვენთან ერთად გადავუგრეხთ ხელებს ამ ხელისუფლებას".*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**„ამ შენობის კედლები თქვენ გეკუთვნით და თქვენთან ერთად გადავუგრიხოთ ხელები ამ ხელისუფლებას",** - ამ სიტყვებით მიმართა გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ მერიაში შეკრებილ მიწისძვრით დაზარალებულებს, რასაც იქ შეკრებილი საზოგადოების მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

ასიოდე მიწისძვრით დაზარალებული კანცელარიის წინ გუშინ დილიდანვე შეიკრიბა. ისინი სახელმწიფო მინისტრისთვის მეათე სართულზე ხმის მიწვდენას მეგაფონებით დიდ ხანს ცდილობდნენ. მოგვიანებით, კანცელარიის ეზოში ჩამოსულმა ავთანდილ ჯორბენაძემ დაზარალებულებს აუდიენცია მერიის შენობაში დაუთქვა.

დაახლოებით, 12 საათისთვის საკრებულოს სხდომათა დარბაზი დაზარალებულებით შეივსო, ორი ამდენი კი ოთახის და შენობის გარეთ იდგა.

სახელმწიფო მინისტრი დაზარალებულებს პრობლემის მოსაგვარებლად 5 ივნისამდე ვადის გაგრძელებას ამაოდ სთხოვდა. "არც ერთი წუთი!" – კატეგორიულად აცხადებდნენ დაზარალებულები.

**"საკმარისზე მეტი დრო გქონდათ, რომ ჩვენი პრობლემა მოგეგვარებინათ. დღეს ჩვენ ვითხოვთ თქვენგან კონკრეტულ პასუხს, თუ არა და, ფეხს ვერ გაადგამთ ამ დარბაზიდან",** - ასე დაემუქრნენ მიწისძვრით დაზარალებულები სახელმწიფო მინისტრს და რამდენიმე წუთში სხდომათა დარბაზის კართან ცოცხალი კედელი აღმართეს. "კედელი" მაშინ დაიშალა, როცა ვიღაცამ დარბაზიდან წამოიყვირა, სააკაშვილი მოდისო.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი და ქალაქის მერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სააკაშვილის ოთახში სათათბიროდ ჩაიკეტნენ... დახურულ კარს მიღმა მიმდინარე გაჭიანურებული მოლაპარაკება ზოგმა წინასაარჩევნო გარიგებად ჩათვალა. ეს ეჭვი დაზარალებულებს უფრო გაუმძაფრდათ, როცა საკრებულოს თავმჯდომარის ოთახიდან გამოსული სახელმწიფო მინისტრი მოულოდნელად საარჩევნო კოდექსზე ალაპარაკდა.

**როგორც ჩანს, ამათ ჩვენთვის არ სცალიათ, დღესაც თავიანთ საქმეზე შეიკრიბნენო,** - დაასკვნა დაზარალებულთა ერთ-ერთმა ლიდერმა და "კოლეგებს" ქუჩისკენ მიუთითა. **"გავიდეთ გარეთ და გადავკეტოთ გზა", -** გაიხსენეს დაზარალებულებმა პროტესტის აპრობირებული ხერხი, მაგრამ სააკაშვილის თხოვნით გადაიფიქრეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მათ სასწრაფოდ სპეციალური კომიტეტის შექმნა მოსთხოვა. ხსენებულმა კომიტეტმა ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხა, პირველ რიგში, მესამე კატეგორიის დაზარალებულებს თანაბრად უნდა გაუნაწილოს. სააკაშვილის ინფორმაციით, დღეიდან, ერთი კვირის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ მერიის ანგარიშზე ერთი მილიონი ლარი უნდა გადარიცხოს. დანარჩენი სამი მილიონი კი მომდევნო სამ თვეში გადმოირიცხებაო, - დააიმედა დაზარალებულები საკრებულოს თავმჯდომარემ.

სააკაშვილის ეს განცხადება, "24 საათთან" საუბრის დროს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა ნაწილობრივ დაადასტურა: **"მიწისძვრით დაზარალებულებისთვის ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული 4 მილიონი ლარი წელს მესამე კვარტალზე იყო გაწერილი, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ პირველ ეტაპზე მხოლოდ ნახევარ მილიონს ჩავურიცხავთ ქალაქს, ისიც უნდა ითქვას, რომ ამის გამო, ბევრ რამეზე უარის თქმა მოგვიწევს".**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**
**სახაზინო სამსახური**

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 27 მაისი - 2 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**
**33 740.4 ათასი ლარი**

**1) ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 5 796.1 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის პროცენტი - 5 058.9 ათასი ლარი;**
■ **დისკონტი - 735.4 ათასი ლარი;**
■ **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 1.8 ათასი ლარი;**
**2) საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 1 532.7 ათასი ლარი:**
**ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს - 365.0 ათასი ლარი;**
**თელავის რაიონი - 165.0 ათასი ლარი;**
**დედოფლისწყაროს რაიონი - 200.0 ათასი ლარი;**
**სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდი (ტრანსფერი ჯანდაცვის ღონისძიებებზე) - 123.0 ათასი ლარი;**
**სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 1 044.7 ათასი ლარი;**
■ განათლების სამინისტრო - 19.8 ათასი ლარი;
■ საქართველოს ზოოტექნიკური უნივერსიტეტი - 84.8 ათასი ლარი;
■ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 32.9 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო (ცხინვალის თეატრი) - 6.8 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური - 95.4 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 150.0 ათასი ლარი;
■ სტანდარტიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი - 9.5 ათასი ლარი;
■ მეცნიერებათა აკადემია - 345.5 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 300.0 ათასი ლარი;
**3) ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 22 760.9 ათასი ლარი;**
**საგარეო ვალდებულებების მომსახურება - 7 350.3 ათასი ლარი;**
**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება - 1 121.4 ათასი ლარი;**
**შინაგან საქმეთა სამინისტროს აპრილის თვის შრომის ანაზღაურება - 2 565.5 ათასი ლარი;**
**თავდაცვის სამინისტრო (შრომის ანაზღაურება - წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) - 1 761.2 ათასი ლარი;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა მაისის თვის შემწეობა) - 3 400.9 ათასი ლარი;**
**ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს - 2 897.0 ათასი ლარი;**
■ უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება - 200.0 ათასი ლარი;
■ ტრანსფერი ჯანდაცვის ღონისძიებებზე - 1 700.0 ათასი ლარი;
■ საპენსიო ტრანსფერი - 732.0 ათასი ლარი;
■ რეგრესული პენსიები - 65.0 ათასი ლარი;
■ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის პროგრამა - 200.0 ათასი ლარი;
**საგარეო საქმეთა სამინისტრო - 1 499.5 ათასი ლარი;**
■ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები - 1 494.0 ათასი ლარი;
■ ეუთოს-ს საწევრო გადასახადი - 5.5 ათასი ლარი;
**განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები (სოროსის ფონდი) - 125.0 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 1 799.8 ათასი ლარი;**
**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 50.0 ათასი ლარი;**
■ **ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (საქართველოს პრეზიდენტის 03.05.03 N511 განკარგულების თანახმად ვეტერანთა საქართველოს კავშირისა და მისი რაიონული ორგანიზაციების მატერიალური ბაზის უზრუნველსაყოფად) - 50.0 ათასი ლარი;**
**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 190.3 ათასი ლარი;**
■ **სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) - 188.7 ათასი ლარი;**
■ **უშიშროების საბჭო (მივლინება) - 1.6 ათასი ლარი;**
**4) 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 3 650.7 ათასი ლარი;**
**სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 1 952.8 ათასი ლარი:**
■ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - 454.6 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი (ავტობაზის მუშაკთა შრომის ანაზღაურება) - 60.0 ათასი ლარი;
■ უშიშროების საბჭო - 0.2 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 1.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 710.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - 0.4 ათასი ლარი;
■ თავდაცვის სამინისტრო - 179.8 ათასი ლარი;
■ ლტოლვილტა და განსახლების სამინისტრო - 9.9 ათასი ლარი;
■ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო - 1.5 ათასი ლარი;
■ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი - 3.3 ათასი ლარი;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 1.5 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 139.7 ათასი ლარი;
■ იუსტიციის საბჭო - 16.8 ათასი ლარი;
■ საკონსტიტუციო სასამართლო - 19.8 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 47.4 ათასი ლარი;
■ თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეოფის საინფორმაციო ბიურო - 0.7 ათასი ლარი;
■ უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოკვლევის კომისია - 0.5 ათასი ლარი;
■ გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი - 0.5 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი - 0.5 ათასი ლარი;
■ „ასი მწერლის გაზეთი" - 0.4 ათასი ლარი;
■ ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი - 0.2 ათასი ლარი;
■ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო - 0.4 ათასი ლარი;
■ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო - 0.5 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 24.6 ათასი ლარი;
■ კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი - 10.0 ათასი ლარი;
■ სამხედრო-საინჟინრო აკადემია - 14.8 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 213.0 ათასი ლარი;
■ საერთო სასამართლოები - 2.3 ათასი ლარი;
■ ფასების სახელმწიფო ინსპექცია - 6.0 ათასი ლარი;
■ განათლების სამინისტრო - 2.5 ათასი ლარი;
■ გენერალური პროკურატურა - 12.2 ათასი ლარი;
■ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - 0.7 ათასი ლარი;
■ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - 10.8 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 6.3 ათასი ლარი;
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 45.1 ათასი ლარი;**
■ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური - 1.2 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 40.0 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 3.9 ათასი ლარი;
**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება - 139.0 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება - 553.4 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების კავშირგაბმულობის ხარჯები - 260.4 ათასი ლარი;**
**სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირება) - 700.0 ათასი ლარი;**
**სულ ხარჯი: 33 740.4 ათასი ლარი;**
**1 ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 5 796.1 ათასი ლარი:**
■ **ეროვნული ბანკის პროცენტი - 5 058.9 ათასი ლარი;**
■ **დისკონტი - 735.4 ათასი ლარი;**
■ **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 1.8 ათასი ლარი;**
**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 1 532.7 ათასი ლარი:**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 22 760.9 ათასი ლარი;**
**4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 3 650.7 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 2 905.6 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 45.1 ათასი ლარი;**
■ **სუბსიდია - 700.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# პატიმართა გაქცევის შესახებ ახალი ვერსია გაჩნდა

პირველი გვერდიდან

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი აცხადებს, რომ საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა პროტესტი ინსპირირებულია და უპირისპირდება იმ პოლიტიკას, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ბოლო პერიოდში ახორციელებს.

**"ახლა არ შემიძლია კონკრეტულად დასახელება, ვის მიერაა ინსპირირებული ეს პროცესები, მაგრამ გეტყვით, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ბრძოლა დაიწყო სისტემაში გამეფებული კორუფციისა და უკანონობის წინააღმდეგ. ეს იმ ძალებს, რომლებიც კრიმინალური ცხოვრების წესით ცხოვრობენ, არ აწყობთ.**

**სისტემაში არსებული უმძიმესი პრობლემების გადაწყვეტა მიმდინარეობს, მაგრამ ერთ დღეში მათი აღმოფხვრა წარმოუდგენელია. დღეს გაფიცულებს ისეთი განწყობა ჰქონდათ, რომ ვეჭვობ, მათი მოქმედებები ინსპირირებულია",** – განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიგლა აგულაშვილმა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, ბადრაგთან დაკავშირებული ინციდენტი გუშინ დილითვე, მათთან შეხვედრის შემდეგ დასრულდა. **"მცდელობა, რომ საპროტესტო აქცია დაწყებულიყო, ამოწურულია. არავის მივცემ უფლებას, რაღაც გარიგებაზე წავიდეს, ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში ასეთი რამ ვერ მოხდება,"** – ასეთია გიგლა აგულაშვილის პოზიცია.



*გიგლა აგულაშვილი სასჭელაღსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ შეთქმულებაზე საუბრობს.*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ამ შემთხვევაში მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" - წარმომადგენელი გელა ნიკოლაიშვილი. მისი თქმით, მძიმე სოციალური მდგომარეობა საპყრობილის თანამშრომლებს დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. **"ისინი სამსახურში საკუთარი ნებით მივიდნენ და მათზე დაკისრებული მოვალეობა უნდა შეასრულონ,"** – აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ კადრების შეცვლით არსებული პრობლემა არ გადაიჭრება. **„აუცილებელია სისტემის რეორგანიზაცია, ბადრაგის თანამშრომელს ხელფასი სამჯერ მაინც უნდა გაეზარდოს",** – ამბობს გელა ნიკოლაიშვილი.

არასამთავრობოთა მოსაზრებას სახალხო დამცველიც იზიარებს. ნანა დევდარიანი იმასაც აცხადებს, რომ პატიმართა გახშირებული გაქცევები, შესაძლოა, გიგლა აგულაშვილის წინააღმდეგ იყოს მიმართული. **„პატიმრებმა გიგლა აგულაშვილს ნდობა გამოუცხადეს, მათ მოითხოვეს, სახალხო დამცველთან ერთად აგულაშვილიც შესულიყო გენერალურ პროკურატურაში შექმნილ კომისიაში, რომელიც პატიმართა საქმეების გადასახედად შეიქმნა. როგორც ჩანს, ვიღაცას ეს ხელს არ აძლევდა",** - აცხადებს ნანა დევდარიანი.

რამდენიმე დღის წინ მომხდარი გაქცევა გუშინ პარლამენტშიც გაიხსენეს და გაქცევის ახალი ვერსიაც გაჩნდა. **"სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ მე-5 იზოლატორიდან 15 პატიმრის გაქცევა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა ხელშეწყობით მოხდა,"** – ასეთი ვარაუდი გამოთქვა დეპუტატმა ლევან პირველმა.

მისი თქმით, გაქცეულებს დახმარება გაუწიეს არა მარტო იზოლატორიდან გასვლისას, არამედ მომდევნო ეტაპებზეც. **"მზად ვარ, ეს უშიშროების მინისტრსაც ვუთხრა და კოლეგებთან ერთად განვიხილო პარლამენტში ის კონკრეტული ფაქტები, რასაც გაქცევასთან დაკავშირებით ვფლობ,"** - განაცხადა პირველმა და უშიშროების მინისტრს ურჩია, ზოგიერთი გაქცეული მისი თანამშრომლების ბინებში მოძებნოს.

ლევან პირველისთვის გაუგებარია, როცა ძალოვნები აცხადებენ, რომ გაქცეულები საშიში დამნაშავენი არიან, ამ დროს კი მალავენ მათ ვინაობას.

**"ლევან პირველი რომელ ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებს ამ განცხადებას, არ ვიცი, მაგრამ მე ცოტა სხვა ინფორმაციას ვფლობ. მაქვს ინფორმაცია, თუ რომელ კუთხეში იმყოფებიან ციხიდან გაქცეული კრიმინალები, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლები როგორ დაეხმარნენ მათ გაქცევაში და ახლაც ეხმარებიან. მაქვს გაცილებით სერიოზული ინფორმაციებიც, მაგრამ მე, ჯერჯერობით, არაფერს ვამბობ. რაც შეეხება უშიშროების სამინისტროსა და შსს-ს მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, თითქოს გაქცევა ამ ორი უწყების მოწყობილია, აბსურდია. ეს ორი უწყება ძალზე სერიოზულად გვეხმარება პრობლემების მოგვარებაში, ამიტომაც ცოტა უხერხულია, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებენ,"** – ლევან პირველის ბრალდებებს ასეთ კომენტარს უკეთებს გიგლა აგულაშვილი.

სხვათა შორის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გაქცევის მეორე დღესვე გაავრცელა გაქცეულ პატიმართა ფოტოები, ვინაობა და მათი კრიმინალური ბიოგრაფიებიც. გაქცეულ პატიმართა შორისაა, უფრო ზუსტად, გაქცევის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ, დეპუტატ ლევან პირველის პირადი დაცვის წევრის გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობაში ბრალდებული დათო სიხარულიძე. თავის დროზე გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობის თაობაზე გავრცელებულ რამდენიმე ვერსიათა შორის იყო ვერსია შეკვეთილი მკვლელობის შესახებაც. საუბარია სამი წლის წინ რესტორან "თამარიონში" მომხდარ კონფლიქტზე, სადაც 21 წლის ნიკა უჩანეიშვილი მოკლეს. ამ ინციდენტის გამო, მაშინ გიორგი რჩეულიშვილი დააპატიმრეს. გიორგი რჩეულიშვილის მკვლელობის შემდეგ გავრცელდა ვერსია, რომ ის, როგორც რესტორან "თამარიონში" მომხდარი მკვლელობის მოწმე, კვალის გაქრობის მიზნით, დაინტერესებულმა პირებმა დაქირავებულ ქილერს მოაკვლევინეს. ამ ვერსიით, მკვლელობის შემსრულებლად სატუსაღოდან გაქცეული დათო სიხარულიძე აირჩიეს. სხვათა შორის, უჩანეიშვილის მკვლელობის მეორე დღეს პროკურატურაში დაიბარეს და ერთი ღამე წინასწარი დაკავების საკანში გაატარებინეს დანაშაულში ეჭვმიტანილ ლევან პირველსაც. თუმცა, ეს სხვა წერილის თემაა. რაც შეეხება დეპუტატის განცხადებას, უშიშროების სამინისტრო მის შესწავლას აპირებს. **"დასადგენია, რა ინფორმაციას ეყრდნობოდა ლევან პირველი, როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა.

# მძევლის გათავისუფლების დეტალები გასაიდუმლოებულია

ხათუნა ჯანგირაშვილი

გატაცებიდან 23 დღის თავზე, გუშინ, გამთენიისას ბიზნესმენი გოგი ფილფანი გაათავისუფლეს. ვინ და რა მოტივით გაიტაცა რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, რა მოთხოვნები ჰქონდათ გამტაცებლებს და როგორ მოხდა მძევლობიდან მისი გამოხსნა, ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია. ყოფილი მძევალი გუშინვე თბილისში ჩამოიყვანეს და სასწრაფოდ ჩართეს საგამოძიებო მოქმედებებში. მის მიერ სამართალდამცველებისთვის მიცემული ჩვენების შინაარსიც გუშინ გვიანობამდე უცნობი იყო.

**"მიმდინარეობს გამოძიება, ჯერ არაფრის თქმის უფლება არ გვაქვს. ყველაფერს შეიტყობთ",** - ასეთ მოკლე კომენტარებს აკეთებდნენ გოგი ფილფანის გატაცება-გათავისუფლების შესახებ გუშინ სამართალდამცველები, რომლებსაც ფილფანის ოჯახის წევრები უმოქმედობაში სდებენ ბრალს. ფილფანების განმარტებით, გატაცებულის გათავისუფლებაში პოლიციას არანაირი წვლილი არ მიუძღვის.

**"გოგი ფილფანი მესტიაში მცხოვრები ავტორიტეტული პიროვნებების აქტიურობისა და საქმეში ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. პოლიცია ამ საქმეში საერთოდ არ ჩარეულა",** - აცხადებენ მძევლადყოფილის ახლობლები. ფილფანების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ სამართალდამცველები და აცხადებენ, რომ გატაცების წუთიდან გათავისუფლებამდე მათ ყველა საჭირო ოპერატიული ღონისძიება ჩაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების დეტალებს კანონდამცველები გუშინ მთელი დღის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ, იმას არ უარყოფდნენ, რომ გოგი ფილფანის მძევლობიდან დახსნაში მართლაც "ავტორიტეტული ხალხის" ხელი ურევია. ფილფანის ოჯახის წევრები მესტიის რაიონში მცხოვრებ აფრასიძეების ოჯახსა და ლოთი ქობალიას შვილს უხდიან მადლობას და აცხადებენ, რომ გატაცებული სწორედ მათი დახმარებით დაუბრუნდა ოჯახს.

პოლიციელები ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გოგი ფილფანი გამტაცებლებმა გამოსასყიდი თანხის გადაუხდელად გაათავისუფლეს. გატაცებაში მონაწილე ეჭვმიტანილთა ვინაობას კი კანონდამცველები ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ.

**"მართალია, ფილფანის გასათავისუფლებლად პოლიციას სპეცღონისძიება არ ჩაუტარებია, მაგრამ ჩვენი მხრიდან ამ 23 დღის განმავლობაში ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ დანაშაული გახსნილიყო. პირადად მე ჩემი ოპერჯგუფებით მთელი ამ ხნის განმავლობაში მესტიაში ვიმყოფებოდი. რას ნიშნავს, პოლიცია ფილფანის საქმეში არ ჩარეულა? კითხეთ თავად მძევლადყოფილს და ნახავთ, რას გიპასუხებთ. გატაცების მოტივი, გამტაცებელთა სავარაუდო ვინაობა და გათავისუფლების დეტალები ჯერჯერობით ჩვენგან არ გახმაურდება. საქმეს ასე სჭირდება",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ, სერგო ჩაჩიბაიამ.

რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის გახდა ცნობილი, მხოლოდ ის გახლავთ, რომ გოგი ფილფანი გამტაცებლებს მესტიის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ჰყავდათ გადამალული. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ გატაცებული კოდორის ხეობაში, სოფელ საკენში იმყოფებოდა. პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანი კატეგორიულად გამორიცხავს ფილფანის ყოფნას მის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე. **"გათავისუფლება მოხდა სვანების უხუცესების ჩარევის შედეგად და არა პოლიციის აქტიურობით. პოლიციამ კარგად იცის, ვინ არის ასეთი საქმეებით სვანეთში დაკავებული და ამიტომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, თორემ სვანები თვითონ დააყენებენ ასეთი პოლიციის არსებობა-არარსებობის საკითხს",** - აცხადებს ემზარ კვიციანი.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენი, რომელსაც მესტიის რაიონიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გარკვეულ საფასურად ხალხი მიჰყავდა სამუშაოდ, დაახლოებით, თხუთმეტმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა. მასთან ერთად მყოფი 16 წლის შვილი და ძმისშვილი კი გამტაცებლებმა სოფელ ეცერთან დატოვეს. **"არაფერი დამინახავს, არაფერი არ ვიცი, არაფერი არ მახსოვს",** - მხოლოდ ამ სიტყვებით შემოიფარგლებოდა გატაცებულის შვილისა და ძმისშვილის მიერ გაცემული ინფორმაცია. ის, რასაც თვითმხილველები საგამოძიებო მოქმედების დროს – დაკითხვისას, არ მალავენ, მხოლოდ გამტაცებელთა რაოდენობაა.

# შარაგზის ყაჩაღებს გეგმები ავარიამ ჩაუშალა

*გუშინწინ თბილისი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე, კონკრეტულად - ხაშურის, სურამისა და ხარაგაულის მონაკვეთებზე მანქანების მძღოლები ყაჩაღთა თავდასხმის ობიექტები გახდნენ. 3-კაციანი ჯგუფის მიერ შუადღის ოთხ საათზე ხაშურში დაწყებული თარეში ზესტაფონში, სოფელ შორაპანთან დასრულდა.*

ლაშა ბახტაძემ, ოთარ კოპალიანმა და ბონდო გიგინეიშვილმა ხაშურში "ვაზ-06" მარკის ავტომანქანა გააჩერეს, მძღოლი ზაზა ნოზაძე მანქანიდან გადმოსვეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და მანქანის უკანა სალონში გადასვეს. მძღოლის - ნოზაძის ადგილი ლაშა ბაქრაძემ დაიკავა. თანამზრახველებმა მანქანა პატრონიანად გაიტაცეს და ხარაგაულისკენ აიღეს გეზი. თუმცა, რიკოთის უღელტეხილზე გატაცებული მანქანა, მწყობრიდან გამოვიდა, ამიტომაც, ყაჩაღებმა იგი გზაზე მიატოვეს.

მოგვიანებით, სამეული თავს დაესხა თბილისიდან ზესტაფონისკენ მიმავალ "მერსედესს", რომელსაც თბილისელი შალვა პატარიძე მართავდა. ავტომატებით შეიარაღებულმა ყაჩაღებმა იარაღის მუქარით მძღოლი და ორი მგზავრი მანქანიდან გადმოსვეს, მანქანა გაიტაცეს და გზა ზესტაფონის მიმართულებით გააგრძელეს.

გატაცებული "მერსედესის" პატრონმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა და თავდამსხმელებს იმერეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ზესტაფონთან გადაუკეტეს გზა. სოფელ შორაპანთან დიდი სისწრაფით მიმავალი "მერსედესი" შლაგბაუმს დაეჯახა, ამოტრიალდა და ხანძარი გაუჩნდა. შემთხვევის ადგილზე პოლიციამ სამივე ყაჩაღი, რომლებიც "აკს"-ის სისტემის ავტომატებით, "ნაგანის" სისტემის პისტოლეტითა და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი, დააკავა.

იმერეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსის, ზაზა ძნელაძის ინფორმაციით, დაკავებულები: ხონელი ლაშა ბახტაძე და ოთარ კოპალიანი, სამტრედიელი ბონდო გიგინეიშვილი ადრე ჩადენილ სხვადასხვა მძიმე დანაშაულებში არიან მხილებულნი. ძნელაძის იფორმაციით, სწორედ მათ მიერაა ჩადენილი იმერეთის რეგიონში მაისში განხორციელებული, ავტომანქანის გატაცებები, 11 მაისს ხონში მომხდარი მკვლელობა და სამტრედიაში დაცვის პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმა. დაკავებისას ყაჩაღებს მიკროავტობუსების სია აღმოუჩინეს. სავარაუდოდ, ისინი იმ მიკროავტობუსებზე თავდასხმას გეგმავდნენ, რომელთაც ლილოს ბაზრობაზე გასაყიდი ტვირთი გადააქვთ.

დაკავებულთაგან ორმა, ავარიის შედეგად, სხეულის დაზიანება მიიღო და ამჟამად ზესტაფონის საავადმყოფოში გადის მკურნალობას. მესამე კი, ზესტაფონის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლითაა აღძრული.

## პოლიციის უცნაური აღმოჩენა

ორშაბათს დიდი ბრიტანეთის პოლიციამ უცნაური აღმოჩენის შესახებ განაცხადა. პოლიციელებმა ლონდონში, 53 წლის ბრიტანელის ბინის ჩხრეკისას, 2 ათასი გარდაცვლილის ფოტო იპოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ გაჩხრეკილი ბინა ლონდონის ერთ-ერთი საავადმყოფოს მორგში მუსულმანი ქალის გვამის შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილს ეკუთვნის. პოლიციის ცნობით, აღმოჩენილი ფოტოები რამდენიმე ათეული წლისაა. ბინის პატრონი კი წელს, თებერვალში დააპატიმრეს, თუმცა, მალევე თავდებით გაათავისუფლეს. მასზე ეჭვი მას შემდეგ მიიტანეს, რაც გარდაცვლილი 65 წლის მუსულმანი ქალის ოჯახმა პოლიციას მიმართა. მათი თქმით, მათ მორგში ნათესავის გვამზე დალაგებული, ბეკონის რამდენიმე ნაჭერი იპოვეს.

## ერთი კოცნის საფასური 18 წელი ციხეში

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციამ დამნაშავის დაკავება მეტად უცნაური ხერხით შეძლო. ვიდეოკამერამ, რომელიც სპორტულ მატჩებზე წყვილებს იმ დროს იღებს, როცა ისინი ერთმანეთს კოცნიან, დააფიქსირა ძებნილი დამნაშავე – კოკაინის კონტრაბანდაში, ყაჩაღურ თავდასხმასა და ადამიანის დაჭრაში ეჭვმიტანილი დევიდ ჰორტონი. ოჰაიოელი ჰორტონი ყველა ზემოთჩამოთვლილი დანაშაულისთვის ერთხელ უკვე გასამართლებულია.

შემთხვევის წყალობით, ბეისბოლის მატჩს, რომლის დროსაც კამერამ შეყვარებული დამნაშავე აღბეჭდა, პოლიციელი უყურებდა. მან დარეკა სტადიონის დაცვასთან და მანაც მაშინვე დააპატიმრა ჰორტონი, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის თავს.

ახლა კი, გაუფრთხილებელ ძებნილს 18 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## მანიაკი თოჯინის ნიღბით

ვისკონსინის შტატის ქალაქ მედისონის პოლიცია ეძებს ბოროტმოქმედს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებს ყასბის დანით დაესხა თავს და მძიმედ დაჭრა. ამასთან, თავდამსხმელს საშინელებათა ფილმების ("საბავშვო თამაში", "ჩაკის საცოლე") პოპულარული პერსონაჟის, თოჯინა ჩაკის ნიღაბი ეკეთა.

ინციდენტი დაზარალებულის ბინაში, დილაადრიან მოხდა. ბინის პატრონმა კაკუნზე კარი გააღო და ავისმომასწავებელი, ნიღბიანი მამაკაცი დაინახა, რომელიც მას ხმამაღალი ყიჟინით მიესალმა. შეშინებულმა დამხვდურმა კარის მიხურვა სცადა, თუმცა, "ჩაკმა" მას ამის საშუალება არ მისცა. თავდამსხმელი ნახევრად ღია კარებში შეყოფილი ხელით ყასბის დანას კარგა ხანი ატრიალებდა. შედეგად, ბინის პატრონს დანა რამდენჯერმე მოხვდა. პოლიციის მონაცემებით, ბოროტმოქმედს მთელი ამ ინციდენტის მიმდინარეობისას არაფერი უთქვამს, გამოსცემდა მხოლოდ გაურკვეველ ხმებს.

იმავე ბინაში მყოფმა ქალმა პოლიცია გამოიძახა, მაგრამ სამართალდამცველთა მისვლამდე მანიაკმა გაქცევა მოასწრო. დაზარალებულის თქმით, დამნაშავე შავებში იყო ჩაცმული, სახეზე ჩაკის ნიღაბი ეკეთა, დანის სიგრძე კი, სულ ცოტა, 15 სმ იყო.

## ბალიზე აფეთქების ორგანიზატორს სიკვდილით დასჯა ემუქრება

ინდონეზიაში დაიწყო საკურორტო კუნძულ ბალიზე მომხდარი ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებული იმამ სამუდრას სასამართლო პროცესი. როგორც ცნობილია, ამ ტერაქტის შედეგად 202 ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა უცხოელი ტურისტი იყო. თუ სასამართლომ ბრალდებულს დანაშაული დაუმტკიცა, იმამ სამუდრას სიკვდილით დასჯა ემუქრება. მანამ, სანამ პროკურორები სქელტანიან საბრალდებო დასკვნას კითხულობდნენ, 35 წლის ბრალდებული ისლამისტურ ლოზუნგებს გაჰყვიროდა. პოლიციის მტკიცებით, სწორედ იმამ სამუდრამ შეარჩია თავდასხმის ობიექტი - ღამის კლუბი, სადაც მერე მძლავრი აფეთქება მოხდა, აფეთქების შემდეგ კი ოთხი დღე იმყოფებოდა კუნძულზე, რომ გამოძიების მსვლელობისთვის თვალი ედევნებინა. გუშინ, აგრეთვე, უნდა გაგრძელებულიყო ამ აფეთქებაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილის ამზორ ბინ ნურხაშიმის სასამართლო პროცესი. პოლიცია ეჭვობს, რომ სწორედ მან შეიძინა ასაფეთქებელი ნივთიერება და სხვა მასალები ტერაქტის განსახორციელებლად.

## სროლა სასამართლოსთან

ოთხი ადამიანი დაიღუპა და ცხრა დაიჭრა იემენის დედაქალაქის სასამართლოსთან ატეხილი სროლისას.

ორი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ოჯახი, სასამართლოს შენობასთან ქონებრივი დავის გარჩევის შემდეგ შეიკრიბა. სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარემ საქმის მომგებ ოჯახს ცეცხლი გაუხსნა. სროლისას, გადამტერებული ოჯახების ოთხი წევრი დაიღუპა, ექვსი დაიჭრა. მათ გარდა, სროლამ შემთხვევით გამვლელებიც დააზარალა.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი 3-4 ივნისს, სომხეთში დსთ-ს სპეცსამსახურების პირველი პირების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია მიიღებს თუ სამინისტროს სხვა ოფიციალური პირი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების სამინისტროს რეფორმის საბოლოოდ დასრულება, რომელიც ამ უწყების სამსახურად ჩამოყალიბებას გულისხმობს, იმ კანონპროექტების მიღებაზეა დამოკიდებული, რომელიც სამინისტრომ ბოლო პერიოდში შეიმუშავა. უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, საუბარია, 5 ახალ კანონპროექტზე: "ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ", "ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლისა და მათი აკრძალვის შესახებ", ასევე, "სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ", რომელიც სამინისტროს სამსახურად გადაკეთებას გულისხმობს, აგრეთვე, კანონპროექტები "საიდუმლოების დაცვის შესახებ" და "ელექტრონული დაკვირვების საშუალებების შესახებ", გარდა ამისა, შემუშავებულია მთელი რიგი ცვლილებები უკვე მოქმედ კანონებში შესატანად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა უზბეკეთის რესპუბლიკის ქალაქ სამარყანდში, ყაჩაღობის ბრალდებით, საჩხერის შს განყოფილების მიერ ძებნილი 25 წლის ჯანსულ ნადირაძე დააკავეს. ნადირაძე, მიმდინარე წლის 17 თებერვალს, პირთა ჯგუფთან ერთად, თავს დაესხა საჩხერის რაიონის სოფელ თედელეთში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს. თავდასხმის დროს ოჯახის უფროსს ფიზიკური ზიანი მიაყენეს, რის შედეგადაც დაზარალებული საავადმყოფოში გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა მას 8 ათასი ლარი, 1200 დოლარი და ოქროს სამკაულები გასტაცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა დედა-შვილის - 21 წლის ელზა კაჭიურისა და 2 თვის ელგუჯა გვილავას გატაცებაში კიდევ ერთი ბრალდებული, 20 წლის შოთა წითლანაძე დააკავეს. ამ გატაცებაში ბრალდებული დავით კალანდაძე 18 მაისს დააკავეს. დედა-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფმა, ბანდიტიზმში ბრალდებულ გიგა ბალავაძის ჯგუფმა გაიტაცა. ისინი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან 14 მაისს, დაახლოებით 15.00 საათზე გაიტაცეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ გატაცებულები თბილისში, ვარკეთილში მდებარე ერთ-ერთ ბინაში ჰყავდათ, რომელიც ადრე ნასამართლევ ნინო საღირაშვილს ჰქონდა დაქირავებული. პოლიციელები ამჟამად ნინო საღირაშვილს ეძებენ. პოლიციამ გატაცებულთა გათავისუფლების სპეცოპერაცია 16 მაისს ჩაატარა. დედა-შვილი, საბედნიეროდ, უვნებელი გადარჩა.

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციის უფროსი ინსპექტორის, 24 წლის გოჩა ვაშაკიძის დაჭრის გამო, სამართალდამცველებმა 32 წლის დავით ჩოხელი დააკავეს. თბილისის შს მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, შემთხვევა 31 მაისს, დაახლოებით 21 საათზე, თბილისში, ჟორესის ქუჩაზე მოხდა. ჯგუფური ჩხუბის გასაშველებლად მისულ პოლიციელთაგან ერთ-ერთი, გოჩა ვაშაკიძე ჩოხელმა „ჩზ"-ს ტიპის პისტოლეტიდან გასროლით მუცლისა და მხარის არეში დაჭრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 წლის ზაალ ჩხაიძე და 28 წლის გივი რუხაია, რომლებიც თბილისის მე-5 საპყრობილეში გუშინ მოათავსეს, აცხადებენ, რომ პოლიციის განყოფილებაში სცემეს.

ექსპერტის ცნობით, ჩხაიძეს აღენიშნებოდა დაზიანებები მარჯვენა ფეხის წვივსა და მარცხენა ხელის მტევანზე, ხოლო რუხაიას — სისხლნაჟღენთი თვალბუდის არესა და ორივე ზემო კიდურზე. ჩხაიძე და რუხაია პოლიციელებმა 29 მაისს დააკავეს. ბრალდების თანახმად, ისინი 29 მაისს, 01.00 საათზე ავტომანქანა „გაზ 2101"-ში ჩაუსხდნენ მოქალაქე მერაბ ქაჯაიას, დანის მუქარით წაართვეს 64 ლარი, აუდიომაგნიტოფონი და მაჯის საათი. **მედია-ნიუსი**

# ქვევრის გატეხვა არ გინდათ და...



კახა უგულავა და გია გეწაძე.



ლაშა ჟვანია და გივი თარგამაძე.

თამარ ხორბალაძე

*ანტიკორუფციულ საბჭოს არსებობის ორი წელიწადი შეუსრულდა. დაარსებიდან ორი წლის თავზე საბჭო, რომელმაც, საზოგადოების აზრით, რეალური ანტიკორუფციული ნაბიჯების გადადგმა ვერ თუ არ შეძლო, გააქტიურებას გეგმავს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განცხადებას აკეთებს ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე კახა უგულავა. თუმცა, მანამდე - ოთხშაბათს წილისყრით გაირკვევა საბჭოს იმ ექვსი წევრის ვინაობა, რომელსაც როტაციის წესით შეცვლა მოუწევს. წილისყრაში ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის გარდა, საბჭოს ყველა წევრი მიიღებს მონაწილეობას. დღეს კი "24 საათის" სტუმრები კახა უგულავა და ანტიკორუფციული საბჭოს დღევანდელი წევრები – გივი თარგამაძე, გია გეწაძე და ლაშა ჟვანია არიან.*

**"24 საათი" - არ მიგაჩნიათ, რომ საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლეთ?**

**კახა უგულავა** - საბჭოს შექმნის მომენტისთვის საზოგადოების მოლოდინი განსხვავდებოდა იმისგან, რა მიზნებითაც ანტიკორუფციული საბჭო რეალურად იქმნებოდა. საზოგადოება ელოდა, რომ საბჭოს ექნებოდა საგამოძიებო ფუნქციები, განახორციელებდა კონკრეტულ რეპრესიებს... ჩვენ წავედით სხვა გზით - შემუშავდა მთლიანი ანტიკორუფციული პროგრამა, რომელიც თავის თავში გულისხმობდა რეფორმას. პრობლემა იყო დანახული ასე - კორუფცია არის არა მხოლოდ კრიმინალური პრობლემა, არამედ მთლიანად სისტემა არის კორუმპირებული და საზოგადოებაც არ აღიქვამდა კორუფციას დანაშაულად. ამიტომ ყველა რეკომენდაცია, საუბარია 80-მდე რეკომენდაციაზე, სისტემური რეფორმების განხორციელებას ითვალისწინებდა.

**"24 საათი" - რომელიმე თქვენგანს მიაჩნია, რომ აღებული გეზი იმთავითვე არასწორი იყო?**

**გივი თარგამაძე** - რა თქმა უნდა, თავიდანვე საბჭოს შექმნა პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ, ამ ორგანოს მიბმა პრეზიდენტზე, არასწორი იყო. არასამთავრობოთა მოთხოვნა იყო, რომ ასეთი ორგანო პრეზიდენტისგან დამოუკიდებლად არსებულიყო.

ამასთან, საბჭოს ფორმატი ძალიან შეზღუდულია. საზოგადოება არ იყო ინფორმირებული საბჭოს რეალურ ფორმატზე, ამიტომ მოთხოვნაა იმაზე დიდი, ვიდრე რეალურად - საბჭოს შესაძლებლობები. ამ საბჭოს, თუ ბიუროს, რეალური ბერკეტები რომ ჰქონოდა, მაშინ კონკრეტულ დარგებში კონკრეტული შედეგების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა.

**"24 საათი" - გასულ წელს საბჭოს ფუნქციების გაზრდის თაობაზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს? ეს ცვლილებები საბჭოს ფუნქციებს საზოგადოებაში არსებულ მოლოდინთან აახლოებს?**

**კახა უგულავა** - ეს საბჭოს ქმედითუნარიანობას აამაღლებდა, მაგრამ ეს კანონპროექტები პარლამენტში "გაიჭედა".

**გია გეწაძე** - ჯერ ვნახოთ, რას მოელოდა საზოგადოება. ნორმალურ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არსებობს კორუფცია, თუმცა არსებობს, ძირითადად, ზედა და ქვედა ეშელონებში. სამაგიეროდ, ნაკლებადაა საშუალო ფენაში, რომელიც ყველაზე ძლიერია სახელმწიფოში. ჩვენთან რა ხდება? - ჩვენ ყველანი ამ კორუფციულ გარემოში ვართ ჩართულნი და ყველა ჩვენგანი, მიუხედავად პროფესიისა და მსოფლმხედველობისა, ამ კორუფციული სისტემის მონაწილეები ვართ. ამიტომ, მოლოდინი იმისა, რომ პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს სახით შექმნილი ანტიკორუფციული საბჭო, მისი 12 წევრი ქვეყანაში კორუფციას დაამარცხებდა, იმთავითვე ილუზია გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განსხვავებული იდეალების, მიმართულებების ადამიანები გახლდით, ყოველ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას ვახერხებდით. მე ეს ანტიკორუფციული საბჭოს წარმატებად მიმაჩნია.

მეორე – არც ერთ პოლიტიკურ ძალას ანტიკორუფციული საბჭო გულზე არ ეხატება - არც ხელისუფლებიდან და არც ოპოზიციიდან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი დამოუკიდებლობა. ვერც ერთმა ძალამ საბჭოს თავისი კონკრეტული მიზნებისთვის გამოყენება ვერ შეძლო.

გარდა ამისა, მე ვთვლი, რომ საბჭომ საკმაოდ კარგი რეკომენდაციები შეიმუშავა.

**"24 საათი" - იყო რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როცა თქვენი რეკომენდაციების საფუძველზე გათავისუფლდნენ კონკრეტული თანამდებობის პირები. თუმცა, ეს პროცესი იყო ფრაგმენტული და ეს ფრაგმენტულობა აჩენდა ეჭვს იმის თაობაზე, რომ საბჭოს მიერ მაინცდამაინც ამ პირების ამორჩევა სწორედ კონკრეტული ძალების ინტერესებთან იყო დაკავშირებული. იყო თუ არა საჭირო ასეთი ამოვარდნები, ასეთი "მხილებები" და თუ საჭირო იყო, რატომ არ გაგრძელდა ეს პროცესი?**

**გივი თარგამაძე** - ასეთი ამოვარდნები იმიტომ ხდებოდა, რომ საბჭოს ფუნქციების ფარგლებში ძალიან ძნელია კონკრეტული დოკუმენტაციის მოპოვება. იმ კონკრეტულ შემთხვევებში, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, ეს დოკუმენტაცია მოპოვებული იყო.

**კახა უგულავა** - ამ პირებზე თავად საზოგადოების მხრიდან იყო შემოსული კონკრეტული მასალები. დარღვევები იყო ძალიან აშკარა და დასაბუთებული. ჩვენ არ შეგვეძლო, რომ ამაზე რეაგირება არ მოგვეხდინა.

**"24 საათი" - სხვა პირებზე დოკუმენტები არ შემოსულა?**

**კახა უგულავა** - კონკრეტული - არა.

**გივი თარგამაძე** – ალბათ, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ, მაგალითად, მე რომ მქონდეს სათანადო დოკუმენტები ახვლედიანების საქმიანობასთან დაკავშირებით, ეს დოკუმენტები ანტიკორუფციული საბჭოს მაგიდაზე დაიდებოდა. მაგრამ ასეთი კონკრეტული დოკუმენტების მოპოვება ძალიან ძნელია.

**კახა უგულავა** - სხვათა შორის, ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით, იქნებოდა ერთ-ერთი ნაბიჯი, გადადგმული იქითკენ, რომ ბიურომ თანამდებობის პირებზე მასალების მოგროვება შეძლოს.

**"24 საათი" - რა პერსპექტივა აქვს ამ ცვლილებებს პარლამენტში?**

**გია გეწაძე** - პარლამენტი ამას არ მიიღებს.

**კახა უგულავა** - ჩვენ ვეცდებით. თუმცა, არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც დღეს ანტიკორუფციული საბჭოს უფლებების გაზრდა ხელს აძლევს.

**ლაშა ჟვანია** - მე ისევ საზოგადოების მოლოდინს დავუბრუნდები. საზოგადოება, შესაძლოა, გუშინაც და დღესაც რეპრესიებს ელოდება. მაგრამ ეს რეპრესიები რა მასშტაბითაც არ უნდა ჩატარდეს, თუ სისტემა არ შეიცვალა, გინდაც შევცვალოთ ვანო გივით - შედეგი არ შეიცვლება.

**"24 საათი" - ანტიკორუფციულის ერთ-ერთი რეკომენდაციის შედეგი იყო ფინანსთა და შემოსავლების სამინიტროების გაერთიანება. თქვენ დღეს ამ სტრუქტურაში მუშაობთ. ამ ნაბიჯმა გაამართლა?**

**ლაშა ჟვანია** - ფინანსთა სამინისტროში, ამ მხრივ, რამდენიმე მიმართულებით მიდის მუშაობა – ეს არის, პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციების როლის გაზრდა. ამ მიმართულებით მუშაობს აშშ-ს ხაზინის დახმარების პროგრამაც...

**"24 საათი" - შედეგზე ვისაუბროთ. შედეგი ჯერ ისევ არ ჩანს, ისევ "პროცესში ვართ"...**

**გივი თარგამაძე** - შედეგის მოლოდინი, მე ვფიქრობ, არის აბსოლუტურად უაზრო იმ პირობებში, როცა არსებობს ის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე. ცხადია, საუბარია საქართველოს პრეზიდენტზე. მთავარი რეკომენდაცია, რომლის არგანხორციელების შემთხვევაში, ვერანაირი ფინანსთა სამინისტრო თუ სხვა სტრუქტურა აბსოლუტურად ვერაფერს ვერ გააკეთებს – ეს არის პოლიციის რეფორმა. ამას პრეზიდენტმა ძალიან მკაფიო პასუხი გასცა – ეს არის აუცილებელი, მაგრამ ამ საქმეში აჩქარება საჭირო არ არის. ანუ ეს ნიშნავს, რომ არჩევნებამდე ეს არ მოხდება. არჩევნების შემდეგ ისევ იტყვიან, ღირს თუ არა ამის გაკეთება ისევ მომავალ არჩევნებამდე... პოლიციის რეფორმის გარეშე, გარწმუნებთ, ყველა რეფორმა ისევე განწირულია, როგორც თავის დროზე - სასამართლო რეფორმა.

**"24 საათი" - ანტიკორუფციულ საბჭოში დაიწერა აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის გეგმა, როგორც ამბობენ – საკმაოდ ნორმალური. შემდგომ სპეციალურ კომისიაში დაიწერა კონცეფცია, განისაზღვრა ვადები, განისაზღვრა შემსრულებლები, იყო საუბარი იმაზე, რომ ამას რეაგირება უნდა მოჰყოლოდა... დაირღვა ვადები. რეფორმა არ ხორციელდება. არსებობს აზრი, აი, თუნდაც გივიც ამბობს, რომ საამისოდ არ არსებობს პრეზიდენტის ნება. ანტიკორუფციული საბჭოსგან ელოდნენ იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში, იგი ამ ნების არარსებობას დაუპირისპირდებოდა... რატომ არ მოხდა ასე?**

**კახა უგულავა** - ვინ თქვა, რომ არ მოხდა?! თუნდაც იყო ჩემი გამოსვლა თებერვალში, მარტში – მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, იყო ჩემი გამოსვლა უშიშროების საბჭოს და იუსტიციის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე, სადაც კატეგორიულად ვსაუბრობდი სწორედ იმაზე, რომ პირველ რიგში, სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა არის გასატარებელი. ჩვენ გვესმის, რომ დასაწერია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პოლიციის კანონი, ამას სჭირდება დრო, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრაც შეიძლებოდა და არ გადაწყდა.

**"24 საათი" - და რას აკეთებს ამ დროს ანტიკორუფციული საბჭო?**

**კახა უგულავა** - ახლა საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის კატეგორიულად დასმას ვაპირებთ. საუბარია იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ შეეხება პოლიციას – ამ განხილვებს, შეიძლება, საკადრო ცვლილებებიც მოჰყვეს.

**ლაშა ჟვანია** - მე მაინც მინდა ვთქვა, რომ დღეს არასწორია იმაზე საუბარი, რომ პრეზიდენტმა არ გამოიჩინა ნება. პრეზიდენტის მხრიდან პოლიტიკური ნება გამოჩენილია - მან ანტიკორუფციულ გეგმას ხელი მოაწერა. ამ გეგმაში კონკრეტულად არის გაწერილი თითოეული პასუხისმგებელი პირი - თითოეულ მიმართულებაზე: ესენი არიან მინისტრები, სახელმწიფო მინისტრი, უწყებების ხელმძღვანელები...

**გივი თარგამაძე** - ეს პასუხისმგებელი პირები რომ პასუხს არ აგებენ შესრულებაზე, ეს არის სწორედ პრეზიდენტის ნება.

**ლაშა ჟვანია** - კონკრეტული პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ანტიკორუფციულის პრეროგატივაა და თუ რეაგირება არ იქნება, მერე შეიძლება საუბარი ამ ნების არარსებობაზე.

**"24 საათი" - დღეს, როცა მთელი პოლიტიკური ცხოვრება წინასაარჩევნო კანონებს ემორჩილება, ხომ არ ფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხის დაყენება ანტიკორუფციულის მიერ დაგვიანებულია?**

**ლაშა ჟვანია** - დაგვიანებული კი არა, აბსოლუტურად დროულია. წინ არჩევნებია და როგორც საზოგადოებამ, ისე ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ თუ არჩევნებში ისევ ეს კონკრეტული ხალხი გავა და უმრავლესობას მოიპოვებს, ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება...

**"24 საათი" - სახელისუფლებო ძალა გყავთ მხედველობაში?**

**ლაშა ჟვანია** - რატომ მხოლოდ სახელისუფლებო...

**"24 საათი" - მართვის ბერკეტები დღეს მათ ხელშია.**

**ლაშა ჟვანია** – მართალია, ძირითადად, სახელისუფლებო... უფრო სწორად, საუბარია კონკრეტულ ადამიანებზე, ვისაც მართვის კონკრეტული ბერკეტები გააჩნია.

**გივი თარგამაძე** - დღეს დგას სერიოზული არჩევანის საკითხი. ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი - პრეზიდენტმა არჩევანი უნდა გააკეთოს. მე კონკრეტულ მაგალითს ავიღებ - ჩემს გამოძიებულ სიტუაციას კონტრაბანდასთან დაკავშირებით. მე შემიძლია პირდაპირ შევთავაზო პრეზიდენტს სქემა, როგორ შეიძლება ეს სიტუაცია მოწესრიგდეს. არჩევანი ასეთია - ეს თანხა პრეზიდენტმა ბიუჯეტში გაუშვას და ამ გზით წინასაარჩევნო ქულები ჩაიწეროს, თუ ურჩევნია - ეს თანხა გაუშვას პარტიულ ჯიბეში და ამით ისევ ჩაიწეროს საარჩევნო ქულები.

**"24 საათი" - არჩევანი ახსენეთ. ფაქტია, რომ რეფორმა, ფრაგმენტული გამონაკლისების გარდა, არ ხორციელდება... მეტიც - ანტიკორუფციულის ერთ-ერთი სერიოზული რეკომენდაცია მშენებლობის სამინისტროს გაუქმება იყო და თითქოს ამისკენ ნაბიჯებიც გადაიდგა. დღეს კი პრეზიდენტმა მშენებლებს პირობა მისცა, რომ ეს სამინისტრო არ გაუქმდება - მისცა მშენებლების წინასაარჩევნო მხარდაჭერის საპასუხოდ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საბჭოს რეკომენდაციებსა და წინასაარჩევნო ინტერესებს შორის არჩევანი უკვე გაკეთებულია? რა გარანტია გაქვთ, რომ ამ არჩევნებამდე ანტიკორუფციული საბჭოს გააქტიურებას, თუნდაც ძალიან სწორ ინიციატივებს, ხელისუფლება არ გამოიყენებს მხოლოდ პიარის ასაგებად და არა რეალური საქმის გასაკეთებლად?**

**გივი თარგამაძე** - თუ პრეზიდენტი რეალურად გადაწყვეტს, რომ ჩემს მიერ მოყვანილი კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში, დღეს ჩინოვნიკების და ერთეულების ჯიბეში მიმავალი ფული პენსიონერების და სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯიბეში უნდა წავიდეს, აიგოს ამაზე პიარი შევარდნაძემ, აბსოლუტურად არ ვარ ამის წინააღმდეგი.

**გია გეწაძე** - მე ვფიქრობ, რომ ძალიან ჩამჭრელი კითხვა დაგვისვით, რადგან დღეს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დაკავებულია იმით, თუ რამდენი ადამიანი ეყოლება საარჩევნო კომისიაში და საზოგადოებრივი აზრი არავის აღარ ახსოვს... ამ სიტუაციაში ანტიკორუფციულის "ლამაზ-ლამაზი" ინიციატივებით გამოსვლა, შეიძლება, მართლაც არ იყოს დროული. მაგრამ მე მაინც რეალისტი ვარ და ვფიქრობ, რომ რაღაც-რაღაცეებს ჩვენ მაინც ვაკეთებთ, ჩვენს არსებობას მაინც აქვს აზრი.

**კახა უგულავა** - ჩვენ მაინც ოპტიმისტები ვართ. ჩვენ ვიცით, რომ სიტუაციის შეცვლა გვინდა. ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ ეს ყველას უნდა. მინისტრი არ გააუქმებს თავის სამინისტროს, თუნდაც დარწმუნებული იყოს, რომ სამინისტრო არ უნდა არსებობდეს. ამიტომ საჭიროა ზეწოლა.

**"24 საათი" - თქვენ ამბობთ, რომ ანტიკორუფციულს უნდა... არ მიგაჩნიათ, რომ ძალიან პასიურად უნდა?**

**კახა უგულავა** - აქტიურ ფორმებზეც ვფიქრობთ... ისე, შეიძლება იხმაურო, მაგრამ იხმაურო მარტო პიარის გასაკეთებლად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე უნდა გაკეთდეს. გაიხსენეთ, რომ ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების საქმე ბოლომდე მივიდა. ეს ხმაურის გარეშე მოხდა, მაგრამ წინააღმდეგობა იყო ძალიან დიდი, პარლამენტში იყო არანორმალური ლობირება. ძალიან ბევრი ფულიც ჩაიყარა ამ წინააღმდეგობაში, ბევრი ურთიერთობები იყო გამოყენებული, მაგრამ ხომ გაუქმდა?! ჩვენთვის ეს არის მიღწევა. მშენებლობის სამინისტროსთან დაკავშირებით ხომ არსებობს ფონი, რომ ეს სამინისტრო არ გაუქმდება - გპირდებით, გაუქმდება!

**გივი თარგამაძე** - არჩევნების შემდეგ...

**კახა უგულავა** - ახლაც გაკეთდება, მაგრამ - ხმაურის გარეშე.

**გივი თარგამაძე** - მე მაქვს წინადადება. მთავრობის სხდომის, ამ კლოუნადის გაშუქების ნაცვლად, გაიმართოს ანტიკორუფციული საბჭოს და მინისტრების ღია შეხვედრა პრეზიდენტთან და იქ კარგად გამოჩნდება, ვინ რას აკეთებს და ვინ - არ აკეთებს...

**კახა უგულავა** - ეს აუცილებელია, მაგრამ - არ არის საკმარისი. სხვათა შორის, საქართველოში ლაპარაკი ყველას შეუძლია. აი, მაგალითად, ჩამოდიან უცხოელები, შეხვდებიან ჩვენი ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელ პირებს, პროკურატურას და მიდიან ისეთი აღფრთოვანებულები, თითქოს ამ სტრუქტურებში ყველაფერი იდეალურადაა და სხვაგან იქცევა ქვეყანა... ამიტომ, ჩვენ რაღაც უფრო რეალური ბერკეტი უნდა მოვიფიქროთ.

**გივი თარგამაძე** - საბჭოს რომ საგამოძიებო ფუნქცია ჰქონდეს, მაშინ მე არ მექნებოდა პრობლემა, რომ მაგალითად, ჩემს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე არ აღიძრება სისხლის სამართლის საქმე და არ მოხდება რამდენიმე ლონისძიების ჩატარება, რომლის შედეგადაც ეს საქმე ბოლომდე გაიხსნება...

**"24 საათი" - დღეს ყველანი თანხმდებით იმ საკითხში, რომ არსებული ფუნქციების პირობებში, საბჭო ბოლომდე ეფექტურად მოქმედებას ვერ ახერხებს. ამბობთ იმასაც, რომ დღევანდელ პარლამენტში, მით უმეტეს - არჩევნებამდე, საბჭოსთვის ფუნქციების გაზრდის ან სხვა, ანტიკორუფციულის მიერ ინიცირებული კანონპროექტების დამტკიცება ვერ მოხერხდება. ასეთ სიტუაციაში, თქვენი აზრით, საბჭოს არსებობას საერთოდ აქვს აზრი?**

**ლაშა ჟვანია** - საბჭომ დაამტკიცა, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება და კორუფციის აღმასვლისთვის ხელის შეშლა შეეძლო და დღესაც შეუძლია... ეს არის ორგანო, რომელსაც აქვს ნება, აქვს კონკრეტული მიმართულება და ამ ნებას ხორცს აუცილებლად შეასხამს.

**გია გეწაძე** - რამდენადაც ჩვენ დღეს არა ვართ ნორმალური სახელმწიფო, შეიძლება ასეთი სათათბირო ორგანოების არსებობას აზრი ჰქონდეს იმ მიზნით, რომ არსებულ მდგომარეობას ცოტათი მაინც შეცვლიან. თორემ, ზოგადად, ნორმალურ სახელმწიფოში მთავრობა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს, პროკურატურა – თავისას, და ასე შემდეგ... ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი დამატებითი სათათბირო ორგანოების შექმნა არასწორია.

**"24 საათი" - ჩვენთან?**

**გია გეწაძე** – შეიძლება, ჩვენთანაც არასწორია. ვერ გეტყვით. თუმცა, ერთი რამ ვიცი - თუ მე ასეთი ორგანოს წევრი ვარ, არსებული სიტუაციის შეცვლას ხელი უნდა შევუწყო.

**კახა უგულავა** - სიტუაცია ვერ შეიცვლება, სანამ შესაბამისი სტრუქტურები თავისი საქმის კეთებას, კორუფციასთან ბრძოლას არ დაიწყებენ. ჩვენ, უბრალოდ, მაგალითი შეგვიძლია ვაჩვენოთ. დღეს, მაგალითად, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმის მიზეზად ძალოვანი სტრუქტურები ასახელებენ იმას, რომ ამა თუ იმ საქმეს ვერ ეხებიან, რადგან ეშინიათ... ვერ ეკარებიან იმიტომ, რომ თვითონ არიან ამ საქმეში. მე ეს საკითხი დავსვი კიდეც უშიშროების საბჭოზე, სადაც საუბარი იყო კონტრაბანდაზე. მე ვიკითხე, როდესაც კონტრაბანდული ხე-ტყე გადის, არის თუ არა ყველა წილში? იქ ყველა უწყების წარმომადგენლები ისხდნენ და ერთხმად აღიარეს, რომ - არის. ფულს იღებს როგორც ლეგიონი, ისე საბაჟო, შსს, პროკურატურა, უშიშროება და, დამატებით კიდევ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. მთელი ჯაჭვი მუშაობს...

**"24 საათი" - საზოგადოებას მიაჩნდა, რომ თქვენ უნდა გაგერღვიათ ეს ჯაჭვი.**

**კახა უგულავა** - ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი, რომ აკეთონ ის, რაც ევალებათ. ჩვენ ჩვენს ფუნქციას შესრულებულად ჩავთვლით, თუ მივაღწიეთ, რომ კორუფცია ჩაითვლება ისეთივე დონის დანაშაულად, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობა და როცა ამის გამო ხალხს დაიჭერენ...

**გია გეწაძე** - აქ არის ქვევრის გატეხვა-არგატეხვის მსგავსი ამბავი. თუ თვლით, რომ საზოგადოება ჩვენგან სისტემის დანგრევას და ახლის აშენებას მოითხოვს, გეტყვით, რომ ჩვენ ჩვეულებრივი სამჭკუაშვილები ვართ. ქვევრის გატეხვა არ გინდათ და...

**ლაშა ჟვანია** - ერთ მაგალითს მოგიყვანთ - ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა იმის ნება, რომ ბაზრობებიდან კონტრაბანდული საქონელი ამოგვეღო. მაგრამ, ვინ საზრდოობს ამ კონტრაბანდული საქონლით? ჩვენი საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ფენა, ლტოლვილები... ჩვენ რომ იმათ კონტრაბანდული გზით ჩამოტანილი სიგარეტი, სასმელი და სხვა წვრილმანი წავართვათ, სოციალური აფეთქება მოხდება. ამიტომ, ჩვენ იმ სქემების მოშლაზე მივმართავთ ჩვენს ყურადღებას, რომელიც ამ კორუფციულ გარიგებებს უწყობს ხელს...

**"24 საათი" - თეორიულად ეს გასაგებია, მაგრამ სად არის პრაქტიკული მოქმედება?**

**გივი თარგამაძე** - პრაქტიკული მიზანი ამ ორგანოს არსებობას რომ არ ჰქონდეს, მე დღემდე საბჭოს წევრი არ ვიქნებოდი. ჯერ ერთი, გარკვეული რიდი საბჭოსადმი არსებობს. მეორეც, აი, თუნდაც რისი გაკეთება შეგვიძლია დღეს - დავიბაროთ მთავრობის წევრები, იმ სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებიც ამ კონტრაბანდის სქემაში არიან ჩართულნი, ყველანი ერთად, იქვე დავუდოთ ჩვენს მიერ მოძიებული სქემები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენლები იყვნენ შეხვედრაზე, რომ ერთმანეთისთვის მარტივად გადაბრალება ვერ შეძლონ. რეალური სქემების გაშიფვრა ამ სიტუაციაში უფრო ადვილი იქნება.

გარდა ამისა, ჩვენ იმ გაჭირვებულ ხალხსაც უნდა ავუხსნათ, რომ თუ კონტრაბანდა "გაპრავდება", მაშინ წვრილი მოვაჭრეებისთვის ყველაფერი იქნება უფრო იაფი. ჩვენ, როგორც მინიმუმ, ამ ყველაფრის დაფიქსირება შეგვიძლია.

**"24 საათი" - გინდათ თქვათ, რომ ამის მიღწევა საბჭოს არსებობის პირობებში უფრო ადვილია, ვიდრე - არარსებობის?**

**გივი თარგამაძე** - რა თქმა უნდა. ცალკეული ჟურნალისტური გამოძიების შემთხვევაში, ამ ხალხის ერთად შეკრება შეუძლებელი იქნებოდა. მე არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა ეს ანტიკორუფციული საბჭოს პირობებში - ეს გამოჩნდება. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ იმის საშუალება მაინც გვაქვს, თუ ვინმე ასეთ შეხვედრაზე არ მოვა, პირდაპირ ვთქვათ: ეს არის ადამიანი, ვინც პენსიონერებს ფულს პირადად პარავს.

**კახა უგულავა** - აქ უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს სახით საბჭოს არსებობა უარყოფითი ფაქტორია, რაზეც გივიმ დასაწყისში უკვე ისაუბრა, იმდენად ამას დადებითი ეფექტი აქვს - ჩვენ შეიძლება საზოგადოებისთვის პრეზიდენტამდე პრობლემების მიმტან ხიდად გამოვდგეთ.

რაც შეეხება პრეზიდენტს – მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ანტიკორუფციული საბჭოს აქტიურად ამოქმედებით და კორუფციასთან ბრძოლით "სისხლხორცეულად არის დაინტერესებული". ედუარდ შევარდნაძემ აქვე აღნიშნა, რომ ანტიკორუფციული საბჭოს შექმნისა და მუშაობის სახით საქართველოში **"ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი მიმდინარეობს".**

www.24hours.ge 24 B

# გადამწყვეტი არჩევანი

A1 გვერდიდან

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

*ქართული ფორუმი რამდენიმე კვირის წინ დაარსდა ვაშინგტონში. ფორუმის დამფუძნებლებს შორის არიან ამერიკის ყოფილი ელჩები საქართველოში კენტ ბრაუნი, უილიამ კორტნი და კენეტ იალოვიცი, ჯონ და ოთარ შალიკაშვილები, უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი, ელჩი დევიდ სმიტი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი ფრედ სტარი. გთავაზობთ მრგვალ მაგიდას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ელჩები კენეტ იალოვიცი, უილიამ კორტნი და დევიდ სმიტი.*

**- ქართული ფორუმის მიერ გაკეთებულ განცხადებაში წერია, რომ ამ ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, ადამიანის უფლებების დაცვაში და, საერთოდ, დემოკრატიზაციის პროცესში. რა მექანიზმებით შეძლებს ფორუმი ამ მიზნის განხორციელებას?**

**უილიამ კორტნი**: ფორუმის მთავარი მიზანია, ამერიკაში საჯარო დისკუსია დაიწყოს ყველა იმ მნიშვნელოვან პრობლემაზე და საფრთხეზე, რომლის წინაშეც დღეს ქართული საზოგადოება აღმოჩნდა. რაც მთავარია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის დისკუსიებმა თვითონ საქართველოშიც ინტენსიური ხასიათი მიიღოს, რადგან, პირველ რიგში, სწორედ ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ რა არის მათი მიზანი, როგორი ტიპის სახელმწიფოს აშენებენ და ამ მიზნის მისაღწევად რომელი გზა უნდა აირჩიონ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დებატები აბსოლუტურად ღია და საჯარო იყოს და მასში მონაწილეობა მიიღოს ხალხმა.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, დავრაზმოთ ის ამერიკელები, რომლებსაც საქართველოს დახმარება სურთ.

**კენეტ იალოვიცი**: ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისია. თქვენ იცით, რომ ქართული ფორუმი მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც შეიქმნა. ჩვენი მიზანია, ამერიკაში შევკრიბოთ ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულები არიან საქართველოთი და განვიხილოთ ყველაზე მტკივნეული საკითხები, რომელიც დღეს ქვეყანას აწუხებს. ჩვენ ისეთ თემებზე ვიმუშავებთ, როგორიც არის ქვეყნის უსაფრთხოება, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, ენერგეტიკული საკითხები და ა.შ. ყოველი შეხვედრის შემდეგ გამოვუშვებთ დოკუმენტს, სადაც იქნება ჩვენი წინადადებები, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ესა თუ ის კონკრეტული პრობლემა. ძალიან გვინდა, რომ ეს განცხადებები ქართულმა მედიამ გაავრცელოს, რათა ამით ხელი შევუწყოთ დიალოგის დაწყებას საქართველოშიც.

ამ ეტაპზე ჩვენთვის, რა თქმა უნდა, პრიორიტეტი მომავალი არჩევნებია, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს არჩევნები საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. პირველი შეხვედრის შემდეგ უკვე გავავრცელეთ განცხადება, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გაატაროს, რათა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს.

**- დღეს ამერიკაში ყველა - დაწყებული ექსპერტებიდან, დამთავრებული ოფიციალური პირებით - საუბრობს იმაზე, რომ არადემოკრატიული არჩევნები ძალიან ცუდ შედეგებს მოუტანს საქართველოს. კონკრეტულად რა შედეგებზეა ლაპარაკი?**

**დევიდ სმიტი:** თუ არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა, ამით, პირველ რიგში, ქართველი ხალხი წააგებს, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა ცხოვრება.

გარდა ამისა, არადემოკრატიული არჩევნები, ბუნებრივია, ძალიან ნეგატიურ გავლენას მოახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე და ამ შემთხვევაშიც, წაგებული ისევ ქართველი ხალხი დარჩება.

თუ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ვერ მოახერხებთ, ეს ნიშნავს, რომ ვერ მოიზიდავთ ინვესტიციებს, რადგან არავინ ჩადებს ფულს იმ ქვეყანაში, სადაც სტაბილური დემოკრატია არ არის. ინვესტიციების გარეშე კი ვერ გადაჭრით ძალიან მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს.

გარდა ამისა, საქართველომ, უკვე დიდი ხანია, განაცხადა თავისი სურვილი, შეუერთდეს ნატო-ს. მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ხომ დემოკრატიული სახელმწიფოების ერთობაა. დემოკრატიული სახელმწიფოების ერთობაა ევროკავშირიც. აბსოლუტურად წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა მიაღწიოს საქართველომ ამ პრესტიჟულ საერთაშორისო კლუბებში გაწევრიანებას, თუ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაც კი ვერ შეძლო. დღეს ყველა ძალიან კარგად უნდა აცნობიერებდეს იმ ფაქტს, რომ დემოკრატიული არჩევნები ნატო-ში გაწევრიანების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ამ ეტაპზე მთავარია, საქართველომ აჩვენოს, რომ მას უნდა და, რაც მთავარია, უნარი შესწევს, არჩევნები დემოკრატიულად ჩაატაროს.

**- არჩევნები არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს - არასტაბილური საბიუჯეტო და ეკონომიკური პროცესები, კორუფცია, ადამიანის უფლებების ხელყოფა და ა.შ. არის თუ არა პირდაპირი კავშირი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებასა და ამ პრობლემების მოგვარებას შორის?**

**კენეტ იალოვიცი:** საქართველოში 1998 წლიდან 2001 წლამდე ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, როგორ არიან ადამიანები შეწუხებულნი კორუფციის დონით, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებით. მაგრამ, ამასთან ერთად, თითქმის ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი აპათიური და ცინიკური გახდა, დაკარგა ნდობა ხელისუფლების მიმართ და აღარ სჯერა, რომ რამის გაკეთება კიდევ შეიძლება.

მომავალი არჩევნები არის შანსი, ხალხმა აირჩიოს ის პარტია ან პოლიტიკური ჯგუფი, რომლის იდეებსა და მიდგომებსაც ის იზიარებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომ საზოგადოებამ გავლენა მოახდინოს თავისი ქვეყნის მომავალზე და ეს არის დემოკრატიული ქვეყნების წარმატების საიდუმლო.

ხალხმა უნდა აირჩიოს მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა და მისცეს მას ნდობის მანდატი, გაბედული ნაბიჯები გადადგას იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს - კორუფცია, სოციალური პრობლემები, ენერგეტიკული კრიზისი და, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს არის ის, რაც ქართველ ხალხს ამ ეტაპზე ძალიან სჭირდება.

ასე რომ, დემოკრატიული არჩევნები, თუ მოხერხდა ამის უზრუნველყოფა, საქართველოში ძალიან ჯანსაღი პროცესის დასაწყისი იქნება.

**- ამ კონტექსტში როგორ შეაფასებდით ოპოზიციურ მოძრაობას?**

**კენეტ იალოვიცი:** რასაც მე ვხედავ, არის ის, რომ სახელისუფლო ძალებმა მოახერხეს გაერთიანება, რაც ჯერჯერობით ვერ შეძლეს ოპოზიციურმა პარტიებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ ღირებულებებსა და პრინციპებს იზიარებენ.

გაერთიანდებიან თუ არა ეს პარტიები, მათი გადასაწყვეტია. ამას ჩვენ მათ ვერ ვუბრძანებთ, მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. ჩვენ არ გვინდა, განმეორდეს ის, რაც წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოხდა, როცა საერთაშორისო დამკვირვებლებმა ძალიან კრიტიკულად შეაფასეს ორივე არჩევნები. არ გვინდა, განმეორდეს ის, რაც მოხდა სომხეთში და რაც სარგებელს ნამდვილად არ მოუტანს ამ ქვეყანას.

ძალიან დიდი სურვილი გვაქვს ყველას, რომ საქართველომ სომხეთისაგან განსხვავებული გზა აირჩიოს. ამისათვის კი ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. განსაკუთრებით პრინციპულია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მიუკერძოებელი და პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტდეს.

**დევიდ სმიტი:** არ ვაპირებ, ვისაუბრო რომელიმე პოლიტიკურ ლიდერზე ან პარტიაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოში გამორჩეული ლიდერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი, კონკრეტული პრობლემები მოაგვარონ. ხალხის გადასაწყვეტია, თუ რომელი ძალა მოვა ხელისუფლებაში. მთავარია, რომ ეს ძალა დემოკრატიული არჩევნებით მოვიდეს და ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს, რადგან კორუფციასთან ბრძოლა, ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება, ენერგეტიკული კრიზისის გადაჭრა, ტერიტორიული პრობლემების მოგვარება ძალიან რადიკალური და მძიმე ნაბიჯების გადადგმას ითხოვს. ამ ნაბიჯების გადადგმა კი მხოლოდ ლეგიტიმურ და ხალხის ნდობით აღჭურვილ ხელისუფლებას შეუძლია. ლეგიტიმურობა სჭირდება არ მარტო პრეზიდენტს, არამედ პარლამენტის თითოეულ წევრს.

თუ ამ ახალგაზრდა პოლიტიკურ ლიდერებს არ ექნებათ ლეგიტიმურობა, რომელსაც მათ ამომრჩეველთა ხმები მისცემს, ისინი ვერ შეძლებენ მოაგვარონ ის პრობლემა, რომლის მოგვარების უნარიც ნამდვილად შესწევთ.



უილიამ კორტნი



დევიდ სმიტი



კენეტ იალოვიცი

**- ოპოზიცია ხშირად ემუქრება ხელისუფლებას ხალხმრავალი დემონსტრაციებით. დაახლოებით, ერთი კვირის წინ ოპოზიციურმა ფრაქციებმა პარლამენტის სესია დატოვეს და მომხრეებს მშვიდობიანი მანიფესტაციისკენ მოუწოდეს. დემონსტრაციებს აწყობენ სტუდენტებიც. მანიფესტაციების წინაალმდეგ ხელისუფლების მთავარი არგუმენტი კი ის არის, რომ ქუჩის აქციებს დესტაბილიზაცია მოჰყვება.**

**უილიამ კორტნი:** ჩვენ მხარს ვუჭერთ და მოგვწონს მშვიდობიანი მანიფესტაციები. ამერიკას მანიფესტაციების დიდი ტრადიცია აქვს. ხალხი სხვადასხვა მიზეზის გამო გამოდის გარეთ და აფიქსირებს თავის პოზიციას. ამისათვის ვაშინგტონში ისეთი სიმბოლური ადგილიც კი არის, როგორიც ვაშინგტონის მოლია და ჩვენ ყველანი ვამაყობთ ამ ტრადიციით.

**კენეტ იალოვიცი.** მე აბსოლუტურად ვეთანხმები ელჩ კორტნის და, პირველ რიგში, მინდა მივმართო ახალგაზრდებს. საქართველოში ელჩობის დროს ბევრ ახალგაზრდა ადამიანს შევხვდი. რამაც გამაოცა, იყო ის, რომ ყველანი ძალიან ინდეფერენტულად ეკიდებოდნენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებს. ასეთი მიდგომა კი ხელისუფლებას აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას ვერ აიძულებს.

მე მოგიწოდებთ ახალგაზრდებს, იყავით უფრო აქტიურები და გამოიყენეთ თქვენი სამოქალაქო უფლებები (რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობ ფანჯრების ჩამტვრევაზე ან სხვა ამგვარი ტიპის აქტიურობაზე). შეუერთდით იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა მსოფლმხედველობასაც იზიარებთ, ან ყოველგვარი პარტიული კუთვნილების გარეშე გამოხატეთ თქვენი ნება და ხელი შეუწყეთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. იცოდეთ, თქვენ ვერ აიძულებთ ხელისუფლებას, დემოკრატიული პროცესის განვითარებას შეუწყოს ხელი, თუ თავად არ გახდით ამ პროცესის მონაწილენი. იყავით თქვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები.

**დევიდ სმიტი:** არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩატარდეს, ამისათვის აუცილებელია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიუკერძოებელი ადამიანები იყვნენ, რომლებიც არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავენ. ეს არის საკითხი, რომელიც ახლა განიხილება პარლამენტში. მე არ ვიცი, ვინ არის მართალი და ვინ არა, ვინ ვაჭრობს ამ საკითხზე და ვინ არა. მაგრამ მე ერთი რამე ვიცი, რომ პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს საარჩევო კოდექსში ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიუკერძოებელი ადამიანებით დაკომპლექტებას. და თუ ამის მისაღწევად აუცილებელია მშვიდობიანი დემონსტრაცია, ასეთი დემონსტრაცია აუცილებლად უნდა მოეწყოს და ხალხმა თავისი ნება გამოხატოს. დესტაბილიზაცია კი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიწყოს, თუ ამ მშვიდობიანი დემონსტრაციის წინაალმდეგ ვინმე ძალას იხმარს. ეს არის ის, რისიც ამერიკელებს ეშინიათ. ხალხს აქვს მშვიდობიანი მანიფესტაციების ჩატარების უფლება და ამ უფლების გამოყენება ახლა გადამწყვეტია საქართველოს მომავლისათვის.

**უილიამ კორტნი:** ამ უფლების გამოყენების ძალიან კარგი მაგალითია ის დემონსტრაცია, რომელიც ხალხმა "რუსთავი 2"-ის დასაცავად მოაწყო.

**კენეტ იალოვიცი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკითხი ძალიან პრინციპულია. ასევე ძალიან პრინციპულია ზუსტი საარჩევნო სიების შედგენა, რადგან არასწორი, მკვდარი სულებით შევსებული სიები ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია არჩევნების გასაყალბებლად.

ეს არის ის საკითხები, რომელიც არჩევნებამდე აუცილებლად უნდა მოგვარდეს. და, რა თქმა უნდა, ხალხს აქვს უფლება დემონსტრაციების, რათა ამ საკითხების მოგვარება უზრუნველყოს.

**- 90-იან წლებში საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე სამაგალითო ქვეყნად ითვლებოდა. თქვენი აზრით, რა მოხდა ამ ბოლო ოთხ წელიწადში, რატომ დაიწყო ასეთი კრიზისი?**

**უილიამ კორტნი:** 90-იანი წლების დასაწყისში შევარდნაძე შეეცადა, აღეზარდა პოლიტიკოსების ახალი თაობა და უფრო მეტ ადამიანს აძლევდა შანსს, მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ პროცესებში. მაგრამ ხელისუფლებაში თანდათან შეეშინდათ, რომ დემოკრატიული პროცესების განვითარება მათ პოზიციებს მნიშვნელოვნად შეარყევდა და ამ პროცესების შეჩერება დაიწყეს.

**კენეტ იალოვიცი:** მე ვფიქრობ, რომ უილიამ კორტნი აბსოლუტურად მართალია. კორუფციამ, რომლის წინაალმდეგ რეალურად არავინ იბრძოდა, ძალიან მძიმე კრიზისში შეიყვანა ქვეყანა. რესურსები ანუ ნამცხვარი ყველას აღარ ყოფნიდა და ვისაც ამ ნამცხვრის რაღაც ნაწილი უნდოდა, უფრო აგრესიულები გახდნენ.

ბუნებრივია, გარე ფაქტორებმაც დიდი როლი ითამაშა. მაგალითად, გალში განახლებულმა კონფლიქტმა, რომელმაც უამრავი ადამიანი მიუსაფარი დატოვა; რუსეთის კრიზისმა და ა.შ. ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო კი, ხელისულებას შეეშინდა რეფორმების გატარება, რათა დესტაბილიზაცია არ გამოეწვია. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა. დესტაბილიზაციას რეფორმების გატარება კი არა, პირიქით, რეფორმების დაბლოკვა იწვევს, რადგან ხალხი ძალიან იღლება გაჭირვებით და მუდმივად მოუგვარებელი პრობლემებით.

**- რა როლი ითამაშა თვითონ შევარდნაძის ფაქტორმა, მისმა საბოლოო არჩევანმა კორუფციის სასარგებლოდ?**

**კენეტ იალოვიცი:** მე არ მიყვარს ასეთი პრობლემების პერსონალიზება, რადგან ამ პროცესში გაცილებით მეტი მოთამაშე იყო ჩართული.

მაგრამ, რასაც მე ჩემი ელჩობის დროს ყველაზე მეტად ვითხოვდი, ეს რეფორმების გატარება იყო, რადგან ბალანსის დაცვა რეფორმატორებსა და კორუმპირებულ ჩინოვნიკებს შორის არ იყო ის პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას გრძელვადიან წარმატებას მოუტანდა.

ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში იყო ის, რომ ქვეყნის ხელისუფლებას არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი, რა უნდოდა, რა გზით უნდა წასულიყო და იყო თუ არა ეს პროგრესის, საზოგადოების დემოკრატიზაციის გზა.

დაბალანსების პოლიტიკა უკან, წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა მაშინ, როცა ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, რომლის წინაშეც საქართველო აღმოჩნდა, მკაფიო არჩევანი იყო გასაკეთებლი და ენერგიული, მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკა იყო საჭირო.

ამიტომ ვუბრუნდები ყოველ ჯერზე დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობას, რადგან საქართველოს ახლა აქვს შანსი, გააკეთოს ნათელი არჩევანი, თუ საით, რა გზით უნდა სიარული.

**დევიდ სმიტი:** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის ისიც, რომ ხალხმა დემორალიზება განიცადა. არავის აღარ სჯერა, რომ პროგრესის მიღწევა კიდევ შესაძლებელია. როცა საქართველოში რეფორმებზე ვიწყებ ლაპარაკს, ყველა მხრებს იჩეჩავს და ამბობს, რომ რეფორმები მაინც არ გატარდება. თუ ასე იფიქრე, არც რეფორმები გატარდება და, საერთოდ, არაფერი გაკეთდება. ყოველ დღე თუ იმ შეგრძნებით ადექი, რომ წარმატებას ვერ მიაღწევ, წარმატებას, მართლაც, ვერ მიაღწევ.

ერთადერთი გზა, რომ ეს შეცვალო, ისევ და ისევ არჩევნებია. ხალხმა უნდა აირჩიოს მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა და მისცეს მას მანდატი პრინციპული და რადიკალური ნაბიჯების გადადგმისთვის.

**- ამ გადასახედიდან შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ამერიკის ხელისუფლება უფრო მომთხოვნი, მკაცრი და პრინციპული რომ ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლების მიმართ, დღეს უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა?**

**უილიამ კორტნი:** ჩვენ დავუშვით ერთი შეცდომა, რომელსაც, იმედია, ამერიკის მთავრობა გამოასწორებს. ამერიკამ დიდი მასშტაბის ჰუმანიტარული დახმარება გაუწია საქართველოს. მაგრამ ამ დახმარების გაცემის მექანიზმი არ იყო გამჭვირვალე და ქართული მხარისგან ანგარიშს არავინ ითხოვდა.

**კენეტ იალოვიცი.** მე მიმაჩნია, რომ საქართველოში ჩვენი პოლიტიკა, ძირითადად, სწორი იყო. თავის დროზე ჰუმინატარული დახმარება რომ არ გაგვეწია საქართველოსთვის, ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. შემდეგ ჩვენთვის პრიორიტეტი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საბაზრო ეკონომიკის განვითარება გახდა. მაგრამ ვერანაირი დახმარება ვერ გადაწყვეტს ვერანაირ პრობლემას, თუ პოლიტიკური ნება თვითონ ქვეყანაში არ გაჩნდა. ამერიკა ვერ გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას საქართველოს მაგივრად. ჯოხის პოლიტიკა არ არის ის გზა, რითაც გრძელვადიანი წარმატებების მიღწევა და დემოკრატიის აყვავება შეიძლება.

თქვენი გადასაწყვეტია, რა ტიპის ქვეყანა გინდათ ააშენოთ, ჩვენი ფუნქცია კი მხოლოდ დახმარებაა.

საბოლოო ჯამში მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც გავაკეთეთ. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, არის ის, რომ უფრო მეტი გაცვლითი პროგრამები იყო საჭირო, რათა მეტი ქართველი ჩამოგვეყვანა ამერიკაში და პირიქით. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა პროგრამები რეგიონებში, რაც ითვალისწინებდა, მაგალითად, ფერმერისთვის ტრაქტორის მიცემას, სკოლის რეკონსტრუქციას, ან სამედიცინო დაწესებულებებისთვის დახმარების გაწევას. ასეთი პროგრამები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რათა ხალხს ჰქონოდა იმის განცდა, რომ რაღაც სასიკეთოდ შევცვალეთ მათ ცხოვრებაში.

**დევიდ სმიტი:** შესაძლოა, ამერიკამ საქართველოსთან ურთიერთობაში დაუშვა შეცდომები, მაგრამ ახლა, არ მგონია, სასარგებლო იყოს ამ შეცდომებზე საუბარი. ისტორიას უკან ველარ დააბრუნებ.

სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ თუ ქვეყანაში პოლიტიკური ნება არ არსებობს, არანაირი პირობების წაყენება და სიმკაცრე არ ჭრის.

დღეს საქართველოს პრობლემების ყველაზე მარტივი ახსნა არის ის, რომ ყველაფერი ამერიკის შეცდომებს დავაბრალოთ. თუმცა, მაკრო დონეზე, კონკრეტული პირობების შესრულების მოთხოვნა ბევრად უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო ამერიკის მხრიდან. მაგალითად, თუ თქვენ გზას გააკეთებთ, მე სხვა რამეს გაგიკეთებთ და ა. შ. ეს არის პარტნიორებს შორის დამოკიდებულება. სხვათა შორის, ასეთი ტიპის თანამშრომლობა ძალიან კარგად გამოდის სამხედრო სფეროში, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში". ამ პროგრამაში არის ძალიან ბევრი რამ, რაც მარტო ქართველების გასაკეთებელია.

**კენეტ იალოვიცი.** და რაც მთავარია, როცა შევატყობთ, რომ რომელიმე პროგრამაში კორუფციაა, მაშინვე უნდა შევწყვიტოთ ეს პროგრამა.

# დრამ-ენ-ბეისი – მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ახალგაზრდაა

## კლუბ "დიზელში" ძველ სარდაფს ახალი დანიშნულება მოუძებნეს



*დისკოთეკა სარდაფიდან ვერ ამოვიდა*

მადი სერებრიაკოვა

მას შემდეგ, რაც თბილისში დიდი დისკოთეკების მოდა შემოვიდა, სულ გამოვეთიშე საკლუბო ცხოვრებას. არადა, ჩემს თინეიჯერობაში ერთი სული მქონდა, როგორმე რომელიმე ნესტიან და სიგარეტის კვამლით გაბუღულ სარდაფში ჩავმძვრალიყავი და მეძიგძიგა, სანამ სული არ გამძვრებოდა და ფეხსაცმელი არ შემომეხეოდა. ცოტა ხნის წინათ სწორედ ასეთ, ჯანმრთელობისთვის საფრთხილო სარდაფებში ყვაოდა ახალგაზრდული ცხოვრების ია-ვარდი. "ფართისაც" უფრო ხშირად "ტუსოვკას" ეძახდნენ და განსაკუთრებული თემატიზმითაც არ გამოარჩევდნენ: ვისაც რა ეცეკვებოდა, იმას ცეკვავდა და ისეთ მუსიკას აგუგუნებდა.

ახლა მეგონა დრო შეიცვალა, ფეშენებელური დაწესებულებები გაიხსნა, ხოლო სარდაფებში ვირთხები დამკვიდრდნენ დამსახურებულად. მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა. პეროვსკაიაზე, კლუბმა "დიზელმა" სარდაფული ეპოპეის აღდგენა გადაწყვიტა და გუშინ ცეკვა-თამაშს დანატრებული საზოგადოება "დრამ-ენ-ბეის ფართიზე" მიიწვია. კლუბ "დიზელის" სარდაფი მართლაც სარდაფია - კანალიზაციის მილებით, ნესტიანი ქვის კედლებით და ხრეშიანი იატაკით. ესთეტური მიზნებიდან გამომდინარე, კლუბის დიზაინერებს ეს ყველაფერი მეტალის ბადეებითაც შეუმკიათ და "ბლექ ლაით" განათებითაც დაუმშვენებიათ. თავად ღონისძიება ხანგრძლივი (მთელი ღამე) და ხმაურიანი მუსიკით აღინიშნა. გახმოვანების საკითხი, როგორც ჩანს, ზედმეტი თავდადებით გადაუჭრიათ – მუსიკა ისეთი სიმძლავრით ჟღერდა, რომ მთელი სარდაფი ერთიანად ზანზარებდა. თუმცა, დრამ-ენ-ბეისი რის დრამ-ენ-ბეისი იქნებოდა, ბასებით რომ არ წაელეკა იქაურობა.

დამსწრე საზოგადოებას რაც შეეხება, იმ სარდაფის კვალობაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. როგორც ჩანს, სარდაფების ვირუსი ასაკობრივი მოვლენაა და არა, როგორც აქამდე მეგონა, კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა. კლუბში შესაფერისად გამოწყობილი, ცხვირ-ტუჩ გახვრეტილი თინეიჯერობა ისეთი ხალისით მოძრაობდა, რომ "დიდი დისკოთეკების მოდა" აქ რა მოსატანია. **"ჩვენ ყოველ ღამე "ვფართინგობთ" – აბა, სხვა რა ვაკეთოთ, დავიძინოთ?"** – გულწრფელად გაიკვირვა "ფართის" ერთ-ერთმა მონაწილემ. რა თქმა უნდა, დრამ-ენ-ბეის ფართი მხოლოდ თინეიჯერების გასართობად არ მოუწყვიათ. ღონისძიებას უფროსი თაობის "მოფართინგეებიც" შეუერთდნენ. თუმცა, სარდაფების ასაკიდან გამოსულ მამუკა-ბერიკას, დიმა დადიანსა თუ დეფის, როგორც ჩანს, თინეიჯერებთან თავშექცევას - ბართან დარბაისლური საუბარი ერჩივნათ.

# ვებერის კოლექცია ლონდონში გამოიფინება

ენდრიუ ლოიდ ვებერის ხელოვნების ნიმუშთა კოლექცია პირველად გამოიფინება საზოგადოების წინაშე. მულტი-მილიონერი კომპოზიტორი, სექტემბრიდან თავისი კოლექციიდან 200 ნივთს ლონდონის სამეფო აკადემიას მიაქირავებს.

ენდრიუ ვებერის კოლექცია მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო და უმდიდრეს კერძო კოლექციად არის მიჩნეული. თავიდან ვებერი ვიქტორიანული ეპოქის ხელოვნებით იყო გატაცებული. ამჟამად კი მის კოლექციაშია ჯოშუა რეინოლდსის, სტენლი სპენსერის, პიკასოს, კანალეტოს, როსეტის რამდენიმე ათეული სურათი.

"ეს ფანტასტიკური იქნება, ამ ყველაფრის ერთად ნახვა. მჯერა, რომ ვინც ამ გამოფენას ნახავს დიდ სიამოვნებას მიიღებს, ისევე როგორც ამ კოლექციით მე, ჩემი ოჯახი და მეგობრები წლების განმავლობაში ვტკბებოდით" – განაცხადა კომპოზიტორმა.

# მაიკლ ჯექსონი გაკოტრების პირასაა

ერთდროულად ორი გაზეთი "გარდიანი" და "დეილი ტელეგრაფი" აქვეყნებს სენსაციურ ცნობას იმის შესახებ, რომ დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს პოპ-მომღერლად მიჩნეული მაიკლ ჯექსონი გაკოტრების პირასაა.

ბოლო დროს ჯექსონის დისკებზე სულ უფრო ნაკლები მოთხოვნაა. მისი ბოლო ალბომის Invincible გამოშვება მომღერალს 30 მილიონი დოლარი დაუჯდა, გაყიდვებიდან კი მხოლოდ შვიდი მილიონი ამოიღო.

ბევრი იმასაც ამბობს, რომ პრობლემები, რომლებსაც ჯექსონი შეეჯახა არა ფინანსური, არამედ უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მომღერალს გამუდმებით სასამართლოში უჩივიან.

გარდა ამისა მომღერლის ცნობილი რანჩო "ნევერლენდი" კალიფორნიაში, თავისი ზოოპარკითა და ლუნაპარკით, სადაც უამრავი ბავშვი სტუმრობს, უზარმაზარ ფინანსებს საჭიროებს. ამასთან არანაკლებ თანხებს მოითხოვს ცხოვრების ექსტრავაგანტული წესი, რომელიც მომღერლის იმიჯის ნაწილს წარმოადგენს.

ამტკიცებენ იმასაც, რომ ჯექსონი უკვე დიდი ხანია ვალებშია და გადასახდელი თანხა 240 მილიონ დოლარს შეადგენს.

44 წლის პოპ-ვარსკვლავის ადვოკატმა ბრაიენ ოქსმანმა უარყო გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები მომღერლის ფინანსური პრობლემების შესახებ.

# მუსიკალური ავანგარდის პატრიარქი გარდაიცვალა

რომის საავადმყოფოში 77 წლის ასაკში ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი ლუჩიანო ბერიო გარდაიცვალა.

ლუჩიანო ბერიო, რომელიც ევროპის, ამერიკის, ისრაელის და იაპონიის წამყვან ორკესტრებთან მუშაობდა, განსაკუთრებით ცნობილი იყო ელექტრონულ მუსიკაში შეტანილი სიახლეების გამო.

ლუჩიანო ბერიო 1925 წელს მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. მუსიკის წერა კი 1950-იან წლებში დაიწყო. 1954 წელს დააარსა სტუდია Studio di Fonologia Musicale, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად იქცა ევროპაში. კომპოზიტორი თავის ნოვატორულ იდეებს პროპაგანდას უწევდა მის მიერ დაარსებული ჟურნალით Incontri Musicali.

თავის კომპოზიციებში ბერიო იყენებდა ცნობილი მწერლების ჯეიმს ჯოისისა და იტალო კალვინოს ხმებს, ასევე ხალხურ სიმღერებს და როკ-მუსიკას. როგორც ლუჩანო პავაროტიმ თქვა, ბერიოს შეეძლო ვირტუოზულად გადაეკვეთა მუსიკალური მიმდინარეობების ვიწრო ბარიერები. "იგი დარწმუნებული იყო, რომ როდესაც მუსიკა სიყვარულით იქმნება, მნიშვნელობა აღარა აქვს თუ რომელ მუსიკალურ ჟანრს განეკუთვნება".

მთლიანობაში ლუჩანო ბერიოს შემოქმედება ეჭვქვეშ აყენებდა აღიარებულ მუსიკალურ ფორმებს.

# "ასსა" ამღერდა

## "სუხიშვილებმა" ამ სეზონზე უკანასკნელი ფოლკოთეკა წარმოადგინეს

ვერა ნეფარიძე

კლუბ "16 რაუნდში" სამდღიანი ფოლკოთეკა დასრულდა. "სუხიშვილებმა" პირველ სეზონზე თავიანთი წარმატებული საკლუბო პროექტი "ასსა" უკანასკნელად წარმოადგინეს. კონცერტმა ამჯერადაც წარმატებულად ჩაიარა, თუმცა, სხვადასხვა გარემოებების გამო, ვერ ვიტყვით, რომ ის "ასსა"-ს სხვა, მანამდე გამართულ სანახაობებს სჯობდა.

წინა ფოლკოთეკებთან შედარებით, "ასსა" "16 რაუნდში" მართლაც განსხვავებული იყო. ამის შესახებ ორგანიზატორები წინასწარვე გვაფრთხილებდნენ. მართალია, სარეკლამო ტექსტში დეტალები არ იყო დაკონკრეტებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც გაამართლა – ღია ცის ქვეშ პირველ ფოლკოთეკას, რომელიც სამი დღის განმავლობაში სამ სიურპრიზს გვპირდებოდა, უამინდობის მიუხედავად, მაინც ბევრი ცნობისმოყვარე და გულშემატკივარი გამოუჩნდა.

"სუხიშვილების" "ასსა"-მ, რომელიც ამ სეზონზე ბოლოჯერ გაიმართა, კლუბ "16 რაუნდში" საზაფხულო სეზონი გახსნა. სამი თვის განმავლობაში კლუბი განსხვავებული პროგრამით იმუშავებს. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, დაგეგმილია სხვადასხვა დიჯეებისა და მუსიკოსების ჩამოყვანაც. მაგრამ, როგორც კლუბის აფიშებიდან შევიტყვე, "16 რაუნდის" მუსიკალური იმპორტის ზონა რუსეთს ვერ გასცდება. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, ბევრ თბილისელ მამაკაცს გაუხარდება, როდესაც გაიგებს, რომ სილიკონის მკერდით სახელმოხვეჭილი გოგონები ჯგუფ "ვიაგრადან" კლუბში კონცერტს 23 ივნისს გამართავენ. მანამდე კი, ისევე როგორც ამ კონცერტის შემდეგ, კლუბის სტუმრებს შეუძლიათ ოთხშაბათ-პარასკეობით გაერთონ ვანიკო თარხნიშვილის საზაფხულო მუსიკალური პროექტით, რომელსაც პოპულარულმა თბილისელმა პრომოუტერმა "საუკუნე 20 დღეში" დაარქვა. "ფართების" ფესტივალი ოთხშაბათს იწყება. კლუბის ადმინისტრაციას კი ნამდვილად არ გაუკეთებია ურიგო არჩევანი, როდესაც საზაფხულო საკლუბო სეზონის გახსნა თბილისში უკვე საკმაოდ პოპულარული ფოლკოთეკით გადაწყვიტა. წვიმიანი ღამეების მიუხედავად, სამი დღის განმავლობაში კლუბს საკმაოდ ბევრი სტუმარი ჰყავდა. გულშემატკივართა იმედები, თავის მხრივ, არც "სუხიშვილებს" გაუცრუებიათ – "ასსა"-ს რიგით მეოთხე სანახაობაზე მოცეკვავეებმა კარგად ნაცნობ და ნაწილობრივ უცნობ აუდიტორიას რამდენიმე სიახლე შესთავაზეს.



*ქართული ფოლკლორი სპორტული ფეხსაცმელებით*

ჩემი აზრით, "სუხიშვილების" საკლუბო პროექტი ყველაზე წარმატებული "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამოვიდა და მოგახსენებთ რატომაც: პირველ რიგში, ღია ცის ქვეშ აქცენტი ნაკლებად იყო გამახვილებული მუსიკაზე, რაც "ასსა"-ს ძირითადი ღირსებაა; ჯერ ერთი, ღია სივრცეში იკარგებოდა ხმა და აბსოლუტურად კარგავდა თავის ეფექტს ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა დიჯირიდუ. უჩვეულო იყო ისიც, რომ სანახაობამ ამჯერად დი-ჯეის გარეშე ჩაიარა. თუ აქამდე ქართული ფოლკოთეკა კავკასიური რიტმებისა და თანამედროვე ელექტრონული მუსიკის გემოვნებიანი მუსიკალური სინთეზით გამოირჩეოდა, "16 რაუნდში" თანამედროვე მუსიკის ხიბლი თითქმის გაქრა. სამაგიეროდ, უკანასკნელ წარმოდგენაზე მეტად იყო დატვირთული ქორეოგრაფიული მხარე. "ასსა" ამჯერად გაამრავალფეროვნეს მუსიკალური თემებითაც. მუსიკალური შესრულებისათვის გამოიყენეს რამდენიმე ახალი ინსტრუმენტი: ჭუნირი, ფლეიტა, ბას-დუდუკი და ბას-კასრი. ეს უკანასკნელი 200-ლიტრიანი ღვინის კასრია, რომელზეც შიგადაშიგ დიდი მონდომებით უკრავენ ანსამბლის წევრები.

"16 რაუნდში" გამართული წარმოდგენა საკონცერტო პროგრამას უფრო ჰგავდა, ვიდრე საკლუბო პროექტს, რომელსაც, უბრალოდ, "ფოლკოთეკა" უწოდეს. თუმცა, რამდენადაც ვხვდები, ესეც წინასწარ იყო გათვალისწინებული, რადგანაც სამდღიან ფოლკოთეკამდე რამდენიმე დღით ადრე დარიგებულ "პრეს-რელიზებში" ეწერა, რომ სამი დღის განმავლობაში მაყურებელს საშუალება მიეცემოდა, ეხილა 14-21 აპრილს ფილარმონიაში წარმოდგენილი "სუხიშვილების" ახალი საკონცერტო პროგრამის განსხვავებული საკლუბო ვერსია. ყველაზე დიდი სიახლე კი "სუხიშვილებმა" "16 რაუნდში" სიმღერის სახით შემოგვთავაზეს. ასეა თუ ისე, "ასსა"-მ თავისი ფუნქცია ამჯერადაც შეასრულა. ხოლო აუდიტორია რომ უკამყოფილო არ დარჩენილა, ამაზე აცეკვებული ახალგაზრდობაც მეტყველებდა.

# კაილის უკანალი, როგორც ხელოვნების ობიექტი

შიშველი კაილი მინოუგის უკანალის ქანდაკება ერთ-ერთი თვალსაჩინო ექსპონატია ყოველწლიურ გამოფენაზე, რომელსაც ლონდონის ხელოვნების სამეფო აკადემია მართავს. გამოფენა 2 ივნისს გაიხსნა და ის 10 აგვისტომდე გაგრძელდება.

გამოჩენილ ადამიანთა უკანალები სხვადასხვა მიზეზებით ხშირად ექცევა ხოლმე საზოგადოების ყურადღების ცენტრში. კაილი გამონაკლისი შემთხვევა ნამდვილად არაა. მადამ ტიუსოს მუზეუმში თვენახევრის წინათ ბრედ პიტის ცვილის ფიგურაზე გამუდმებით საუბრობდნენ. ფიგურის უკანა ნაწილს ცოცხალი კანისგან ვერაფრით განასხვავებდით. სწორედ ამის გამო ცვილის ქანდაკება საუკეთესოდ აღიარეს ლონდონის სახელგანთქმულ მუზეუმში.

არც ისე დიდი ხნის წინათ კი, ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდელი ვარსკვლავის ჯეი ლოს სხეულის უკანა ნაწილი პოპულარული გახდება ბინგოს მოთამაშე ინგლისელებს შორის. Seventy-one - J-Lo's Bum, - ასეთი იქნება ერთ-ერთი რითმა (ასეთი შეძახილებით წამყვანი ამოსული ბურთულას ციფრს აცხადებს ხოლმე), რომელსაც ხსენებული თამაშის წამყვანი ხშირად გაიმეორებს. ეს რითმა შეცვლის მანამდე დამკვიდრებულ ფრაზას Seventy-one - Bang on the Drum-ს. მაგრამ, ვიდრე ჯეი-ლოს უკანალზე გაამახვილებდნენ ყურადღებას, ჯერი ავსტრალიელ პოპ-ლამაზმანზეა.



*კაილის უკანალს გამოფენაზე გაიტანენ*

თანამედროვე ხელოვნების ყველაზე ცნობილ გამოფენაზე, "ზაფხულის ექსპოზიცია", წარმოდგენილია პროფესიონალი და მოყვარული მხატვრების (რომლებიც გამოყენებითი ხელოვნების დარგში მუშაობენ) 1 200 ნამუშევარი. განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე ექსპონატი იპყრობს. ერთ-ერთი მათგანია როკ-ჯგუფ Frankie Goes To Hollywood-ის ყოფილი ვოკალისტის ჰოლი ჯონსონსის ლითოგრაფია, სადაც მარტორქას საბაზრო კარუსელით პრინცესა დიანას პორტრეტი მიაქვს.

ექსპონატებს შორის ყველაზე დიდი ხმაური, ალბათ, Consumerism 2-ს მოყვება. კაილის უკანალი, რომელიც აღებულია ავსტრალიელი მომღერლის კლიპიდან Spinning Around, გამოყენებულია მხატვარ დაილეკ ო`კიფის ნამუშევარში, რომლის სახელწოდებაცაა Consumerism 2. ავტორმა ამ ნამუშევარში ხაზი გაუსვა, რომ მომღერალი მაყურებლების ყურადღებას იქცევს ყველაფრით, ნიჭის გარდა. "ნიჭი", სწორედ ეს სიტყვა აწერია მომღერლის პორტრეტს. ქანდაკებაზე პოპ-ვარსკვლავის თავი კი გაფორმებულია მისი ჰიტის Can't Get You Out Of My Head-ის მისამღერით.

სხვათა შორის, კაილისთან დაკავშირებით სიახლეა. ბოლო დღეებში გააქტიურდა ჭორები მისი გათხოვების შესახებ. როგორც ამბობენ, ის მალე გააფორმებს თავის არაოფიციალურ მეგობრობას ფრანგ მსახიობთან ოლივიე მარტინესთან. წყვილმა ერთმანეთი წელს თებერვალში, "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე გაიცნო. იმედია, გამოფენა, რომელიც ლონდონში გაიხსნა, ვარსკვლავთა მომავალ გაბედნიერებას ხელს არ შეუშლის.



# ჟერარ ულიე: "Kinklaze... Long time ago"

დიმიტრი ოზოლაძე

"ოლდ ტრაფორდზე" საინტერესო ადამიანების მოზღვავებაა. ფინალმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მის სანახავად ევროპის წამყვანი გუნდების მწვრთნელები, ფეხბურთელები ჩავიდნენ. მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს საგანგებოდ მათთვის გამოყოფილი ავტობუსებით აბინავებდნენ სასტუმროში. ჩვენი ავტობუსის გვერდით განსაკუთრებით საპატიო სტუმრები თავის რიგს ელოდნენ. რინუს მიჰელსი, ფატიჰ თერიმი, ფრენკ რაიკარდი, მიჩელი, ბუტრაგენიო, ჟერარ ულიე და სხვები. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება, ბუნებრივია, "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა, ფრანგმა ულიემ მიიპყრო. ქართულ პრესაში ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, რომ "ლივერპულის" მწვრთნელს გიორგი ქინქლაძის გადაბირება სურდა. ჩვენი იმპროვიზებული ინტერვიუ ხანმოკლე, ხოლო მისი შედეგი ქინქლაძისთვის სამწუხარო გამოდგა. როდესაც სტუმრებს გავეცანი, პირველი რეაქცია თურქმა თერიმმა გამოავლინა. "გეორგია, არველაძე, ქინქლაძე..." მე მაშინვე კალაძე ვახსენე, რაც "გალათასარაისა" და იმ დროს უკვე ჩემპიონთა თასის მფლობელის, "მილანის" ყოფილმა მწვრთნელმა უყურადღებოდ დატოვა და სხვა მიმართულებით გაეშურა. ალბათ, გახსოვთ ის პერიოდი, როდესაც "მილანში" თურქი მუშაობდა, კალაძე კი, ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ასე რომ, ანჩელოტიმ გაცილებით უკეთ იმუშავა - ჩემპიონთა თასი მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ თერიმზე უკეთესი მწვრთნელია. სწორედ ამის გამო იყო დაბოლმილი თურქი მწვრთნელი, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემთვის გაცილებით საინტერესო იყო ჟერარ ულიე, რომელსაც, პირველ რიგში, ჯანმრთელობის შესახებ ვკითხე, რითაც, ალბათ, მისი გული მოვიგე. ულიე ფოტოს გადაღებაზეც დამთანხმდა და ქინქლაძის შესახებ თავისი აზრი გამიზიარა. "ქინქლაძე... ეს დიდი ხნის წინ იყო. დღეს მისი თამაში აღარ მაინტერესებს. "ლივერპულს" სხვა გეგმები აქვს. გუნდის გაახალგაზრდავებაა საჭირო. ასე რომ, აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გავაკეთებ. მოსალოდნელია რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი, რომელთა შესახებ, რა თქმა უნდა, დღეს არ ვისაუბრებ. თანაც, აეროპორტში მეჩქარება. ამიტომ უნდა დაგემშვიდობოთ. რაც შეეხება ჩემს მრავალტანჯულ და ნაოპერაციებ გულს, ყველაფერი კარგადაა. ექიმებმა სასწაული მოახდინეს. თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ვიდრე გულის შეტევამდე. ერთი სიტყვით, ბოლომდე აღმადგინეს."

### "მანჩესტერი" უეფას წინააღმდეგ

ინგლისელები საკუთარ ფეხბურთს საუკეთესოდ, ინგლისის კლუბებს კი მსოფლიოში უძლიერესად მიიჩნევენ. ასე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რაც ხდებოდა ქალაქ მანჩესტერში. ერთ-ერთი საინფორმაციო გამოშვების სპორტის წამყვანმა, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინა საღამოს დიდი დრო დაუთმო კრიკეტს, ბექჰემს, პრემიერლიგის საგზურისთვის გადათამაშებას და უკვე დამშვიდობებას აპირებდა, როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები გაახსენდა. "დიახ, ხვალ ჩემპიონთა ლიგის ფინალია. საინტერესოა, ვინ მოიგებს - "იუვენტუსი" თუ "მილანი"? თუმცა, მართალი გითხრათ, მე ეს სულაც არ მაღელვებს". დაახლოებით ასე ჟღერდა ჭაღარა წამყვანის მონოლოგი. ცალკე თემაა სტადიონი "ოლდ ტრაფორდი", რომელსაც ინგლისში "ოცნებების თეატრს" უწოდებენ. სტადიონის შესასვლელში ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მაღაზია, მთელი სტადიონი მანჩესტერელი ფეხბურთელების ფოტოებითაა დამშვენებული და, მართლაც, საოცარი სანახავია. ყველაფერი ეს ერთი ხელის მოსმით გადაშალა უეფას ჩინოვნიკების ბრძანებამ. "ორი დღე ეს სტადიონი ჩვენ გვეკუთვნის." "ოცნებების თეატრი", უბრალოდ, ფეხბურთის თეტრმა შეცვალა, დაიხურა "მანჩესტერ იუნაიტედის" მაღაზია, რომლის გარშემოც ჩემპიონთა ლიგის ატრიბუტიკით მოვაჭრე პატარა ჯიხურები აღიმართა. ტაბლოდან წაიშალა კლუბის ემბლემები, რომლებიც ფინალისტთა დროშებმა და წარწერებმა შეცვალა.

### ბექჰემი - ყველაზე კეთილი, ადამსი - სატანა

მხოლოდ მანჩესტერში ნამყოფი ადამიანი მიხვდება, რას ნიშნავს ამ ქალაქისთვის დევიდ ბექჰემი. იგი იმდენად პოპულარულია, რომ ყველას, დიდიან-პატარიანად, ბექჰემის შვიდნომრიანი მაისურა აცვია, მის სახელს კი მოწიწებით ახსენებენ. უეფამ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ჩასული სტუმრებისა და ჟურნალისტებისთვის ინტელექტუალური, ისტორიის, ფეხბურთისა და ქალაქის ღირსშესანიშნაობების მცოდნე მძღოლები დაიქირავა. ერთ-ერთი მათგანი ჩემს სასტუმროზე იყო მიმაგრებული. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავგადაკლული ფანი გახლდათ. 58 წლის ჭაღარა ინგლისელმა ჯეიკმა ბექჰემის პოპულარობის საიდუმლო გამანდო: "ვინც მას იცნობს, ან თუნდაც ერთხელ მაინც შეხვედრია, იცის, რომ დევიდი ყველაზე კეთილი ადამიანია. იგი ჩვეულებრივი ბიჭია, მისი ცოლი ვიქტორია კი ნამდვილი სატანაა. დევიდის ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ის არის, რომ მასთან იქორწინა. მომღერალი, რომელმაც, მართალი გითხრათ, სიმღერაც არ იცის, სისხლს უშრობს ბექჰემს. ის კი ყოველდღე თავდაუზოგავად მუშაობს. მერწმუნეთ, ბექჰემის ყველა პრობლემა სწორედ ვიქტორიასგან მოდის."

მანჩესტერელებს ვერც კი წარმოუდგენიათ კლუბი თავისი ლიდერის გარეშე. ვიქტორია კი, ძირითადად, იმიტომ სძულთ, რომ დევიდის იტალიაში გადაყვანა სურს. თუმცა, უკანასკნელი ინფორმაციით, დევიდ ბექჰემი მომავალ სეზონშიც "მანჩესტერში" დარჩება, რადგან კონტრაქტის ვადა ჯერ არ ამოწურულა. ინგლისის ნაკრების კაპიტნის შესახებ ისაუბრა სერ ალექს ფერგიუსონმა. თუმცა, მხოლოდ ორი სიტყვით შეეხო "რეალში" მის გადასვლასთან დაკავშირებულ მოარულ ხმებს. სატელევიზო გადაცემის ბოლოს კი უცნაური რამ განაცხადა: "ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ ერიკსონია, "მანჩესტერ იუნაიტედისა" კი - მე, ფერგიუსონი. მინდა, მივმართო ბექჰემს: ჩემს გუნდში დაბრუნებისას თმა ისე უნდა გქონდეს, როგორც ნამდვილ ინგლისელს, ნორმალურ ადამიანს შეეფერება."



ულიე ფოტოს გადაღებაზეც დამთანხმდა და ქინქლაძის შესახებ თავისი აზრი გამიზიარა




კალაძემ არა მარტო ითამაშა, არამედ დიდი წვლილი შეიტანა "მილანის" ტრიუმფში

### ქინქლაძე კარგად ახსოვთ

მანჩესტერი ორადაა გაყოფილი. ბევრი "მანჩესტერ სიტის" უჭერს მხარს, უმეტესობა კი - "იუნაიტედს". ჩემთვის სასიამოვნო იყო ის, რომ კარგად ახსოვთ გიორგი ქინქლაძე, რომელმაც "სიტიში" რამდენიმე წელიწადი გაატარა. ახსოვთ მის მიერ გატანილი გოლები და ძალიან უკვირთ, რომ ქინქლაძე აღარ არის ჩვეულ ფორმაში. მე "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ქინქლაძის ყოფილი გუნდის ურთიერთობითაც დავინტერესდი. საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ ეს ორი გუნდი სეზონის განმავლობაში, სატურნირო ცხრილის მიხედვით, გარკვეულ დახმარებას უწევს ერთმანეთს. როგორც გაირკვა, ეს გამორიცხულია. ორი გუნდის ფანები ერთმანეთის შესახებ სიძულვილით საუბრობენ. პატარა, შედარებით ღარიბი "სიტის" ფანები შარშანდელი სეზონით ამაყობენ. "ჩვენ მეცხრე ადგილზე გავედით. რაც მთავარია, ორ მატჩში ოთხი ქულა ავართვით ფერგიუსონის თავმომწონე, ინდაურივით გაფხორილ ფეხბურთელებს. ასე რომ, ჩვენს პატარა, მაგრამ თავმოყვარე გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. მომავალ სეზონში აუცილებლად ვიბრძოლებთ საპრიზო ადგილისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის."

### ჯენარო და კარლო

ფინალამდე ბევრს საუბრობდნენ მწვრთნელთა შესახებ. სპეციალისტთა უმრავლესობა მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ლიპის ანიჭებდა უპირატესობას. ფინალი კი უკეთ წარმართა ანჩელოტიმ. შესაძლოა, მოულოდნელი არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: "მილანს" მეტი მოტივაცია აღმოაჩნდა. ანჩელოტი გმირად იქცა. თუმცა, შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო. მეორე ტაიმში ანჩელოტიმ ჯენარო გატუზოს შეცვლა დააპირა, მაგრამ არ გამოუვიდა. გატუზომ, რომელიც მტკიცე ხასიათითა და უშრეტი ენერგიით გამოირჩევა, 63 ათასი მაყურებლის თვალწინ მოედნიდან გასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ანჩელოტიმ მოედანზე შესასვლელად გამზადებულ ამბროზინის მოსასხამი მოახურა და რამდენიმე წუთში რუი კოშტა შეცვალა. გატუზო მწვრთნელს არ დაემორჩილა და, შესაძლოა, "მილანმა" სწორედ მისი წყალობით მოიგო. მერვე ნომერი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, დამატებითი მეორე ტაიმის ბოლოს კი თითქმის 80-მეტრიანი აჩქარება შეასრულა.

### ქართული ფეხბურთის ისტორიული დღე

რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონთა თასს მოიგებდა. დღეს ეს რეალობაა -კალაძემ არა მარტო ითამაშა, არამედ დიდი წვლილი შეიტანა "მილანის" ტრიუმფში. ქართველმა ფეხბურთელმა თერთმეტმეტრიანიც დაარტყა, რასაც დიდი გამბედაობა სჭირდებოდა. საგულისხმოა ის დიდი ნდობა, რომელიც ანჩელოტიმ კალაძეს გამოუცხადა. ძირითადი დროისა და დამატებითი ტაიმების ფრედ დამთავრების შემდეგ ანჩელოტიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, ვისაც პენალტი უნდა დაერტყა. გუნდის კაპიტანმა პაოლო მალდინიმ უარი განაცხადა - ვერ გარისკა, შესანიშნავი კარიერა სასწორზე დაედო. კალაძეს კი დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, რომელიც იმ წუთში დამეუფლა. კალაძე ბურთთან მივიდა, გაასწორა, მერე შებრუნდა და დასარტყმელად მოემზადა. ბურთი კი გაგორდა, რაც ვერ შენიშნა ქართველმა მცველმა. დარტყმა ცუდი გამოდგა და გამოცდილმა ბუფონმა ფეხებით მოიგერია. ეს იყო დიდი იმედგაცრუება, რომელიც ცოტა ხანში კალაძესაც დაავიწყდა, მეც და ყველა გულშემატკივარსაც. "მილანი" ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. არ შეიძლება, არ გავიხსენოთ სიტუაცია, რომელშიც კალაძე და მისი ოჯახი იმყოფება. ორი წელიწადია, ლევან კალაძე გატაცებულია და მის შესახებ არაფერია ცნობილი. მე ვესაუბრე ბატონ კარლოს, კალაძეების მამას, თავად ფეხბურთელს. გაურკვევლობა მათთვის ყველაზე საშინელი ტვირთია. იაპონელი და კორეელი კომენტატორებიც კი კითხულობდნენ კალაძის უმცროსი ძმის შესახებ. თან უკვირდათ – ქვეყანა, სადაც ხალხს იტაცებენ, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემდა.

# გერჰარდ აიგნერი: "მომავალ სეზონს ველოდები, როგორც გულშემატკივარი"

*უეფას ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ფინალი, რომელიც ინგლისის ქალაქ მანჩესტერში გაიმართა და იტალიის "მილანის" გამარჯვებით დასრულდა, რამდენიმე მიზეზის გამო ისტორიული გამოდგა. პირველად თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში ფინალი სუფთა იტალიური აღმოჩნდა, თავისი უკანასკნელი პრესკონფერენცია გამართა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა. ჩვენთვის კი 28 მაისი განსაკუთრებულ თარიღად დარჩება - ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ ევროპული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული თასი მოიგო. მანჩესტერში გატარებული დღეები საინტერესო გამოდგა. ოთხი დღის დაყოფა პატარა მონაკვეთებად შეიძლება.*

34 წელიწადი ნებისმიერ შემთხვევაში დიდი დროა. გერჰარდ აიგნერის კარიერა 34 წლის წინ დაიწყო. მან უბრალო კლერკიდან უეფას გენერალური მდივნის პოსტამდე გზა დიდი შრომისა და ენერგიის წყალობით გაიარა. ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს, 12 საათზე, გერჰარდ აიგნერმა ჟურნალისტებთან შეხვედრა ისურვა. მან ისაუბრა არა მარტო ფინალის შესახებ, არამედ ზოგად საკითხებზეც. აიგნერი ნამდვილად არ იყო კარგ გუნებაზე. ინგლისის წამყვანი გაზეთის, "გარდიანის" სპორტულმა მიმომხილველმა ჩემთან საუბრისას გამოთქვა მოსაზრება უეფას სტრუქტურებში არსებული კონფლიქტის შესახებ. მისი აზრით, მართალია, ინფორმაცია დაუზუსტებელია, მაგრამ აიგნერის გადადგომა იუჰანსონთან კონფლიქტს მოჰყვა.

**- რამ განაპირობა თქვენი წასვლა, თანაც, ზუსტად ფინალის დღეს?**

- ეს გადაწყვეტილება დღეს არ მიმიღია. დიდხანს ვფიქრობდი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ წასვლის დრო დადგა. ჩვენთან უამრავი ახალგაზრდა, ნიჭიერი და ამბიციური ადამიანი მუშაობს. სწორედ მათ უნდა სცადონ საკუთარი ძალა. მე კი მომავალი სეზონის შეხვედრებს, როგორც გულშემატკივარი, ისე დაველოდები. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგა მუდამ იქნება საუკეთესო ტურნირი, რაშიც ჩემი წვლილიც შევიტანე. დღევანდელი ფინალიც ისტორიულია. იმედი მაქვს, ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების შესრულებით მაღალი დონის ფეხბურთს ნახავთ.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ უეფამ წესები უნდა შეცვალოს? მხედველობაში მაქვს ნედვედის დისკვალიფიკაცია. მას ხომ ძალიან უნდოდა ფინალში თამაში. არ შეიძლება, ფინალამდე გაუქმდეს წითელი ბარათების მოქმედება და მაყურებელმა ყველა უძლიერესი ფეხბურთელი იხილოს?**

- გამორიცხულია. ძალიან კარგად მესმის თქვენი შეკითხვის აზრი. ნედვედი ნამდვილად დააკლდება დღევანდელ საღამოს, "იუვენტუსს" და, საერთოდ, ფეხბურთს. თუმცა, წესი წესია და მას ყველა უნდა დაემორჩილოს. ნედვედი ნამდვილი პროფესიონალია და მას არ უნდა მოსვლოდა ის შეცდომა. ასე რომ, უახლოეს წლებში წესების შეცვლა მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება დღევანდელ ფინალს, სამწუხაროდ, ნედვედი სათადარიგოთა სკამზეც ვერ იქნება. ესეც წესია, რომელსაც ვერ დავარღვევთ. მედალს კი, თუ "იუვენტუსმა" მოიგო, ნედვედი ნამდვილად მიიღებს. როგორც იცით, დღეს ძალაში იქნება "ვერცხლის გოლის" წესი. დარწმუნებული ვარ, "ოქროს გოლის" გაუქმება ფეხბურთს მხოლოდ გამოადგება. დაძაბულობა მოიმატებს და ყველა ფეხბურთელი ბოლომდე იბრძოლებს. ახალი წესი გარკვეულ შეღავათს მისცემს მსაჯებს. ძალიან ძნელია (პირველ რიგში, - ფსიქოლოგიურად) გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც ყველაფერს ერთი, "ოქროს გოლი" წყვეტს.

**- მსოფლიოს უძლიერესი კლუბების დაჯგუფება J-14 სერიოზულ საფრთხეს უქმნის უეფას. რა არის ეს - ბრძოლა სიმდიდრისთვის თუ კლუბების დიდი ამბიცია?**

- საბოლოოდ ყველაფერი ფინანსებამდე მიდის. თქვენ საუბრობთ რაღაც საფრთხეზე, რომელიც, ჩემი რწმენით, არ არსებობს. მათ სურთ დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნა. ჩვენ არაერთხელ შევხვდით ამ იდეის ორგანიზატორებს და ბევრი ვისაუბრეთ. თუ რაიმე შეიცვლება, ეს იქნება მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული, მდიდარი და მაღალ დონეზე ორგანიზებული უეფას სტრუქტურის დარღვევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასე რომ, არავითარი პრობლემა არ არსებობს. ყველაფერი კანონზომიერად ხდება.




გერჰარდ აიგნერმა რთული გზა განვლო უბრალო კლერკიდან გენერალური მდივნის პოსტამდე

**- შოტლანდიის ჩემპიონატი დიდი ხანია ორი გუნდის ჩემპიონატად იქცა. "რეინჯერსსა" და "სელტიკსს" ინგლისის პრემიერლიგაში სურთ თამაში. თქვენი კომენტარი...**

- ჩემთვის გასაგებია ის, რომ "სელტიკი" და "რეინჯერსი" თავიანთ ამბიციებს ბოლომდე ვერ იკმაყოფილებენ. ცნობილია ისიც, რომ მათ სურთ ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონატში თამაში. მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრება და ზოგიერთის სურვილია. შოტლანდიის პირველობა, კარგია ეს თუ ცუდი, დამოუკიდებელი ჩემპიონატია და ამ ქვეყნის კლუბები ევროპულ ასპარეზზეც გადიან. ასე რომ, იდეა არსებობს, მაგრამ მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

**- იტალიური გუნდების ფინალს გერმანელი მერკი მსაჯობს...**

რა არის ამაში გასაკვირი? მერკი ნამდვილი პროფესიონალი, გამოცდილი მსაჯია. ამიტომ გაოცებას იწვევს ის აჟიოტაჟი, რომელიც შეიქმნა ამ ფაქტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ დღეს "ოლდ ტრაფორდზე" იტალიის კლუბები თამაშობენ, ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალია და არა სერია A-ს ჩემპიონატის მატჩი. საუბარი იყო კოლინას კანდიდატურაზე, მაგრამ ასეთ ვითარებაში ვარჩიეთ, მერკი დაგვენიშნა. დარწმუნებული ვარ, მარკუს მერკი მაღალ დონეზე იმსაჯებს.

**- თქვენ მიდიხართ, საფეხბურთო სამყაროს კი ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატს უტოვებთ. ამ იდეის ავტორი სწორედ თქვენ ბრძანდებით. თქვენი წასვლის შემდეგ ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- ახალი ფორმატი აუცილებლად გაამართლებს. მეორე ეტაპი აღარ იარსებებს, პირველის დასრულებისთანავე დაიწყება პლეი-ოფები, რაც თამაშს უფრო სანახაობრივს და დაძაბულს გახდის. ყველას კარგად ახსოვს მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპი. იმ გუნდთა მწვრთნელები, რომელთაც განაღდებული ჰქონდათ მეოთხედფინალის საგზური, როტაციის პრინციპს მიმართავდნენ, რითაც მეტოქისა და გულშემატკივრის მიმართ უპატივცემულობას იჩენდნენ. მომავალ სეზონში ეს ყველაფერი გამოირიცხება. რაც შეეხება ჩემს წასვლასთან დაკავშირებულ შეკითხვას. არა მგონია, რაიმე რადიკალური ცვლილებები მოხდეს. უეფა იმუშავებს მხოლოდ ფეხბურთის განვითარებისა და აღორძინებისთვის.

**- 34 წელიწადი ძალიან დიდი დროა. ხომ არ გეუფლებათ უკმაყოფილების გრძნობა, გააკეთეთ თუ არა ყველაფერი, რაც გსურდათ?**

- 34 წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა. იყო პრობლემებიც. მართალი გითხრათ, ძალიან დავიღალე, მაგრამ მგონია, რომ კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება. თქვენი, ჟურნალისტების ამბავი კარგად ვიცი - ისე არ გამიგოთ, თითქოს გადაწყვეტილების შეცვლას ვაპირებდე. ასე რომ, დაწერეთ მხოლოდ სიმართლე.

**- ერთი შეკითხვაც და დავასრულოთ. თქვენ დიდხანს მუშაობდით ლენარტ იუჰანსონთან ერთად. დაახასიათეთ ეს ადამიანი.**

- ყველა, ვინც ლენარტს იცნობს, დაგიდასტურებთ, რომ იგი გულლია, კეთილი ადამიანია, თავისი საქმის მცოდნე, ჭეშმარიტი პროფესიონალი. მე და ლენარტმა ბევრი რამ გადავიტანეთ, ბევრ შეტევას გავუძელით და დიდი საქმეებიც გავაკეთეთ. ლენარტი ფეხბურთის წარმოუდგენლად ნათელი, კრისტალური ხედვითაა დაჯილდოებული. მისი თითქმის ყველა გადაწყვეტილება საბოლოოდ, როგორც წესი, სწორი და ხშირად ერთადერთია. ასე იყო 34 წლის განმავლობაში და, იმედია, ასევე გაგრძელდება კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე.

*აიგნერი დამემშვიდობა, ბედნიერი საღამო მისურვა და თავისი მოვალეობის შესასრულებლად გაემართა. 2003 წლის 28 მაისს გერჰარდ აიგნერმა უეფას გენერალური მდივნის პოსტზე უკანასკნელი პრესკონფერენცია გამართა.*

კალათბურთი

# უდროოდ დაბერებული დირკ ნოვიცკი



დირკ ნოვიცკი დაიქანცა

ნინო პირველი

ის ქერაკულულებიანი, თეთრკანიანი გოლიათია და თავისი შთამბეჭდავი გარეგნობით ყველასგან გამოირჩევა. მისი თანაგუნდელების უმრავლესობა ამერიკელია, ზოგი შავკანიანიც გახლავთ. ძალიან კარგი კალათბურთელები არიან, სხვაგვარად ნბა-ში მათ არავინ ათამაშებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გერმანელი დიკ ნოვიცკი "დალას მავერიკსის" უპირობო ლიდერია. ნბა-ს უცხოელ ვარსკვლავთა შორის ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოთამაშეა. "დალასისთვის" ნოვიცკი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. გერმანელის გარეშე ტეხასელებს ყოველთვის ძალიან უჭირთ თამაში. სწორედ ნოვიცკის არყოფნა გახდა "დალასის" მარცხის მიზეზი. თავისი ლიდერის გარეშე "დალასმა" ვერ შეძლო "სან ანტონიოს" დამლევა და ტეხასური დერბი ნბა-ს ფინალისთვის ნოვიცკის გუნდის კრახით დასრულდა. პლეი-ოფის ოთხი მატჩიდან "დალასმა" მხოლოდ ორი მოიგო, ისიც მაშინ, სანამ ნოვიცკის ტრავმა არ ჰქონდა. გერმანელი დაშავდა და "დალასის" საქმე უკან წავიდა...

ახლა დირკ ნოვიცკი ნატკენ მარჯვენა მუხლზე მკურნალობს. გერმანელი სპორტსმენი დაღლილობას და კალათბურთელის დამქანცველ ცხოვრებას უჩივის, მას ხომ გამუდმებით ვარჯიში და თამაში უწევს. ნოვიცკი ივნისში 25 წლის ხდება, მაგრამ თავს ნაადრევად დაბერებულად გრძნობს. "ასე მგონია, თითქოს უკვე 40 წლის ვარ. ფეხბურთელის დღის რეჟიმი არაფერია კალათბურთელის განრიგთან შედარებით. 210 დღეში 100 მატჩი ვითამაშე. გამუდმებით წინ და უკან დავფრინავთ. სამი-ოთხი საათია საჭირო, რომ იმ ქალაქებში ჩავიდეთ, სადაც ჩვენი მეტოქეები თამაშობენ. ზოგჯერ ისე ხდება, რომ მთელი ღამე გზაში ვართ, აეროპორტიდან დილის ოთხ საათზე მივემგზავრებით სასტუმროში, შუადღისას ვარჯიში გვაქვს, საღამოს კი - მატჩი. შემდეგ შინ ვბრუნდებით და ყველაფერი თავიდან იწყება: ისევ ვარჯიში, თამაში, სხვა ქალაქში გაფრენა... ბუნდესლიგის ფეხბურთელები ჩვენთან შედარებით სამოთხეში ცხოვრობენ. არ ვიცი, როდემდე გაუძლებს ასეთ დატვირთვას ჩემი სხეული. ძალიან მინდა, კიდევ ათი-თორმეტი წელიწადი ვითამაშო ამერიკაში. ვნახოთ, თუ შევძლებ.." - ამბობს უმძიმესი სეზონით გადაღლილი კალათბურთელი.

ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა და არდადეგები დაიწყო, ნოვიცკი დასვენებასა და განტვირთვაზე ოცნებობს. არაფერზე არ უნდა ფიქრი, სულიერი სიმშვიდისკენ მიისწრაფის და პირადი ცხოვრების მოწესრიგებას აპირებს. "ცოტა ხანს დალასში დავრჩები, სახლს მივხედავ - ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ისეთი, როგორიც მინდა იყოს, რაღაცებს შევცვლი, უფრო გავალამაზებ. მერე კი შვებულებაში წავალ", - მშვიდ დღეებზე ოცნებობს ნოვიცკი. კალათბურთელი შვებულების გატარებას სადმე ზღვის სანაპიროზე გეგმავს, მერე კი სამშობლოში დაბრუნება აქვს განზრახული. "დასვენების შემდეგ ვიურცბურგში წავალ და მომავალი სეზონისთვის მოვემზადები. სექტემბერში შვეციაში ევროპის ჩემპიონატი იწყება. ძალიან მინდა, გერმანიის ნაკრები კარგად გამოვიდეს და ჩემპიონიც გახდეს. ჩვენ ეს ნამდვილად შეგვიძლია", - მიაჩნია გერმანიის ეროვნული გუნდის ერთპიროვნულ ლიდერს.

მართალია, ნოვიცკი უკვე მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ფიქრობს, მაგრამ ჯერაც არ დავიწყებია ის სიმწარე და იმედგაცრუება, რაც ტარვმამ და პლეი-ოფში მარცხმა განაცდევინა. "სამწუხაროა, რომ ფინალში ვერ გავედით. რომ მეთამაშა, იქნებ არც წაგვეგო. ამ მარცხის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ჩვენი ახლანდელი სათამაშო დონე საკმარისი არ არის ჩემპიონობის მოსაპოვებლად. კიდევ უფრო უკეთესები უნდა ვიყოთ. ეს ტრავმა, მართლაც, აუტანელია. საბედნიეროდ, ჯვარედინი მყესების დაწყვეტას გადავურჩი. ასე რომ მომხდარიყო, სიარულსაც ვერ შევძლებდი. ექიმმა მითხრა, გაგიმართლა, იოგები რომ არ გაგიწყდაო. ერთი სიტყვით, უნდა მიხაროდეს, რომ სიარული მაინც შემიძლია და მომავალი სეზონის დასაწყისში ისევ საუკეთესო ფორმაში ვიქნები", - ოპტიმისტურად დაასრულა ინტერვიუ ნოვიცკიმ გერმანულ "ბილდთან".

TV-სპორტი

## სამშაბათი. 3 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა.
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. "ბარსელონა" – "დინამო" (კიევი)
14:55 განვლილი სეზონის გახსენება. "ჩელსი" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
16:35 რუსეთის ჩემპიონატი. "შინიკი" – "ტორპედო"
18:15 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალური მატჩების მიმოხილვა.
19:10 თავისუფალი დარტყმა
19:25 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:25 ჩემპიონთა ლიგის არქივი. "ბარსელონა" – "დინამო" (კიევი)
23:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი
01:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "იუვენტუსი"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:15, 17:00, 20:00 "პრეს-ცენტრი".
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები".
11:20, 14:30 აერობიკა.
14:55 ჩოგბურთი. "როლან გაროსი". მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-4 თამაში. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
01:55 კიუკუშინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
03:00 03:00-დან 11:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი
11:45 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
12:45 ფეხბურთი. ევროგოლები
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები.
15:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
22:45 ახალი ამბები
23:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
24:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
01:00 კრივი
03:00 ახალი ამბები
03:15 მოტორბოლა
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "შინდისფერი ლეგიონი" იწყებს

### ალექსანდრე იაშვილი "ფრაიბურგსა" და ნაკრების შანსზე

მიხეილ აბაიშვილი

ათვლა დაიწყო: ეროვნული ნაკრები თამაშამდე 9 დღით ადრე, გუშინ შეიკრიბა "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და საირლანდიოდ ემზადება. თუმცა, სიტყვა "შეიკრიბა" ცოტათი გადამეტებულია: შუშაკის გამგებლობაში, ჯერჯერობით, ნაკრებში გამოძახებულთაგან მხოლოდ დინამოელები, ორი თბილისის ლოკომოტიველი და ორიც ლეგიონერია - მალხაზ ასათიანი და ალექსანდრე იაშვილი. დანარჩენი ლეგიონერები დღეს და ხვალ შეუერთდებიან "შინდისფერ ლეგიონს". შესაბამისად, სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება 4 ივნისს დაიწყება. ამ დღესვე შეუერთდება ნაკრებს კახა კალაძეც.

გუშინ შუშაკმა ეროვნულ სტადიონზე პირველი წვრთნა ჩაატარა. მსუბუქი, 10-წუთიანი სირბილის შემდეგ ფეხბურთელებს რამდენიმე შეტევითი კომბინაცია დაამუშავებინა. ამ კომბინაციების დროს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო რატი ალექსიძე, რაც იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ დუბლინში, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. ქართველ ფეხბურთელთა შორის რატი ერთ-ერთი საუკეთესოა თავით თამაშში. მას მაღალ ბურთებზე ბრძოლისთვის პოზიციის შერჩევის შესაშური უნარი, მაღალი ნახტომი და კარგი დარტყმა აქვს, რაც ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ძალზე წაგვადგება.

კომბინაციების დამუშავების შემდეგ ნაკრებმა საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან კარში დარტყმებზე ივარჯიშა. თუ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ნაკრების მიერ ჩატარებულ მსგავს ვარჯიშებს გავიხსენებ და დღევანდელს შევადარებ, პროგრესი აშკარად თვალშისაცემია. უწინ ქართველ ფეხბურთელთაგან თითოოროლას თუ შეეძლო შორი მანძილიდან კარის დალაშქვრა და ეს ვარჯიშის დროსაც აშკარა იყო. გუშინ კი, ისეთი კლასის მეკარეც კი, როგორიც გიორგი ლომაიაა, ძალიან ხშირად აგებდა მინიდუელს თანაგუნდელებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე იაშვილი, რომელსაც თითქმის არ გაუცუდებია დარტყმა და რამდენჯერმე კარის ხან ერთი, ხან მეორე "ცხრიანი" შეაწუხა. სხვათა შორის, იაშვილი მეორე ბუნდესლიგის წლის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. მან 2002-2003 სეზონში 5 გოლი გაიტანა, 23 საგოლე გადაცემა შეასრულა და ბუნდესლიგაში თავისი გუნდის დაბრუნებაში დიდი წვლილი შეიტანა. ვარჯიშის შემდეგ მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.





ალექსანდრე იაშვილი "ფრაიბურგისა" და ეროვნული ნაკრების შესახებ საუბრობს

**- შენ საკმაოდ წარმატებული სეზონი გქონდა - "ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ამაში მთავარი როლი ქართველმა ფეხბურთელებმა შეასრულეთ. უკვე გადაწყდა, რომ კობიაშვილი "შალკეში" გადავიდა. ცქიტიშვილსაც დაუმთავრდა "ფრაიბურგთან" კონტრაქტი და ჯერ უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას. შენ რას აპირებ?**

- მე კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს "ფრაიბურგთან". სხვა შემოთავაზებები არა მაქვს და ამაზე არც ვფიქრობ. მომდევნო სეზონს აუცილებლად "ფრაიბურგში" გავატარებ. საწყენია, რომ კობიაშვილთან ერთად აღარ ვითამაშებ, მაგრამ "შალკეში" გადასვლა ლევანისთვის სერიოზული წინსვლაა და ჩემს მეგობარს ახალ გუნდში დიდ წარმატებებს ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, იგი "შალკეშიც" ისეთივე წამყვანი ფეხბურთელი იქნება, როგორიც ყოფილ გუნდში იყო. რაც შეეხება ცქიტიშვილს, სავარაუდოდ, იგი "ფრაიბურგში" დარჩება, თუმცა, მის პირად კონტრაქტზე ვერაფერს გეტყვით. უმჯობესია, თბილისში რომ ჩამოვა, თავად მას ჰკითხოთ.

**- კობიაშვილის "შალკეში" გადასვლა "ფრაიბურგის" თამაშს სერიოზულ დაღს დაასვამს. ხომ არ იგეგმება გუნდის გაძლიერება და კობიაშვილის შემცვლელის მოყვანა?**

- ახალ ფეხბურთელებს აუცილებლად დავიმატებთ, თუმცა, ჯერ არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობა რომელ ფეხბურთელებს აირჩევს. წინასასეზონო შეკრებას გავმართავთ და ბევრი რამ სწორედ ამ დროს გადაწყდება.

**- ხომ არ უნდა ველოდეთ "ფრაიბურგში" რომელიმე ქართველი ფეხბურთელის გამოჩენას?**

- არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

**- რა მიზანი ექნება "ფრაიბურგს" მომავალ სეზონში?**

- პირველ რიგში, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება. თუ სიტუაცია საშუალებას მოგვცემს, რაც უფრო ჩემპიონატის მსვლელობის დროს გახდება ნათელი, შესაძლოა, უფრო მაღალი მიზანისთვისაც ვიბრძოლოთ. თუმცა, დღეს ეს თემა ნაკლებად მაინტერესებს, რადგან ყველას ერთი მთავარი საფიქრალი გვაქვს - ირლანდია.

**- რას ფიქრობ მომავალ მატჩზე და მეტოქეზე?**

- უმძიმესი მატჩი გველის. ირლანდიის ნაკრების შესაძლებლობებზე საუბარი ზედმეტია: ეს გუნდი ყველამ ვნახეთ მსოფლიო ჩემპიონატზეც და თბილისშიც. მათ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსის შესანარჩუნებლად გამარჯვება სჭირდებათ. ჩვენც იგივე სიტუაციაში ვართ, მაგრამ ჩვენს შანსებზე საუბარი მაინც ნაადრევად მიმაჩნია. ჩვენ უფრო კარგი თამაში, საკუთარი ძალების რწმენის დაბრუნება გვჭირდება. თუ ეს გამოგვივიდა, შანსებზე მერე ვისაუბროთ.

# ლუის ბასატი "ბარსელონას" ფავორიტია

### საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირა რჩება

აკა ტონია

საფეხბურთო სეზონი ევროპაში დასასრულს უახლოვდება. ბევრმა ქვეყანამ უკვე გამოავლინა ჩემპიონები და თასის მფლობელები. ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა ესპანეთში. თუმცა, "პრიმერა დივიზიონის" დამთავრებამდე მხოლოდ ორი ტური დარჩა, მერე კი...

...მერე საფეხბურთო ევროპაში ტრანსფერების, ახალი მწვრთნელების, ზოგიერთ კლუბში კი ახალი პრეზიდენტების მოსვლის დრო დადგება. მაშინ, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატმა კატალონიური "ბარსელონასთვის", ფაქტობრივად, ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, სეზონის მთავარი მოვლენა ამ კლუბისთვის ჯერ კიდევ წინ არის. 15 ივნისს "ბარსელონას" ახალი პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული.

კატალონიური კლუბის დაპატრონებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც აქ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ხუან გასპარი თანამდებობიდან გადადგა. გასპარის წასვლის შემდეგ "ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატთა სია დღითიდღე იზრდებოდა, საბოლოოდ კი ამ რიცხვმა რვას მიაღწია. ორი დღის წინათ, 15 ივნისის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, საბოლოო რეგისტრაცია გაიმართა. პრეზიდენტობის მსურველ რვავე კანდიდატს საჭირო რაოდენობის ხელმოწერები უნდა წარედგინა. არჩევნებზე დასაშვებად აუცილებელი იყო, თითოეულ კანდიდატს "ბარსელონას", სულ ცოტა, 1529 წევრის მხარდამჭერი ხელმოწერა წარედგინა. ეს დავალება ორმა კანდიდატმა ვერ შეასრულა. ასე რომ, საპრეზიდენტო არჩევნებში ექვსი კაცი მიიღებს მონაწილეობას.

პირველი, ვინც "ბარსელონას" ოფისში გამოცხადდა, ბატონი ხორდი კასასი იყო. წინასაარჩევნო კომიტეტმა, საჭირო 1529 ხელმოწერის ნაცვლად, კასასის მხარდამჭერთა სიაში მხოლოდ 1380 ხელმოწერა დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორდი კასასი საპრეზიდენტო მარათონს ავტომატურად გამოეთიშა. მომდევნო ექვს კანდიდატს გეგმა გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული და არჩევნებში მონაწილეობისთვის მათ პრობლემა არ შექმნიათ.





ლუიოს ბასატი "ბარსელონას" პრეზიდენტობას აპირებს

უკანასკნელი, მერვე კანდიდატი იყო ხორდი მედინა, რომელსაც იგივე ბედი ეწია, რაც პირველს, ხორდი კასასს. მედინამ აღიარა, რომ მან მხოლოდ 900 ხელმოწერა შეაგროვა...

მაშ ასე, 15 ივნისის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია ასე გამოიყურება: ბასატი (9894 ხელმოწერა), ლაურადო (6028), ლაპორტა (5725), მარტინეს-როვირა (2880), მინგელა (2286) და მახო (1852).

"ბარსელონას" საპრეზიდენტო არჩევნებში ახალი ფავორიტი გამოიკვეთა – ლუის ბასატი, 58 წლის ესპანელი ბიზნესმენი. ის ესპანეთის სიდიდით მე-3 სარეკლამო სააგენტოს "Bassat, Ogilvy & Mather"-ის დამფუძნებელი და დირექტორია. სააგენტოს წლიური ბრუნვა 250 მილიონ დოლარს შეადგენს.

"ბარსელონას" მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი პირდაპირ გავლენას იქონიებს იმაზე, თუ ვინ იქნება გუნდის ახალი მწვრთნელი და რომელი ფეხბურთელები გააძლიერებენ კლუბს. თითოეული კანდიდატი მთელი საარჩევნო კომპანიის განმავლობაში ასახელებდა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში მიიწვევენ გუნდში. მაგალითად, ხორდი მედინამ პირობა დადო, რომ, პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემთხვევაში, გუნდის მწვრთნელად დანიშნავდა ლევერკუზენის "ბაიერის" ყოფილ დამრიგებელს კლაუს ტოპმიოლერს. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. როგორც უკვე ვთქვით, მედინამ წინასაარჩევნო კომიტეტს მხოლოდ 900 ხელმოწერა წარუდგინა და მისი კანდიდატურა არჩევნებიდან მოიხსნა. ტოპმიოლერის "ბარსელონაში" გადასვლის ამბავიც ამით დასრულდა - გერმანელი სპეციალისტი უკვე სხვა კლუბთან, დავით მუჯირის "შტურმთან" აწარმოებს მოლაპარაკებას.

"ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატთა იდეები შორსმიმავალი და ზოგჯერ აბსურდულიც კია. პრეზიდენტობის ერთ-ერთი მსურველი იმასაც კი ამბობდა, რომ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, გუნდში დააბრუნებდა კატალონიელების მიერ "იუდად" შერაცხულ ლუიშ ფიგუს. ზოგიერთი რივალდოს დაბრუნების პირობას დებს – ეს, ალბათ, უფრო რეალური და კეთილშობილური მიზანია.

თუმცა, ჯობს, არჩევნების ფავორიტს, ლუის ბასატს დავუბრუნდეთ და მის გეგმებზე ვისაუბროთ. ცნობილია, რომ ბასატი ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელებად ბრაზილიელ რომარიოს და "ბარსელონას" ყოფილ მწვრთნელს, ჰოლანდიელ იოჰან კრუიფს მიიჩნევს. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, "ბარსას" მწვრთნელის პოსტზე, ბასატი სწორედ იოჰან კრუიფის მოწვევას გეგმავს. დააბრუნებს თუ არა ვეტერან რომარიოს, ეს ჯერ არავინ იცის. სულ უფრო ხშირად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ "ბარსელონა" დევიდ ბექჰემის შეძენითაც დაინტერესდა. ეს იდეა ერთ-ერთ კანდიდატს, ჟოან ლაპორტას ეკუთვნის. ლაპორტა ამტკიცებს, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, ბექჰემის შესაძენად 42 მილიონ ევროს გაიღებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაპორტას შანსები შედარებით მოკრძალებულია, შეგვიძლია, ბექჰემის ამბავიც დავივიწყოთ.

ამავე აზრისაა გუნდის ახლანდელი მწვრთნელი რადომირ ანტიჩიც. სერბი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ბექჰემის შეძენა სრულიად არარეალურია და პირადად მას ამის არ სჯერა.

საკმაოდ გაურკვეველია თავად ანტიჩის მომავალიც, რომელიც პირდაპირ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მოიგებს 15 ივნისის არჩევნებს.




რაგბი

# ქართველები ფარს დასჯერდნენ

პაატა თოთაძე

უქმეებზე გამართულ კარდიფის შვიდკაცაზე თასისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრები საბოლოოდ ფარს დასჯერდა. ფარის მოგება ურიგო არ არის, მაგრამ საერთო ჩათვლაში ქულა არ მოაქვს.

შოტლანდიასთან მარცხის შემდეგ ქართველთა მეტოქე ფარის ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრები იყო. ესპანელები მაღალი შედეგებით ვერასდროს დაიკვეხნიდნენ და ბორჯღალოსნებსაც მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ – 21:10. ჩვენი ნაკრების მეტოქე ფინალში იყო იტალიის ეროვნული გუნდი, რომელმაც მეორე ნახევარფინალში დიდი გაჭირვებით დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები - 17:15.

ძლიერი ნაკრები არც იტალიელებს ჰყავთ. მართალია, იტალია ხელწამოსაკრავი არასდროს ყოფილა, მაგრამ არც იმდენად ძლიერია, რომ ქართველებს მათი დამარცხება სანატრელი გვქონდეს - 24:12 ბორჯღალოსანთა სასარგებლოდ.


ქართველები შოტლანდიელებსაც არ უფრთხიან

უმთავრესი ჯილდო - თასი სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ერგო. აფრიკელებმა ნახევარფინალში ინგლისელები დაამარცხეს (22:10), ფინალში კი სამოას მძლეველ არგენტინის ნაკრებს მოუგეს (35:17). სინი ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიგო. თასის მეოთხედფინალში ინგლისელებთან დამარცხებულმა კივებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ჯერ ფიჯის, ფინალში კი ავსტრალიის ნაკრებები. რაც შეეხება ფიალას, ის შოტლანდიას ხვდა წილად. ბორჯღალოსანთა დამარცხების შემდეგ სკოტებმა ნახევარფინალში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს, ფინალში კი - საფრანგეთის ეროვნული გუნდი.

სერიის ბოლო ტურნირი მომავალ უქმეებზე ლონდონში გაიმართება. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ითამაშებს ინგლისის, არგენტინისა და შოტლანდიის გუნდებთან ერთად. ამ გუნდების სადღეისო მდგომარეობისა და, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ თასისთვის ბრძოლას ჯგუფში საუკეთესო ორი გუნდი განაგრძობს, ბორჯღალოსნებს ამ ორეულში მოხვედრის დიდი პერსპექტივა არა აქვთ. შაბათს ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრები პირველ მატჩში არგენტინას დაუპირისპირდება, მომდევნო შეხვედრებს კი იმავე დღეს ჯერ ინგლისის, შემდეგ კი შოტლანდიის ნაკრებებთან გამართავს.

სერიის ბოლო ტურნირის წინ პირველ ადგილზე ახალი ზელანდიის ნაკრებია 100 ქულით. მეორე ადგილზე მყოფ ინგლისელებს 88 ქულა აქვთ და, ლონდონის შვიდკაცას მოგების შემთხვევაში, სერიაში გამარჯვების შანსი ეძლევათ. საამისოდ ახალზელანდიელები, კარდიფის შვიდკაცას მსგავსად, თასის მეოთხედფინალში უნდა დამარცხდნენ და ბრძოლა მხოლოდ სინისთვის გააგრძელონ. მესამე ადგილზეა ფიჯის ნაკრები, რომელსაც 8 ქულით ჩამორჩება კარდიფის შვიდკაცას გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის გუნდი.

ჭიდაობა

# საჭიდაო სამიტი

*სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა საჭიდაო სახეობათა ერთგვარი სამიტი, მასპინძელი კი დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი გახლდათ. სხდომაზე შეაჯამეს განვლილი სეზონის შედეგები.*

ბიბა ბურასაშვილი

სააქტო დარბაზში მოსულმა ძიუდოს, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ხელმძღვანელებმა თუ მწვრთნელებმა საშუალება მოგვცეს, კიდევ ერთხელ თვალი გადაგვევლო მიღწეულისთვის. მწვრთნელების შოთა ხაბარელისა და ბეგი დარჩიას შეფასებები, ფაქტობრივად, ერთნაირი გამოდგა. ორივე, მეტ-ნაკლებად, კმაყოფილი იყო საკუთარი სამწყსოს შედეგებით. პირობაც ერთნაირი დადეს: ამაზე არ შევჩერდებით და მომავალ ასპარეზობებზე შედეგების გაუმჯობესებას შევეცდებით, მიუხედავად იმისა, რომ წინ გაცილებით მასშტაბური და რთული მსოფლიო ჩემპიონატები გველისო.

ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა კი დასძინა: “არც ერთი ჩვენგანი ევროპის ჩემპიონატიდან ჩემპიონის გარეშე არ ჩამოსულა. აღარაფერს ვამბობ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე. ჩვენ, ყველანი, ერთი საჭიდაო ოჯახის წევრები ვართ, ვიცით ერთმანეთის შესაძლებლობები. მიმაჩნია, რომ იმის პერსპექტივაც გვაქვს, მსოფლიო ჩემპიონიც გვყავდეს”.

ბერძენ-რომაელთა მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია: “არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: აშკარად ვგრძნობთ მეტ ყურადღებას. მხარში გვიდგას ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური ფონდი და სპორტის დეპარტამენტი. მათ გარეშე, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდებოდა”.

დარჩიას მეძმარიაშვილმა შეაწყვეტინა: “მადლობა არც ჩვენ გვეკუთვნის და არც ოლიმპიურ კომიტეტსა თუ ოლიმპიურ ფონდს. მადლობა თქვენ - მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. და კიდევ: მინდა, თემას გადავუხვიო და განვაცხადო, უფრო სწორად, მოგიწოდოთ: სპორტსმენებს ნუ ჩარევთ პოლიტიკაში. ეს ჩვენი საქმე არ არის. პოლიტიკოსებს ჩვენს სპორტსმენებთან არაფერი ესაქმებათ და არც არაფერი გაუკეთებიათ მათთვის. მხოლოდ ტაში თუ დაუკრავთ. თუ არაფერს უკეთებენ, ხელსაც ნუ შეუშლიან. ყველას მოგიწოდებთ, განსაკუთრებით მწვრთნელებს, აუკრძალეთ სპორტსმენებს პოლიტიკაში ჩარევა (ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - მეძმარიაშვილი გორში მომხდარ ინციდენტს უნდა გულისხმობდეს. - რედ.)”.

ირაკლი მეძმარიაშვილმა კიდევ ბევრი ისაუბრა. ყველაზე აქტუალური გიორგი ვაზაგაშვილის თემა გახლდათ. მოგეხსენებათ, ქართველი ძიუდოისტი საბერძნეთის სახელით ასპარეზობას ითხოვდა, უფრო სწორად, ნებართვას, ელინთა კიმონო ჩაეცვა, რაზეც ადრე ჩვენი გაზეთი დაწვრილებით იუწყებოდა. ისე მოხდა, რომ ვაზაგაშვილმა თავისი გაიტანა. შესაძლოა, ცოტა უხეშად ჟღერს, მაგრამ ფაქტია: ვაზაგაშვილი მომავალში საბერძნეთის ღირსებას დაიცავს. ამის თაობაზე მეძმარიაშვილმა განაცხადა: “ვაზაგაშვილი, უდავოდ, ძლიერი ძიუდოისტია და მისი ხელიდან გაშვება ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება. კარგი იქნებოდა, საქართველოში დარჩენილიყო, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. პირადად მე საბერძნეთში მისი გაშვების წინააღმდეგი ვარ. რაკი ასე მოხდა, გარკვეული კომპენსაცია უნდა მიიღოს ქართულმა მხარემ. მასზე დიდი თანხა და ენერგიაა დახარჯული. თუმცა, ამ შემთხვევაში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი უძლურია. ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. ასე რომ ყოფილიყო, ყველანაირად ვეცდებოდით, ის საქართველოში დაგვეტოვებინა”.

Roland Garros

# ამერიკელთა გვემა პარიზში

## ოჯახური ფინალი ნამდვილად არ შედგება

"მკვეთრი შემობრუნების პუნქტი ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში" - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა გუშინ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ოფიციალური პრეს-რელიზი, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირზე რუსი ვერა ზვონარევას სენსაციურ გამარჯვებას მიეძღვნა. ზვონარევამ უილიამსების კლანის უფროსი წარმომადგენელი - ვინუსი სამშობლოში გაისტუმრა.

ვერა ზვონარევასადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ: ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ რუსი ჩოგბურთელი უფროს უილიამსს სძლევდა. პირიქით, სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ზვონარევასთვის ვინუსი უკვე მეტისმეტი იყო და ამერიკელის იოლ გამარჯვებას ელოდნენ. უილიამსი მაინც უილიამსია - მიაჩნდათ სპეციალისტებს. უილიამსი კი უილიამსია, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობისას მართალი აღმოჩნდა ფრანგი ამელი მორესმო. "პრესამ ძალიან გაბერა დები უილიამსების საჩოგბურთო ძლევამოსილება. არ არის საჭირო ვიფიქროთ, რომ ვინუსი და სერენა სხვა სამყაროს ჩოგბურთელები არიან", - ამბობს მორესმო.

მორესმოსი არ იყოს, სწორედ ასე ფიქრობდა ვერა ზვონარევაც.

18 წლის ზვონარევას მობილიზაციის შესაშური უნარი აღმოაჩნდა. პირველი სეტის წაგების შემდეგ ახალგაზრდა ჩოგბურთელი არ დაიბნა. პირიქით, თამაში უფრო გააძლიერა. ამას ამერიკელი ნამდვილად არ მოელოდა და, შესაბამისად, ასეთი დაპირისპირებისთვის მზად არ აღმოჩნდა. ვინუს უილიამსმა ზვონარევას აქტიურ თამაშს ორმაგი და უნებლიე შეცდომების კასკადი შეაგება. მან 12 ორმაგი და 75 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეორე პარტია - 2:6 წააგო. მესამე პარტიაში ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელი შესანიშნავად თამაშობდა. მან გამოიყენა გამოცდილი ამერიკელის სისუსტეები და გამარჯვებასთან ერთად მეოთხედფინალის საგზურიც დაიმსახურა.

დამარცხების შემდეგ ვინუს უილიამსი ცდილობდა, თავისი წარუმატებლობა სულიერი მდგომარეობით და, აქედან გამომდინარე, არასაკმარისი მომზადებით აეხსნა. ზვონარევა მეოთხედფინალში შეხვდება თანამემამულე ნადეჟდა პეტროვას, რომელმაც კიდევ ერთი სახელოვანი ამერიკელი, ტურნირის მე-7 ნომერი ჯენიფერ კაპრიატი ჩამოიცილა გზიდან - 6:3, 4:6, 6:3. კაპრიატის მატჩის შემდეგ თავის სულიერ მდგომარეობაზე არ უსაუბრია, მაგრამ ორმაგი და უნებლიე შეცდომა მასაც საკმარისზე მეტი ჰქონდა - შესაბამისად 5 და 69.



ვერა ზვონარევამ ვინუს უილიამსი ძალიან დაამწუხრა

**პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. მეოთხე წრე.**

ვაჟები:

| | |
|---|---|
| ანდრე აგასი (აშშ, 2) - ფლავიო სარეტა (ბრაზილია) | 6:2, 6:1, 7:5 |
| გილიერმო კორია (არგენტინა, 7) - მარიანო საბალეტა (არგენტინა) | 6:4, 7:6 (7:4), 5:7, 6:7 (4:7), 6:3 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 4) - ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 13) | 7:5, 6:3, 6:2 |
| მარტინ ვარკერკი (ჰოლანდია) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 11) | 6:3, 6:3, 7:5 |
| ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 19) - იარკო ნიემინენი (ფინეთი, 30) | 6:3, 6:3, 6:2 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი, 20) | 6:2, 6:1, 6:1 |
| ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 9) - არნო კლემანი (საფრანგეთი, 32) | 6:2, 7:5, 7:5 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 28) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 15) | 6:4, 1:6, 7:6 (7:2), 6:3 |

ქალები:

| | |
|---|---|
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5) - მაგი სერნა (ესპანეთი) | 6:1, 6:2 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი, 22) - ვინუს უილიამსი (აშშ, 3) | 2:6, 6:2, 6:4 |
| სერენა უილიამსი (აშშ, 1) - აი სუგიამა (იაპონია, 16) | 7:5, 6:3 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 15) | 0:6, 6:2, 6:1 |
| ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 4) - პატი შნაიდერი (შვეიცარია, 19) | 6:3, 2:6, 6:2 |
| ჩანდა რუბინი (აშშ, 8) - პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 4:6, 6:2, 7:5 |
| ნადია პეტროვა (რუსეთი) - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 7) | 6:3, 4:6, 6:3 |
| კონჩიტა მარტინესაი (ესპ., 24) - ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 6) | 6:4, 2:0 დევენპორტმა თამაში შეწყვიტა. |

რუსები აღტაცებული არიან ახალგაზრდა თანამემამულეთა ასეთი თავდაჯერებული თამაშით. ისინი აცხადებენ, რომ ზვონარევამ ქალთა ჩოგბურთში რევოლუცია მოახდინა. ვერ გეტყვით, რას გულისხმობენ ჩვენი რუსი კოლეგები, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთი რუსი ჩოგბურთელი აუცილებლად ითამაშებს, რადგან, როგორც ვთქვით, მეოთხედფინალში ზვონარევა პეტროვას დაუპირისპირდება.

ამ მოვლენების ფონზე ტურნირის უმთავრეს ფავორიტებად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ამერიკელი სერენა უილიამსი და ბელგიელი კიმ კლიისტერსი. ბელგიელმა პირველ სეტში დამარცხების შემდეგ მომდევნო პარტიებში შანსი არ დაუტოვა ბულგარელ მაგდალენა მალეევას - 0:6, 6:1, 6:2.

ქალთა თანრიგის მსგავსად, სიურპრიზის გარეშე არც ვაჟთა ტურნირს ჩაუვლია. კვირის გმირი გახდა ესპანელი ტომი რობრედო, რომელმაც ტურნირიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი დაითხოვა. რობრედო, როგორც ჩანს, "როლან გაროსის" კორტებზე სერიოზულად არის განწყობილი. მან ჰიუიტს ბრაზილიელი გუსტავო კუერტენიც მიაყოლა და ნახევარფინალური საგზურისთვის თანამემამულე ალბერტ კოსტას გაეჯიბრება.

რობრედოს წარმატებამ, უფრო სწორად, ჰიუიტის მარცხმა, დიდად გაახალისა ესპანელი ხუან კარლოს ფერერო. ჰიუიტი ტურნირის უმთავრეს ფავორიტთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რობრედოს კი ასეთად არავინ მიიჩნევს და ფერეროს ფინალში გასვლის კარგი შანსი ეძლევა. მერვედფინალში ფერერომ პირდაპირ გაანადგურა თანამემამულე ფელიქს მანტილია - 6:2, 6:1, 6:1 და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. ამ ეტაპზე ფერერო ჩილელ ფერნანდო გონსალესს შეხვდება. "ნახევარფინალზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ ის, რომ ამ ეტაპზე ჰიუიტი არ ითამაშებს, ძალიან კარგია", - განაცხადა ხუან კარლოს ფერერომ.

# ჭორ-ჭორი

ნინო I



## ვინ დაიდგამს გვირგვინს ყველაზე სწრაფად?



კრისტენ პაზიკი

იტალიაში საბოლოოდ დასრულდა სეზონი. “მილანმა” თასის ფინალში “რომას” ორი გოლი გაუტანა და კიდევ ერთი ტიტულით გაამდიდრა ჯილდოთა ისედაც შთამბეჭდავი მუზეუმი. მოხდა ისე, რომ 2002-03 წლების სეზონში იტალიური გუნდები ევროპაში საუკეთესონი აღმოჩნდნენ. ჩემპიონთა ლიგის ერთი ნახევარფინალი წმინდა წყლის იტალიური იყო, მეორე კი - იტალიურ-ესპანური. ფინალში კი მანჩესტერის “ოლდ ტრაფორდი” ბოლომდე შეივსო იტალიელი ტიფოზებით - აქეთ “მილანის” შავ-წითელ მაისურებში გამოწყობილი ფანები, იქით - “იუვეს” შავ-თეთრად შემოსილი გულშემატკივრები. იმ ორ დღეს მანჩესტერი ლამის იტალიურ ქალაქად იქცა...

ფინალისტები სამშობლოში დაბრუნდნენ, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა “მილანმა” იტალიის თასიც მოიპოვა და ეს საუცხოო სეზონი არაჩვეულებრივი განწყობით დაასრულა. “იუვეს” და “მილანის” ფეხბურთელებს, ისევე როგორც სერია A-ს სხვა მოთამაშეებს, არადადეგები დაეწყოთ. რაკი სეზონი დასრულდა და ფეხბურთელებს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ, ცნობისმოყვარე სპორტული ჟურნალისტები ახლა იმით დაინტერესდნენ, თუ სერია A-ს რომელი ვარსკვლავი გამოიყენებს ზაფხულის შესვენებას პირადი ცხოვრების მოსაწყობად. იტალიის ჩემპიონატში ხომ ამდენი დაუქორწინებელი ვარსკვლავი თამაშობს! მათ თავზე საქორწინო გვირგვინის დანახვა კი საზოგადოებას ისე ძალიან სწყურია...

## "იუვეს" და "მილანის" პოტენციურ სასიძოთა სია

წლეულს არც მსოფლიო ჩემპიონატია და არც ევროპის ჩემპიონატი. ზაფხული თავისუფალია და ყველას შეუძლია, თამამად დაგეგმოს საქორწინო ცერემონიალი. სერია A-ს მიმზიდველ სასიძოთა შორის ტურინის “იუვენტუსის” კაპიტანი ალექს დელ პიერო სიაში პირველია. “პინტურიკიო” და მისი სონია ლამის ყოველი სეზონის ბოლოს აპირებენ დაქორწინებას, მაგრამ ჯერაც მხოლოდ დანიშნულებად ითვლებიან. წლეულს დელ პიერო უკვე აღარ გაურბოდა ქორწილზე საუბარს. ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ თურმე ალექსი ოცნებობს ეგზოტიკურ საქორწინო ცერემონიაზე, რომელიც საზღვარგარეთ უნდა შედგეს - სადმე ბაჰამის ან მავრიტანიის კუნძულებზე. ქორწილი არ უნდა იყოს ზედმეტად პომპეზური, სტუმართა შორის კი იქნებიან მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც წყვილთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

დელ პიეროს თანაგუნდელი ჯანლუკა ძამბროტაც აპირებს, წლევანდელი ივნისი პირად ბედნიერებას მიუძღვნას. მისი სატრფო ვალენტინა, დელ პიეროს სონიას მსგავსად, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა. უკვე ოთხი წელიწადია, “იუვეს” ნახევარმცველი ამ გოგონასთან მეგობრობს, რისი წყალობითაც ვალენტინა იტალიაში ნელ-ნელა პოპულარული გახდა. შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის დროს, “სკუადრა აძურას” თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ ყველა ფეხბურთელს აუკრძალა მეუღლეებისა და მეგობარი გოგონების აზიაში ჩაყვანა. რიტა მონტელა, ილარი ბლაზი და სონია ამორუზო ამ ვერდიქტს არ დაემორჩილნენ და იაპონიაში მაინც გაფრინდნენ. თუმცა, “ტრაპიმ” თავისი არ დაიშალა და ალექს დელ პიეროს, ფრანჩესკო ტოტის და ვინჩენცო მონტელას გართობის ნება არ მისცა. ვალენტინა იტალიაში დარჩა. ძამბროტა სატრფოს შორიდან მიესალმა - იტალია-ეკვადორის მატჩის დროს, როცა ორკესტრი იტალიის ჰიმნს ასრულებდა, ძამბროტამ შეამჩნია, რომ ტელეკამერა მისკენ იყო მიმართული და ვალენტინას თვალი ჩაუკრა. “იუვეს” სარძლოს ეს ჟესტი ძალიან ესიამოვნა და სამშობლოში დაბრუნებულ საქმროს მადლობა გადაუხადა ამისთვის. ძამბროტას ეს ორიგინალური სიყვარულის ახსნა მთელმა იტალიამ ნახა, პრეზიდენტ ჩამპისა და პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის ჩათვლით, და ყველამ დაიჯერა, რომ ძამბროტა და ვალენტინა მალე დაქორწინდებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა, “იუვეს” ნახევარმცველი კი ჯერ ისევ თავისუფალია. ახლახან ძამბროტამ განაცხადა, რომ ვალენტინას მაშინ შეირთავს, როცა ფეხბურთს თავს დაანებებს და მშვიდ ცხოვრებას დაიწყებს. მათ უკვე სახლიც აქვთ შეძენილი კომოში, სადაც ქორწინების შემდეგ აპირებენ დასახლებას.

“მილანის” შეყვარებულ ვარსკვლავთა შორის ყველაზე სერიოზულად ჯენარო გატუზოს აქვს საქმე. უკვე დიდი ხანია, რაც “როსონეროთა” გრძელთმიანი ნახევარმცველი მომხიბვლელ მონიკასთან აპირებს დაქორწინებას. “რინოს” მშობლები და მეგობრები მოუთმენლად ელიან ამ დღეს და ვერ გაუგიათ, რატომ აყოვნებს გატუზო ქორწინების თარიღის დანიშვნას. გატუზომ მონიკა გაიცნო გლაზგოში, როცა ის “რეინჯერსში” თამაშობდა. მონიკა და “რინო” ამბობენ, რომ ვაჟიშვილზე ოცნებობენ. ვნახოთ...

მასიმო ამბროზინი და მისი მიქაელა დასაქორწინებელთა სიაში მეორე ადგილზე არიან. მიქაელა მილანში შესანიშნავად არის მოწყობილი. ტელევიზიაში მუშაობს “შოუგერლის” ამპლუაში. ქერათმიანი ნახევარმცველის გარდა, მილანში ალესანდრო კოსტაკურტას ქორწილსაც ელოდებიან. კოსტაკურტა და მარტინა კოლომბარი ნამდვილ კატათაგვობანას თამაშობენ. ხან ერთად არიან და საერთო მომავალზე ფიქრობენ, ხან კი ჩხუბობენ და ერთმანეთის დანახვა არ უნდათ. მარტინა კოლომბარის იტალიაში ყველა იცნობს - ის სახელგანთქმული მოდელი და ტელეწამყვანია. ცოტა ხნის წინ “ბილი” და მარტინა ისევ შერიგდნენ და კვლავ ერთად ცხოვრებაზე ალაპარაკდნენ. საქმეს ის ართულებს, რომ კოსტაკურტა ჯერაც არ გაყრია პირველ მეუღლეს - ფლორიანა ლაინატის. სავარაუდოდ, შემოდგომაზე უკვე ყველაფერი ცნობილი გახდება. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ მარტინა და “ბილი” მომავალი წლის ივნისში დაქორწინდებიან - ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე.

ანდრეი შევჩენკო ამერიკელ მოდელ კრისტენ პაზიკზეა შეყვარებული. “შევა” ხშირად ჩადის ვაშინგტონში, სადაც მისი კრისტენი ცხოვრობს. საპასუხო ვიზიტიც არ აგვიანებს - ამერიკელი ლამაზმანი უკვე შესანიშნავად იცნობს კიევს. როცა შევჩენკომ კიევში ბუტიკი გახსნა, კრისტენი სიამოვნებით ჩავიდა უკრაინის დედაქალაქში და დაათვალიერა “შევას” მაღაზია. გრძელთმიანი ანდრეა პირლო კი, უკვე სამი წელიწადია, დაქორწინებულია თავის დებორაზე და სულ მალე მამაც გახდება.

აი, ასეთი მდგომარეობაა იტალიის ორ საუკეთესო კლუბში. ვნახოთ, ჩამოთვლილი კანდიდატებიდან პირველი ვინ გადაწყვეტს საკურთხეველთან მისვლას...

## ვეძებთ ოჯახი



დაიკარგა სკლეროზით დაავადებული 60 წლის მამაკაცი. მეტყველება და ორიენტაცია პრაქტიკულად დაკარგული აქვს. მოსალოდნელია უცნაური ქცევა. არის საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილი, მელოტი, რამდენიმე დღის გაუპარსავი. აცვია შავი შარვალი, ნაცრისფერი კოსტუმი, მუქი ლურჯი პერანგი და უკეთია მოყვითალო ჭრელი ჰალსტუხი. შეიძლება გადაკიდებული ჰქონდეს ცისფერი ჩანთა და ეხუროს შავი ნაქსოვი ქუდი.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე **53-75-82** ან მობილურზე **8(77)45-84-05.**

თუ გაქვთ შესაძლებლობა, გთხოვთ მიიყვანოთ ვაჟა-ფშაველას II კვარტლის I კორპუსში, მილიციის განყოფილებაში


განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61






ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი “კოსმოსი”-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.

“ქართული ლიგა” (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)


## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
“ვენეციელი ვაჭარი”, რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
“მრუდე სარკეები”, რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
“კრიმანჭული”, რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**შარდენი**
ოლეგ გოჩაკიძის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების მუზეუმი**
ია არსენიშვილის ნამუშევრების გამოფენა, (ბატიკა)

**ძველი გალერეა**
ლევან ხარანაულის პორტრეტების გამოფენა

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
“ჭუჭა ცხვირა”
დას: 11:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
“მატრიცა 2”
დას: 13:00; 14:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-10 ლარი

**„რუსთაველი„**
“მაუგლი”
დას: 15:00; ფასი 5 ლარი
“X მენი”
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,9 ლარი
“ახალდაქორწინებულები”
დას: 19:30 ფასი 5 ლარი

**გერმანული ფილმების კვირეული**

**„ელისო"**
“ღამის წარმოდგენები”, რეჟ. ანდრეას დრეზენი
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 1 ლარი
“ნახევარი ცხოვრების გზა”
დას: 16:00; 21:00 სთ; ფასი 1 ლარი
“არსად აფრიკაში”
დას: 21:00 სთ; ფასი 1 ლარი

**კინოს სახლი**
“ერთი მუჭა ბალახი” (ორიგინალური ვერსია), რეჟ.როლანდ სუზო რიხთერი
დას: 18:00 სთ; ფასი 1 ლარი
“კლდე” (ორიგინალური ვერსია), რეჟ.დომინიკ გარაფი
დას: 21:00 სთ; ფასი 1 ლარი

## TV პროგრამა 3 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „ჯაშუში“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.45 დოკ. ფილმი „ბუნება“
19.15 პერეკრესტოკი
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „რელიქვია“ მთ. რ-ში: პენელოპ ენ მილერი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მხ. ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“
11.45 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 ლერერის შოუ
15.15 მხ. ფილმი „სიყვარულის ტყვე ქალი“
16.50 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.05 შემეცნებითი ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები“
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
18.35 ბასტი-ბუბუ
18.55 „და არს მუსიკა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 „ჩვენი ფეხბურთი“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?“
23.55 მხ. ფილმი „სამნი ნავში ძაღლის გარეშე“ მე-2ს.

### პირველი სტერეო

07.00 ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის
08.00 ტოროლა
11.00 განმ. უცხ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ჩრდილოეთის ციალი“ მთ. რ-ში დაიან კიტონი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 „ბრავო“ „რეტრო სამში“ მთ.რ-ში ელენა იაკოვლევა.
01.40 „ღამურა“ „კაციჭამია“ მთ.რ-ში გაი პირსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 დოკ. ფილმი
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.20 მხ. ფილმი „კანონის მეორე მხარე“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „გაიცანი ჯო ბლექი“
15.00 მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო

პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „ზვიგენი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი“
22.30 მხ. ფილმი „რეგენერატორი“

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 ბურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „მწვანე იალქნები“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „მთვრალი, შფოთიანი სიყვარული“
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „გამოუსწორებელი თაღლითები“
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „ქალის ხვედრი“
01.10 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „ვიზიონერები“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
12.00, 16.20, 18.50, 19.50, 22.05 მუსიკა
12.15 მხ. ფილმი „შურისძიება“
14.00 „ჩემი ქვეყანა“ - „დათო“
14.20 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „მსოფლიო რაგბი“
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
17.50 „პილოტი“
18.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „ვიზიონერები“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ევროპის სტადიონებზე“
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.15 მოკლ. მხ. ფილმი „ექს ვოტო“
23.00 „ცხელი ცხრიანი“
00.20 მხ. ფილმი „მსახიობები“.

### იმედი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 ქრონიკა
09.00 უცერემონიოდ
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 სპ. პროგრამა „გოლი“
11.00 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.15, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 კინონოსტალგია „აურზაური“
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ მე-12ს.
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 ლარის მახე
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 „უცერემონიოდ“
23.20 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“ 1-ლი ს.
00.30 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ტურბულენტობა-2“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „მარტო-სახლში-2“
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „დიდი რბოლა“
13.40, 15.50 მუსიკა
14.00 მხატვრული ფილმი „ასპენ ექსტრიუმი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“

16.20 მულტფილმი „პოკემონი: შუაღამის დარაჯი“
17.25 კომედია „ვოვოჩკა“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30, 22.40 Пресс-папье
19.35 მხატვრული ფილმი „სიყვარული შეტყობინებით“
22.45 „რა არ ხდება“
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 თრილერი „მექსიკელი“
03.20 დოკუმენტური ფილმი
03.50 მხატვრული ფილმი „აფიორა“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 „ბედნიერი ერი“
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია -
10.40 მობილურები
11.25 „ბიორითმი“ .
11.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.25 კომპიუტერული თამაშები
12.35 დისნეი და მისი მეგობრები
12.55 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 „ღამის კაპრიზი“ - თემა: .
21.30 მობილურები
22.20 „კინოკლუბი“ - „ცოდვების მონანიება
00.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.45 „ბიორითმი“

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Худ.фильм „По ту сторону волков“
12.05, 17.30, 00.55 „Фабрика звезд 2“
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе“
13.15 Детектив „Фатальный выстрел“
14.40 „Непутевые заметки“
15.00 „Сканер“
15.30 Док.фильм „Антимиры А.Вознесенского“
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Смехопанорама“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „По ту сторону волков“
23.45 „Кремль-9“. „Полк специального назначения“
01.10 „На футболе“
01.40 „Русский экстрим“
02.10 „Апология“
03.10 Сериал „Пришелец“

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45, 21.55 Сериал „Главные роли“
10.40, 22.55 Сериал „Госпожа Победа“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Сериал „Проклятие древней гробницы“
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 „Колоссальное хозяйство“
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15, 04.50 „Агентство одиноких сердец“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.45 „Дорожный патруль“
19.05, 00.30 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
00.00 Ток-шоу „Вести+“
00.40 Мелодрама „Польская красавица“
03.00 „Горячая десятка“
04.00 Сериал „Твин Пикс“

### НТВ

07.00 „Утро на НТВ“
09.45 Сериал „Сокровища мертвых“, 3 с.
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Преступление в стиле „модерн“. Первое заказное“
12.10 „Растительная жизнь“. К.Лучко
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15 „Сегодня“
13.35 „Страна Советов“
14.40 Детектив „Поворот ключа“, 2 с.
15.45 „Криминал“
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино“. „Ошибки молодости“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 Док. драма „Преступление и наказание“
20.35 Сериал „Сокровища мертвых“
21.45 Сериал „Дальнобойщики. Химия и жизнь“, 2 с.
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.25 „Живой Пушкин“ с Л.Парфеновым, ч. 2
01.40 „Гордон“
02.35 Сериал „Доктор“.

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში მე-3 კავარტალში, ფასი: 20000, ტელ: 893 334186.

იყიდება 2-ოთახიანი ლოჯიით ყავლაშვილის პროექტის იზოლირებული ბინა კაპიტალური ავტოსადგომით. ტელეფონით, ავეჯით. ფ/შ. 99-89-74 11 საათიდან.

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით “რუსთავი 2”- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

ვაქირავებ 11 კვ.მ კომერციულ კაპიტალურ ფართს ტელეფონით, რკინის კარ-ფანჯრით. ფ/შ. ტელ: 99-89-74 11 საათიდან.

**ვიქირავებ ფართს სასურსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.**
**ტელ: 95-21-46 დღისით**
**79-44-03 საღამოს ირაკლი.**




## მანქანები

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

აბიტურიენტთა და გერმანიაში წამსვლელთათ ის გერმანულ ენაში მეცადიენეობა ინტენსიური მეთოდით. 20 ივნისიდან. ტელ: 893 215688




## სხვადასხვა

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

ვამზადებ ფინური ტიპის სახლებს. 893 334186.

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. ტელ: 53-64-41.

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე “ჩარგალის” პირდაპირ) – კაფე “ცეზო”.**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**






# ქანთრი

## ამერიკული კულტურის ინგრედიენტები

ირაკლი მახარაძე

თითქმის ხუთ საუკუნეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ამერიკის კონტინენტს პირველმა ევროპელმა დაადგა ფეხი. ამ ხნის განმავლობაში ამერიკაში მილიონობით სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტი ჩავიდა. ამ ორასიოდე წლის წინ კი, საფუძველი ჩაეყარა ძლევამოსილ სახელმწიფოს, რომელიც დღესაც მაგნიტივით იზიდავს უამრავ ადამიანს.

ამერიკაში თავიდანვე დასახლდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ხალხი, რომელმაც თან ჩაიტანა თავისი კულტურული მემკვიდრეობა – სიმღერები, ცეკვები, პოეზია... ახალჩასულებიც და უკვე ძირძველნიც მიიწევდნენ კონტინენტის დასავლეთ ნაწილისაკენ, ოცნებობდნენ ახალი მიწების დაპყრობასა და ათვისებაზე, თან მიჰქონდათ საკუთარი ფოლკლორი, რომლის ერთმანეთში აღრევამაც შექმნა დასავლეთ ამერიკის თეთრკანიანი მოსახლეობის სპეციფიკური მუსიკა "ქანთრი" (ინგლისური სიტყვიდან country – სოფელი). ეს მიმდინარეობა თავის თავში აერთიანებს მრავალი ევროპული ქვეყნის მუსიკალურ ფოლკლორს: კელტურ და ანგლოსაქსურ ხალხურ მუსიკას, გერმანულ იოდლს, ფრანგულ სიმღერებს და სხვა.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ქანთრის ყველაზე პოპულარული მიმდინარეობა იყო ჰილიბილი. ეს სიტყვა აღნიშნავს აპალაჩის მთებში მცხოვრებ ადამიანს (ეს მთები გადაჭიმულია აშშ-ს 13 სამხრეთულ შტატში და თავის დროზე გამოირჩეოდა თეთრი მოსახლეობის სიღარიბით), რომელიც მუშაობის მაგივრად, დღედაღამ მღერის.

ქანთრის შემსრულებლები, ძირითადად, აკუსტიკურ სიმებიან ინსტრუმენტებს იყენებდნენ: ვიოლინოს, ბანჯოს, გიტარას, მანდოლინას, კონტრაბასს, აგრეთვე ტუჩის ჰარმონიკას და აკორდეონს. საკრავების ეს შემადგენლობა დღემდე შემორჩა ყველაზე უფრო ტრადიციულ მიმდინარეობა – ბლუგრასს (ლურჯი ბალახი), რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც ბილ მონრო გახლდათ. დროის ცვლილებასთან ერთად, ამ საკრავებს დაემატა სტილ-გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები, აგრეთვე სინთეზატორი და სხვა ახალი ტექნოლოგიები.

30-იან წლებში ქანთრიზე გავლენა იქონია ბლუზმა, ჯაზმა და ლათინური ამერიკის ფოლკლორმა. ამგვარი სახით (მას Country and Western უწოდეს) ის გავრცელებული იყო, პირველ რიგში, ტეხასსა და ოკლაჰომაში. ამ სტილში შექმნილი სიმღერების მთავარი მოტივი კოვბოის რომანტიზებული ცხოვრება გახლდათ: მარტოხელა, ცხენოსანი მხედარი გამუდმებით მოგზაურობს, რათა, ბოლოს და ბოლოს, იპოვოს თავისი ადგილი და საყვარელი ქალი.


როი რიჯერსი - მისი სახელობის ჯინსები თბილისში პოპულარობით სარგებლობდა


ქანთრის ლეგენდა ჰენკ უილიამსი შვილთან ერთად

Country and Western ჩაისახა ტენესის მთებსა და ლუიზიანას სანაპიროებზე. ბევრი სიმღერის სიტყვები გამსჭვალულია ტკივილითა და ნაღველით – ეს თეთრკანიანთა ბლუზია. ამ ჟანრის გამოჩენილი შემსრულებლები არიან ჯინ ოთრი და მომღერალი კოვბოი როი როჯერსი (ბევრს, ალბათ, მისი სიმღერა არ მოუსმენია და არც მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმები უნახავს, მაგრამ როი როჯერსის სახელობის ჯინსი ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა). როჯერსი მღეროდა The Sons of the Pioneers-თან ერთად. ამ ჯგუფმა 1935-48 წლებში თავისი განუმეორებელი ხმოვანებით 80-მდე ვესთერნი გაალამაზა (განსაკუთრებით ჯონ ფორდის ფილმები).

40-იან წლებში ჩაისახა ახალი სტილი honky tonk. მაშინ გზისპირა კაფეებში უმთავრესად უცნობი მომღერლები გიტარისა და პიანინოს აკომპანიმენტით გამოდიოდნენ. განსაკუთრებული პოპულარობა ამ სტილმა მშრალი კანონის დასრულების შემდეგ მოიპოვა, რადგან მსმენელს ერთდროულად შეეძლო, დამტკბარიყო საყვარელი მუსიკით და ალკოჰოლით. ეს სიტუაცია კარგად აქვს გადმოცემული ქლინთ ისთვუდს ფილმში Honky Tonk Man.

honky tonk-ს სახელი გაუთქვეს ისეთმა მომღერლებმა, როგორებიცაა ერნესთ თაბი და ჰენქ უილიამსი. მართალია, პირველი, ვინც სიტყვა honky tonk სიმღერაში გამოიყენა, ალ დექსთერი იყო, მაგრამ ამ სტილის და საერთოდ, ქანთრის უგვირგვინო მეფედ მაინც ჰენქ უილიამსი რჩება. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი 29 წლის ასაკში გარდაიცვალა 1952 წელს) მან უზარმაზარი მუსიკალური მემკვიდრეობა დატოვა და წარუშლელი დაღი დაასვა ქანთრის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ბევრი სახელგანთქმული პიროვნების მსგავსად, სიცოცხლეში უიღბლო მომღერალი სიკვდილის შემდეგ იქცა ლეგენდად.

უილიამსი დაიბადა ალაბამაში, ღარიბ ოჯახში. მუსიკას ქუჩის შავკანიანმა მომღერალმა აზიარა. 15 წლიდან მომავალი ვარსკვლავი ბარებსა და კაფეებში მღეროდა; 1943 წელს, როცა ჰენქ უილიამსმა შექმნა ჯგუფი Drifting Cowboys, იგი უკვე ჩამოყალიბებული ლოთი იყო. უზომოდ ბევრს სვამდა, ხმარობდა ძლიერ ნარკოტიკებს, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ქანთრის მომღერლის იმიჯს. ხანდახან ისე ითიშებოდა, რომ ავიწყდებოდა კონცერტი, რამდენჯერმე სცენაზეც დავარდა.

ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით იყო. 1949 წელს კი, როდესაც იგი პირველად გამოჩნდა ქანთრის მექაში – Grand Ole Opry-ში, უილიამსმა სენსაცია მოახდინა. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. მაგრამ პირადი ცხოვრება ხელს უშლიდა მის კარიერას. იყო რაღაც არაჯანსაღი ყურადღება მისი პიროვნებისადმი. იყვნენ ისეთი თაყვანისმცემლებიც, რომლებიც მის კონცერტებს ერთადერთი მიზნით ესწრებოდნენ – უილიამსის სცენაზე გაშხლართვა რომ ენახათ. ეს მათ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდათ. სწორედ ამ სანახაობაში იხდიდნენ ფულს. 1952 წელს სიკვდილამდე რამოდენიმე ხნით ადრე იგი მესამედ (!) დაქორწინდა საკუთარ ცოლზე და ამას შოუს სახეც კი მიეცა: ბილეთი 75 ცენტიდან დოლარნახევრამდე ღირდა. ყოველ მორიგ ხელის მოწერაზე იგი უგონო მთვრალი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უცდია მისი "აზრზე მოყვანა", არავის გაუწვდია დახმარების ხელი. სამაგიეროდ, ჰენქ უილიამსის დაკრძალვას 20 ათასი ადამიანი დაესწრო. ქანთრის განთქმული მომღერლები როი ეიქაფი, რედ ფოლი, ერნესთ თაბი ტიროდნენ და მღეროდნენ ჰენქის სახელგანთქმულ სიმღერას I Saw The Light.

გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ უილიამსის იმდენი ფირფიტა გაიყიდა, რაც მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში არ გაყიდულა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც ერთ მომღერალს არ გაუკეთებია იმდენი ქანთრისთვის, რისი გაკეთებაც რადიომ შეძლო. მისი მეშვეობით ეს მუსიკალური ნაირსახეობა ჯერ ამერიკას, შემდეგ კი მთელ მსოფლიოს მოედო. ეს დაემთხვა დიდი დეპრესიის პერიოდს, როდესაც უამრავი ოჯახი გაკოტრდა და იძულებული გახდა, კუთვნილი მიწიდან აყრილიყო…

რადიოს უპირატესობა და შეღავათი კი ის გახლდათ, რომ განურჩევლად ყველას – ღარიბსაც და მდიდარსაც – უფასოდ შეეძლო, მოესმინა ქანთრი. დღესდღეობით ამერიკაში ამ მუსიკას ყველაზე მეტი რადიოსადგური გადასცემს. პირველი ასეთი რადიო, რომელმაც მხოლოდ ქანთრის გაშვება დაიწყო, იყო Grand Ole Opry (ნეშვილი, ტენესის შტატი). თავდაპირველად ეს ყველაფერი ხდებოდა შენობაში, სადაც მომღერლები პირდაპირ ეთერში ასრულებდნენ სიმღერებს. ნელ-ნელა ნეშვილისკენ დაიძრა უთვალავი ადამიანი, ვისაც სურდა ქანთრის ვარსკვლავი გამხდარიყო. იქ აიდგა ფეხი მრავალმა სახელგანთქმულმა მომღერალმა. ნეშვილში დღემდე რეგულარულად ტარდება ქანთრის ფესტივალები, რომელთაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან უამრავი თაყვანისმცემელი ესწრება. ამიტომაც ეწოდა ნეშვილს "ამერიკის მუსიკალური ქალაქი".

50-იან წლებში ქანთრიმ ბიძგი მისცა ახალი მიმდინარეობის – როკაბილის გაჩენას, რომელიც ამერიკული ფოლკლორული მუსიკის და ბლუზის ნაზავი იყო. მას სახელი გაუთქვეს ისეთმა შემსრულებლებმა, როგორებიც არიან: "ევერლი ბრაზერს", ჯერი ლი ლუისი, ქარლ პერქინსი და თვით "მეფე" – ელვის პრესლი.

როდესაც ამერიკის კონტინენტზე ე.წ. ბრიტანული შემოსევა დაიწყო (პირველ რიგში, ეს გულისხმობდა ინგლისურ როკ-ჯგუფებსა და მათ მუსიკას, შემდეგ კი კინომოღვაწეებსაც), ამერიკული მუსიკა კარგა ხანს მათი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა 60-იანი წლების შუა ხანებიდან, თავი იჩინა ახალმა მიმდინარეობებმა და, პირველ რიგში, ეს იყო ქანთრი-როკი, რომლის სათავეებთან იდგა ბრწყინვალე ჯგუფი Creedence Clearwater Revival, თავისი ენერგიული და აგრესიული ლიდერით – ჯონ ფოგერთით. "ქრიდენსების" დრეკადი ლურჯი ფერის ფირფიტები, მათი რამოდენიმე სიმღერის ჩანაწერით, კომუნისტების ბატონობის პერიოდში ჩვენთანაც იყიდებოდა. ჯგუფი 1972 წელს დაიშალა, მაგრამ დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათ კვალს გაჰყვნენ Allman Brothers, რომლებიც წარმოადგენდნენ ე.წ. ახალ სამხრეთულ როკს, ასევე Eagles, Black Oak Arkanzas, Lynyrd Skynyrd (აგრეთვე უამრავი სხვა ჯგუფი თუ მომღერალი, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს).

Lynyrd Skynyrd-ი, პირველ რიგში, ცნობილია თავისი უკვდავი სიმღერით Sweet Home Alabama. ახლა, ყველა, ვისაც არ ეზარება, თანამედროვე ამერიკულ ფილმებში ამ კომპოზიციას იყენებს. საინტერესოა, რომ ჯგუფმა სახელი თავისი საძულველი ფიზკულტურის მასწავლებლის ლეონარდ სკინერის "პატივსაცემად" დაირქვა.

ერთი ასეთი ცნობილი ქანთრი ჯგუფი Nitty Gritty Dirt Band ჩვენთანაც იმყოფებოდა საგასტროლოდ 1976 წელს. კარგად მახსოვს, თუ რა ინტერესი და აჟიოტაჟი გამოიწვია მან მაშინ, რადგან უცხოური, მით უმეტეს, ამერიკული ჯგუფის ჩამოსვლა იმ დროს იშვიათობა იყო.

დღეს ქანთრი თავისი პოპულარობის მწვერვალზე იმყოფება. ჩნდებიან ახალ-ახალი ვარსკვლავები, ამერიკელები ნაციონალურ მუსიკას ყველანაირი ხერხებით უწევენ პოპულარიზაციას, და აქ საქმე არა მარტო ფინანსებში, არამედ დამოკიდებულებაშია, რომელიც გამოიხატება საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ფესვებისა და ფოლკლორისადმი მოწიწებასა და პატივისცემაში. ეს კი ქართველებს ძალიან გვაკლია. მეტიც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთი დამოკიდებულება (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არც არასოდეს გვქონია.

# გერმანიის ყველაზე ლამაზი ქალი

## სილამაზის კონკურსის ისტორიიდან

*ისევე, როგორც ყველგან, გერმანიაშიც მრავალი გოგონა ოცნებობს, რომ მშვენიერი პრინცესა გახდება, რომ ერთ დღეს ყველას თვალს მოსჭრის მისი სილამაზე, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ზღაპარში... ასეთი ოცნებებით შეპყრობილ გოგონებს შეუძლიათ წელიწადში ერთხელ ბედი სცადონ – ვინ იცის, იქნებ გაუმართლოთ კიდეც. უბრალოდ, ერთი პრობლემა არსებობს: მსურველი უამრავია, დედოფალი კი – ერთადერთი.*

გერმანიაში სილამაზის კონკურსი პირველად 1909 წელს გაიმართა. აღმოსავლეთ პრუსიაში დაბადებული გერტრუდ დოპირალსკი, რომლის სოციალური სტატუსიც ერთობ სავალალო იყო - სიგარეტის გამყიდველი ბრძანდებოდა - ერთი ბერლინული კაბარეს მფლობელმა კიონიგსბერგის "სიამოვნებათა პარკში" აღმოაჩინა. ჩანს, ძალიან მოეწონა, რადგან ჯერ კაბარე "შანტანში" მიიწვია სამუშაოდ, შემდეგ კი სილამაზის კონკურსზე წარადგინა.

გერტრუდას კონკურენტები ძალიან გაბრაზდნენ, რომ მათ გვერდით გაუგებარი ყოფაქცევის ქალი აღმოჩნდა, თან კაბარეს მეპატრონე აშკარად მფარველობდა. ისე გაჯავრდნენ, რომ ტანსაცმელი დაუმალეს და კოსმეტიკაში სპირტი გაურიეს.

მიუხედავად ამისა, გერტრუდ დოპირალსკი გერმანიის ულამაზეს ქალად აღიარეს და წოდება "მის სამყარო" მიანიჭეს – მაშინ "მის გერმანიას" ასე ერქვა. ჯილდო ოქროს ოცმარკიანი იყო. დედოფლად არჩევის შემდეგ გერტრუდ დოპირალსკიმ გერტრუდ ზიგის ("ზიგ" გერმანულად გამარჯვებას ნიშნავს) სახელით თეატრის მსახიობობა სცადა, შემდგომ ფოტოგრაფებთან თანამშრომლობდა – მისი გამოსახულება ღია ბარათებს ამშვენებდა.

სილამაზის დედოფლის შემდეგი არჩევნები გერმანიაში მხოლოდ 1927 წელს გაიმართა. 5 მარტს, ბერლინის სპორტის სასახლეში ცერემონია "ქალების ღამე" ჩატარდა, რომელზეც "გერმანიის ასული" უნდა აერჩიათ. მაშინ სილამაზის დედოფლის გვირგვინისთვის 50 გოგონამ გაიბრძოლა. საბოლოო გამარჯვებამდე ხუთმა "კორექტულმა" მამაკაცმა, მათ შორის მომღერალმა რიხარდ ტაუბერმა და მოკრივე მაქს შმერლინგმა 15 საუკეთესო აირჩიეს.


პირველი მისს-გერმანია გერტრუდა დოპირალსკი



მისს-გერმანია 2003 - ბაბეტ კონაუ

ღვთის წინაშე, კონკურსი უფრო "მის ბერლინი" გამოვიდა - ყველა გოგონა სპორტის სასახლის სიახლოვეს მცხოვრები, მუშათა უბნიდან იყო. როცა 21 წლის ჰილდეგარდ ქვანდმა გაიმარჯვა, დამარცხებულმა ქალებმა ისეთი ამბავი ატეხეს, გაზეთები წერდნენ, ცოტა დონის ამაღლება არ გვაწყენდაო. ამ მიზნით ერთი-ორი კაცი ჩამოჯდა და 1928 წელს "სილამაზის კონკურსების იმპერიული გაერთიანება" ჩამოაყალიბა. ამის შემდეგ გერმანიის სილამაზის დედოფლებს მსოფლიო კონკურსებშიც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება.

იმხანადაც, ისევე, როგორც დღეს, კონკურენტი მეწარმეები არსებობდნენ, რომლებსაც სილამაზის კონკურსის ჩატარება თვითონ უნდოდათ - ფრიად სარფიანი საქმე იყო და დღესაც ასეთი გახლავთ. იმ წელს ორი ასეთი ორგანიზაცია გამოჩნდა, თან ორივეს – ბერლინში. ზემოხსენებულ "იმპერიულ გაერთიანებაში" ჰელა ჰოფმანმა გაიმარჯვა, რომელსაც ამის შემდეგ "მის სამყაროში" მონაწილეობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების ნება დართეს. იმავე წელს გერმანიას მეორე დედოფალიც ჰყავდა, მეორე ორგანიზაციის მიერ მოწყობილ კონკურსში გამარჯვებული: მომხიბვლელი რევიუს მოცეკვავე, მარგარეტ გროვი, რომელმაც სარეკლამოდ პატარა სკანდალიც მოაწყო - შიშველი მკერდით გადაიღო სურათი. არადა, რევიუს მოცეკვავე იყო, რა გაუკვირდათ...

ცნობილია, რომ სკანდალი პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ეს რა სკანდალი იყო, სკანდალი მერე უნდა გენახათ, 1929-ში! გერმანიის ქალაქების დედოფლები, 50 ქალი, ბერლინის საზოგადოების წინაშე წარდგნენ, მაგრამ ჟიურიმ სწორედ ის აირჩია, ვინც არავის მოეწონა – ელიზაბეტ როძინი. არადა, ჟიური ნამდვილად არ იყო სახუმარო – მის შემადგენლობაში მაქს რაინჰარდი, მარლენ დიტრიხი და ჰაინრიხ მანი შედიოდნენ.

გერმანია ყოველწლიურად აპირებდა თავისი ულამაზესი ასულების თავად ხილვასაც და მსოფლიოსთვის ჩვენებასაც – "მის ევროპასა" და "მის სამყაროზე" ისინი თვალსაჩინო ადგილებს იკავებდნენ. ასე, მწერალმა ერიხ მარია რემარკმა ისიც კი მოახერხა, რომ ბარონის ქალი დეზი დ`ორა გაუშვა სილამაზის კონკურსზე, რის შემდეგაც მან "მის სამყაროშიც" მიიღო მონაწილეობა. უბრალოდ გაირკვა, რომ ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი, მაგრამ გერმანელი ქალი "მის სამყარო" მაინც ვერ გახდებოდა – პირველი მსოფლიო ომი არავის დავიწყებოდა. მშვენიერმა გერმანელმა გვირგვინი ბელგიელ კონკურენტს დაუთმო.

მაგრამ ხელისუფლების სათავეში მისულმა ნაცისტებმა "დედოფლების" მზეც ჩაასვენეს. "ჩვენ ზურგს ვაქცევთ სილამაზის კონკურსებს!" 1949 წლამდე კონკურსი აღარც ჩატარებულა, რადგან ნაციონალ-სოციალისტებმა ბრძანეს, სილამაზის კონკურსები ვაიმარის რესპუბლიკის დეკადანსის გადმონაშთიაო. შემდეგ კი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გადაწყდა, რომ ასეთი კონკურსი "ქალის კაპიტალისტური დამცირებაა". მოკლედ, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ლამის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ღირსეული დედოფლის არჩევნები არ ჩატარებულა – ვიღაცეები თავისთვის ხალისობდნენ, ვიწრო მეგობრულ წრეში, ეგ იყო და ეგ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კი 1949 წლიდან კვლავ დაიწყეს "მისების არჩევა - იმ წლებში "მის გერმანია" ეკონომიური სასწაულის სიმბოლოც იყო და მამაკაცთა ოცნებაც... ამ ქალებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს: 1956 წელს "მის კიოლნი", პეტრა შიურმანი, "მის სამყარო" გახდა. გერტი დაუბმს, "მის გერმანია 1957"-ს, თვით რომის პაპთან ჰქონდა აუდიენცია. 1961 წელს გერმანიას კიდევ ერთი "მის სამყარო" შეემატა – ინჟინერი მარლენ შმიტი.

მართალია, 1962 წლიდან კონკურსმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მის მიმართ ინტერესი მიინავლა. აღორძინება მხოლოდ 70-იანებში დაიწყო – კვლავ სკანდალებით: ვიღაცამ ფოტოკამერის წინ უტიფრად გაიხადა, ვიღაცაზე ეჭვი ჰქონდათ, ყველაფერი ჩააწყოო... ასე თუ ისე, სილამაზის დედოფლის არჩევნები კვლავ საყოველთაო ყურადღების საგანი გახდა, და მეტი ხომ არც არაფერი მოეთხოვებოდა!

გერმანია გაერთიანდა, დედოფლებს კვლავ ირჩევენ, ყველაფერი ჩინებულადაა აწყობილი. აი, წლევანდელი დედოფალიც – კბილის ექიმის თანაშემწე, 24 წლის ბაბეტ კონაუ, "მის გერმანია 2003". ის პირველი ჟღალი გოგონაა დედოფალთა რიგებში. უზარმაზარი ღონისძიება იყო – ათასი სტუმარი ესწრებოდა, 200-ზე მეტი ჟურნალისტი იყო აკრედიტებული. ბაბეტ კონაუს, პირველი "მისისგან" განსხვავებით, მხოლოდ ოცმარკიანი არ მიუღია: გვირგვინოსანი ორი კვირით ეგვიპტეში გაემგზავრა, მერე ერთი კვირა იბიცაზე გაატარა, მერე სადღაც მარჯნის რიფებში ყვინთავდა, საჩუქრად 5 400 ევროდ ღირებული საათი მიიღო და შესანიშნავ კონტრაქტებსაც მოაწერა ხელი. ბაბეტა ძალიან ლამაზი ქალია, არაფრით ჩამოუვარდება იმ მზეთუნახავებს, ვინც გასულ საუკუნეში იბრძოდნენ დედოფლის გვირგვინისთვის და ვინც მთელს მსოფლიოს გააცნეს "გერმანელ ქალთა ლეგენდარული მშვენება".

# ოპტიმიზმი და თავშეუკავებელი ხალისი

## საზაფხულო ფეხსაცმელი 2003



ჯენიფერ ლოპესი



პეტრა ნემცოვა



მაღალქუსლიანი, გამჭვირვალე, სახალისო

ექსპერიმენტატორებსა და ნოვატორებს წელს დიდი გასაქანი ეძლევათ: ფეხსაცმლის მოდა ისეთი ეკლექტურია, იმდენნაირ სტილსა და ტენდენციას მოიცავს, რომ მოწყენის საფრთხე ნამდვილად არავის ემუქრება. მართლაც შესანიშნავი ამბავია: ვისაც რა გაუხარდება, იმას წამოიცვამს ფეხზე, მთავარია ოპტიმიზმი და თავშეუკავებელი ხალისი – სწორედ ესაა წლევანდელი ფეხსაცმლის მოდის დევიზი.

ვინაიდან წინა პლანზე ქალურმა და გულახდილად სექსუალურმა მოდამ წამოიწია, ფეხსაცმლის კლასიკური ფორმა კვლავ აქტუალური გახდა. თუ ხელი მიგიწვდებათ, ასეთი ფეხსაცმლის დიდი არჩევანი არსებობს: „ვალენტინო“ ღია კრემისფერ ფეხსაცმელს გვთავაზობს, რომელიც ყავისფერი ტყავითაა გაწყობილი, „ივ სენ ლორანის“ შოკოლადისფერი ფეხსაცმელი ძალიან მაღალ, გამჭვირვალე ქუსლზეა შემომდგარი. ისეთმა ექსტრავაგანტულმა დუეტმაც კი, როგორიც სკანდინაველი Victor&Rolf- ია, კლასიკურ, ელეგანტურ ფორმებს მიმართეს. მათი ორფერიანი, შავ-თეთრი ფეხსაცმელი “კლასიკის” ყველა კანონის შესატყვისადაა შეკერილი და 50-60-იანი წლების მოდის ციტირებად შეიძლება განვიხილოთ.

ცხადია, ცნობილი მოდის სახლები კლასიკური ფეხსაცმლის “გათანამედროვებას” შეეცადნენ, ბოლოს და ბოლოს, XXI საუკუნეა! მაგალითად, „შანელმა“ საშუალო სიმაღლის ქუსლი და ზომიერად წვეტიანი “ცხვირი” უამრავი წვრილი თასმითა და დეკორატიული ბალთით შეამკო, თან არამარტო კოჭთან, არამედ ტერფთანაც, სადაც ბალთებს ნამდვილად არაფერი ესაქმება, სხვა თუ არაფერი, მოუხერხებელი სატარებელია.

წელს ტრადიციული ფორმები არატრადიციული ფერებით გამოირჩევა. შავი, რომელსაც ძნელად ელევიან ხოლმე, მყვირალა ფერთა გამამ შეცვალა: დონა კარანი და სტელა მაკარტნი ლურჯს მიმართავენ, ლუის ვიტონი – ალისფერს, ჟილ სანდერი – ყვითელს. საზაფხულო ფეხსაცმლის ერთი ციდა სივრცე ზოგჯერ ცისარტყელასავით მრავალფეროვანია – სწორედ ამით გააოცა ტელეშოუს წამყვანი ჯენიფერ ლოპესმაც.

ცხადია, ოქროთი, ვერცხლითა და სხვა ლითონებით გატაცებამ არც ფეხსაცმლის მოდას აუარა გვერდი. „კენძოს“ უთხელესი, მოციალე, საზაფხულო ჩექმებით დაწყებული და Sonia Rykiel-ის რომაული სანდლებით დამთავრებული – მოდის მიმდევარ ქალბატონთა მშვენიერ ფეხებს “რკინის ქალამნები” ამშვენებს.

არადა, ასეთი ღია ფეხსაცმელი დიდ, კონსერვატიულ კორპორაციებში მომუშავეთათვის სრულიად მიუღებელია, გამომწვევად ეროტიულად ითვლება. თუ კლასიკური კოსტუმი გაცვიათ, მოღეღილი პერანგი ან გამჭვირვალე ქვედაბოლო კიდევ გეპატიებათ, მაგრამ შიშველ ფეხზე წამოცმულ ღია ფეხსაცმელს არავინ შეგარჩენთ, თუნდაც ყველაზე ცნობილი დიზაინერის ნახელავი იყოს და ტერფიც უნაკლოდ ლამაზი გქონდეთ. არადა, რა სასიამოვნო სახმარია ზაფხულის ცხელ დღეებში ჟილ სანდერის ფეხსაცმელი – პატარა ქუსლით, გამჭვირვალე ბადისგან დაწნული...

მაგრამ ზნეობის სადარაჯოზე მდგომთა პროტესტების მიუხედავად, ამ სეზონში მაინც ფეხის თითების გამოჩენას გვირჩევენ. კოჭსა თუ წვივზე ყველაფრის განლაგება შეიძლება – ძალიან განიერი, ბალთიანი შესაკრავის („ვერსაჩე“), რამდენიმე ძეწკვის (Sonia Rykiel), აბრეშუმის თავსაფრისაც კი (Michel Perry). მთავარია, ფეხის თითები ჩანდეს, მხოლოდ ერთი-ორი სიმბოლური თასმით იყოს დაფარული.

როგორც ყოველთვის, გოტიემ ამ საყოველთაო ტენდენციას ბოიკოტი გამოუცხადა და კედები, სანდლები და ჩექმები “შეაჯვარა”, რის შედეგადაც რაღაც უძირო, მუხლსზემოთ შესაკრავი გაუგებრობა მივიღეთ.

ისე, უქუსლო, ბრტყელი სანდლებიც მოდაშია – ეგვიპტური, ბერძნული და აზიურად წოდებული ფეხსაცმლის ნარევი. სიცხეში შესანიშნავი სატარებელია, და თუკი მათი ხმარება გსიამოვნებთ, მაგრამ სისადავე გაღიზიანებთ, „პრადას“ მიმართეთ – მისი სანდლები ძალიან მდიდრულადაა მორთული. თან სანდლები იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ ზედ ათასგვარი ფუჭი, მაგრამ ლამაზი ნივთი მიაბან: ხელოვნური ყვავილები, კენჭები, მძივები, ნიჟარები, ბაფთებსა და ლითონის ბალთებზე აღარ ვლაპარაკობ.

რაც მთავარია: მაღალი პლატფორმა, რომელიც ოდესღაც ძალიან მოდური იყო და მერე სასაცილოდ გვეჩვენებოდა, კვლავ მოდაშია. მართალია, უფრო ელეგანტური გახდა, ძველ, თუჯის უთოს აღარ ჰგავს. ამგვარი ფეხსაცმელიც ძალიან მოხდენილია, ათასგვარი თასმით დახუნძლული და ნაირ-ნაირი მასალით მორთული. პლატფორმაც სხვადასხვა მასალისგან მზადდება, ხისაცაა და ტყავისაც, და ზოგჯერ ძირსაც კი ყვავილები ან გველის ტყავის ორნამენტი უმშვენებს.

## კროსვორდი







## შპს "კვარციტი" აცხადებს

ელექტროზეინკლის ვაკანსიას მაღალი ანაზღაურებით:

- მაღალი ძაბვის სპეციალისტი სათანადო კვალიფიკაციით;
- ელექტრონული ტექნიკის სპეციალისტი;
- უცხოური ტექნიკის (CAT, კამაცუს) ელექტრონაწილის სპეციალისტი;
- რუსული და უცხოური წარმოების დიზელ-გენერატორების (CAT, პერკინსის) სპეციალისტი;
- ელექტრონული სასწორების სპეციალისტი.

სასურველია იცოდეს კომპიუტერზე მუშაობა დაფლობდეს ინგლისურ ენას.

მსურველებმა გამოგზავნონ რეზიუმე (CV) ელ. ფოსტით: quartzite_kazreti@yahoo.com

ტელ/ფაქსი:94-29-80 98-98-79 ან საფოსტო ყუთის მისამართზე: ს/ყ 86, მე-8 საფგანყოფილება, 380008. თბილისი.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.